

F 133
1963

ზე 1



F133 m/3259



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

1963 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს ეკონტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს დადგენილებები

60. გაზეთების ქსელის მოწესრიგებისა და ადგილობრივი რადიომუდრეხელობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
61. 1966—1970 წლებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავების შესახებ.
62. „გაზეთების ქსელის მოწესრიგებისა და ადგილობრივი რადიომუდრეხელობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს ეკონტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 აპრილის № 236 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
63. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
64. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს ეკონტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

65. საბელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი ღროშის მიყიდვების შესახებ.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიული კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

56. 1962—1963 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.
57. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობებში დამატების შეტანის შესახებ.
68. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სატყეო მეურნეობათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1962 წლის შედეგების შესახებ.
69. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1962 წლის შედეგების შესახებ.
70. 1962—1963 სასწავლო წლისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.
71. საქართველოს სსრ წიაღთა მეურნეობის მინისტრის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი კვარტალის შედეგების შესახებ.
72. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის პერის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების პუნქტებისა და წესქეულსაწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი კვარტალის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

73. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეცხვარე მწვემსების მატერიალური დაზღვევების გაძლიერების შესახებ.
74. საქართველოს სსრ თეატრალურ საზოგადოებას წესდების დამტკიცების შესახებ.
75. იმ დოკუმენტების ხელის დამტკიცების შესახებ, რომლებითაც გადახდებულა წარმოებს სახიზარი ორგანიზების აღზრულებითი წარწერის საფუძველზე.
76. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 სექტემბრის № 611 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის № 58 დადგენილების გაუქმების შესახებ.
77. რაიონების გამსხვილებასთან და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების ახალი ქსელის დამტკიცებისა და რესპუბლიკაში საარქივო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
78. მშრომელთა დებუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ ეპქრობისაღმი ხელმძღვანელობისა და დავაგმვის გაუმჯობესების შესახებ.



79. სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს საკანონმდებლო ორგანიზაციების ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემის შესახებ.
80. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილების დამატების შესახებ.
81. რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებით სამკერნალო-ეპიდემიოლოგიურ დაწესებულებათა სტრუქტურის შესახებ.
82. საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების დამტკიცების შესახებ.
83. საქართველოს ეკონტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების წესების შესახებ.
84. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის ქარხანა „ელექტრომშენებლისათვის“ აკადემიკოს ე. ო. პატონის სახელის მიკუთვნების შესახებ.
85. კორკის მუშაკებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაქვემდებარების შესახებ.
86. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 სექტემბრის № 1049 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გაუქმების შესახებ.
87. საქართველოს სსრ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.
88. მოსახლეობისათვის მოსაყიდი საშენი მასალების საცაბო ქსელის დამკვეთებაში წესრიგის დამყარების შესახებ.
89. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში აღრიცხვის შემდგომი სრულყოფის ანგარიშების გამარტივებისა და სააღრიცხვო-სტატისტიკური პერსონალის შესახებ ხარჯების შემცირების ზომების შესახებ.
90. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის კულტურისა და დასვენების პარკების შესახებ.
91. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დამხმარე სადგომების ფართობის ზღვრული ნორმების დაწესების შესახებ.
92. იმ უჯარგისი მოწყობილობის, სამეურნეო ინვენტარისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ, რომლებიც ძირითადი ფონდების (საშუალებათა) შემადგენლობაში ირიცხება.
93. სოფლის მეურნეობის სარემონტო ბაზის განვითარებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ.
94. კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზების დაცვის შესახებ.
95. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.
96. საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების შესახებ.
97. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულებაში დამატების შეტანის შესახებ.



98. იმ მოქალაქეებისაგან საერთო გამოსაღების შემოღების შესახებ, რომლებიც უსაფუროდ და უსაყურსებოდ ჩაღიან დასასვენებელ სასახლეების სსრ საერთო და საავარჯიშო ადგილებში.
99. ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო პონორატის შესახებ.
100. კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ საქართველოს სსრ დარგებიდან ზღის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღნეული კულტურების გატანის აკრძალვის შესახებ.
101. მოსკლის აღების პერიოდში საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტ-მემანქანეებისა და სხვა მეშემის შრომის გადიდებული სტარაფო განაკვეთებით ანაზღაურების შესახებ.
102. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასოფლო დაწესებულებათა მეშვეობით თვის ხელფასის მიცემის წესის შესახებ.
103. კელმინტოზების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.
104. სასწაელო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვისა და მათში ცხოვრების საფასურის მოწესრიგების შესახებ.
105. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარული ქსელის სტრუქტურისა და ტიპური შტატების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
106. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსებუქ მრეწველობაში წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური და დაბალხარისხოვანი ნედლეულის გამოყენების ზომების შესახებ.



საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

60 გაზეთების ქსელის მოწესრიგებისა და ადგილობრივი რადიო-მაუწყებლობის გაუმჯობესების ზომების შესახებ

სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნასთან დაკავშირებით და იმ მიზნით, რომ ამაღლდეს გაზეთებისა და რადიომაუწყებლობის როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის 5 თებერვლის დადგენილებისა „ადგილობრივი გაზეთებისა და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. რესპუბლიკური გაზეთები „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „სოვეტაკან ერასტანი“ და „სოვეტ გიურჯისტანი“ ამიერიდან გამოიცეს როგორც საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოები.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ამჟამად ეროვნულ და რუსულ ენებზე გამოშვებული დამოუკიდებელი გაზეთების ბაზაზე, ამ გაზეთების გაერთიანებული რედაქციები: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — გაზეთის ერთი გაერთიანებული რედაქცია სამი გამოშვებით: რუსულ („სოვეტსკაია აფხაზია“), ქართულ („საბჭოთა აფხაზეთი“) და აფხაზურ („აჰსნი კაში“) ენაზე; აჭარის ასს რესპუბლიკაში — გაზეთის ერთი გაერთიანებული რედაქცია ორი გამოშვებით: ქართულ ენაზე („საბჭოთა აჭარა“) და რუსულ ენაზე „სოვეტსკაია ადჟარია“); სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში — გაზეთის ერთი გაერთიანებული რედაქცია ორი გამოშვებით: ოსურ ენაზე („სოვეტონ ირისტონ“) და ქართულ ენაზე („საბჭოთა ოსეთი“).

აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში გაზეთები გამოიცეს როგორც პარტიის საოლქო კომიტეტების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მინისტრთა საბჭოების ორგანოები.





დამტკიცდეს საოლქო გაზეთების გაერთიანებულ რედაქციებში საშტატო განრიგები, № 1 დანართის თანახმად. **გ. მ. ზ. მ. მ. მ. მ. მ.**

3. გაზეთები, რომლებიც გამოდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთი საწარმოო სამმართველოსათვის (№ 2 დანართის თანახმად), გამოიკეს როგორც შესაბამისი სამმართველოების პარტიული კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ორგანოები.

გაზეთები, რომლებიც გამოდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორი საწარმოო სამმართველოსათვის, რაიონებისათვის ან ქალაქებისათვის (№ 3 დანართის თანახმად), გამოიკეს როგორც საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზეთები.

№№ 2 და 3 დანართებში ჩამოთვლილი გაზეთები გამოშვებულ იქნას „პრავდის“ ნახევარი ფორმატის ოთხი გვერდის მოცულობით, კვირაში 3 ნომრის პერიოდულობით, ამასთან დაწესდეს მათთვის შტატები და ხელფასის განაკვეთები საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 აპრილის № 262 დადგენილების № 2 დანართის შესაბამისად.

4. შეწყდეს მიმდინარე წლის 1 მაისიდან საქალაქო და რაიონული გაზეთების გამოცემა, № 4 დანართის თანახმად.

5. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა საწარმოო სამმართველოში, შვიდ მთიან რაიონში, აგრეთვე ქალაქებში, სადაც წყდება საქალაქო გაზეთების გამოშვება, შეიქმნას ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციები. ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციების ხელმძღვანელობა დაეკისროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების შესაბამის პარტიულ კომიტეტებს, პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს. ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ყოველ რედაქციაში შემოღებულ იქნას თითო კორესპონდენტ-ორგანიზატორის თანამდებობა თვეში 80 მან. თანამდებობრივი განაკვეთით და დიქტორის თანამდებობა (ნახევარი განაკვეთი — 40 მანეთი თვეში) რადიომაუწყებლობის რაიონული ორგანიზატორების თანამდებობათა გაუქმების ხარჯზე. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებში კორესპონდენტ-ორგანიზატორებისა და დიქტორების თანამდებობათა შემოღება და რადიომაუწყებლობის რაიონული ორგანიზატორების თანამდებობათა გაუქმება განხორციელდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა



მეურნეობების მოცემული სამმართველოს მიერ ტერიტორიული რადიომაუწყებლობის მოწყობის მიხედვით.

დავეალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს (ამხ. ქავთარაძეს) შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების ტერიტორიაზე რადიომაუწყებლობის მოწყობის ტექნიკურ შესაძლებლობას.

6. დაუწესდეთ რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების რედაქტორებს, რედაქტორების მოადგილეებსა და პასუხისმგებელ მდივნებს სამკურნალო დახმარების ყოველწლიურად მიცემა თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 70 პროცენტის ოდენობით, აგრეთვე სანატორულ-საკურორტო საგზურების ღირებულების ანაზღაურება 80 პროცენტამდე (მაგრამ არა უმეტეს 100 მანეთისა). რედაქციის სხვა მუშაკებისათვის სამკურნალო დახმარების მისაცემად და სანატორულ-საკურორტო საგზურების ანაზღაურებლად ვათვალისწინებულ იქნას ყოველწლიურად ხარჯები სოციალურ-საყოფაცხოვრებო ფონდით, მათი თვიური თანამდებობრივი განაკვეთების 12 პროცენტის ოდენობით, ამასთან ეს სახსრები პირველ რიგში დაიხარჯოს იმ მუშაკებისათვის, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ.

7. გაზეთების რენტაბელობის გადიდების მიზნით, შემცირდეს 10 პროცენტით რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო გაზეთების თითო ნომერზე საშუალო ოდენობა საავტორო პონორარისა, რაც დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის 30 ივლისის დადგენილებით, აგრეთვე საავტორო პონორარი, რაც დაწესებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების გაზეთებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის 13 აპრილის დადგენილებით.

საოლქო გაზეთებში დაწესდეს პონორარი 180 მანეთის ოდენობით გაზეთის ყველა გამოშვებისათვის; ნება დაერთოს საოლქო გაზეთების ვერითიანებულ რედაქციებს, რომლებიც ორ და სამ ენაზე გამოდიან და რომლებიც თვითიველ გამოშვებაში აქვეყნებენ ორიგინალურ მასალას ერთ გვერდამდე, ხარჯონ საავტორო პონორარის გასაცემად 45 მანეთი გაზეთის ყოველ დამატებით გვერდზე.



მ. შეწყდეს საავტორო პონორარის გაცემა რესპუბლიკურმა მინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საჯარო დაწესებულებებისა და სასწავლებლების ყველა მრავალტირაჟიან გაზეთში.

საქართველოს კბ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მშაგანაძე.

საქართველოს სსრ
საქართველოს სსრ
საქართველოს სსრ
ვ. ჯაგანიშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 2 აპრილი, № 236

საქართველოს კვლევითი ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინის საქმეების 1963 წლის 2 აპრილს დადგენილების დანართი № 1

საშუალო განრიგი

საქალაქო გაზეთების გაერთიანებული რედაქციებისა

| თანამდებობანი | საოლქო გაზეთებისათვის, რომლებიც აქარის ასარ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გამოდის | | საოლქო გაზეთებისათვის, რომლებიც აფხაზეთის ასარ-ში გამოდის | |
|--|--|----------------------------|---|----------------------------|
| | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთები | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 1. რედაქტორი | 1 | 230 | 1 | 230 |
| 2. რედაქტორის მოადგილე გამოცემის ხაზით | 2 | 140 | 3 | 140 |
| 3. პასუხისმგებელი მდივანი გამოცემის ხაზით | 2 | 140 | 3 | 140 |
| 4. პასუხისმგებელი მდივანი მოადგილე გამოცემის ხაზით | 2 | 100 | 3 | 100 |
| 5. განყოფილების გამგე | 3 | 105 | 4 | 105 |
| 6. განყოფილების გამგე | 3 | 100 | 5 | 100 |
| 7. მთარგმნელთა განყოფილება | 1 | 105 | 1 | 105 |
| 8. სპეციალისტ-კონსულტანტები | 2 | 55 | 3 | 95 |
| 9. მთარგმნელები | 6 | 90 | 9 | 90 |
| 10. საკუთარი კორესპონდენტები | — | 95 | — | 95 |
| 11. ლიტერატურული მუშაკები | 12 | 70-90 | 18 | 70-90 |
| 12. გამომშვებნი | 3 | 85 | 5 | 88 |
| 13. ფოტოკორესპონდენტი | 1 | 60 | 1 | 60 |
| 14. მხატვარი მურეტუშე | 1 | 64 | 1 | 64 |
| 15. სტენოგრაფისტი | 1 | 60 | 1 | 60 |
| 16. ტექნიკური მდივანი | 1 | 60 | 1 | 60 |
| 17. უფროსი მემანქანე | 1 | 60 | 1 | 60 |
| 18. მემანქანე | 5 | 55 | 7 | 55 |
| 19. წერილების განყოფილების აღმრიცხველი | 1 | 60 | 1 | 60 |
| 20. სარევიზიო კორექტორები | 2 | 69 | 3 | 69 |
| 21. კორექტორები | 8 | 64 | 12 | 64 |



| თანამდებობა | საოლქო განვითარებისათვის, რომლებიც აკარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გამოდის | | საოლქო განვითარებისათვის, რომლებიც აკარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გამოდის | |
|---|---|----------------------------|---|----------------------------|
| | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთები | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთები |
| 22. წამყობველები | 4 | 60 | 6 | 60 |
| 23. ტელეტაიპისტები (თანამდებობა იმ რედაქციებში, რომლებიც თვითონ ასორცელებენ საქდესის მასალების მიღებას) | 2 | 65 | 3 | 65 |
| 24. ზიბლიოთეკარი არქივარიუსი | 1 | 60 | 1 | 60 |
| სულ: საკუთარი კორესპონდენტების ჩათვლით | 65 | | 93 | |

- შენიშვნები: 1. საკუთარი (მონიარულე) კორესპონდენტების რაოდენობა დაწესდება შემდეგი ანგარიშით: ერთი კორესპონდენტი კომპიუტერული ნიშნებისა და საბჭოთა მეურნეობების ორ საწარმოო სამმართველოზე ან საქართველოს კმ რაიკომზე, ერთი კორესპონდენტი საქართველოს კმ 3 საქალაქო კომიტეტზე ან 3 ზონალურ სამრეწველო-საწარმოო პარტკომზე.
2. ლიტმუშაკებს თვიური განაკვეთი დაუწესდებათ მეშობის ვაშოცდილებისა და ჟურნალისტური კვალიფიკაციის ვათვალისწინებით. ამასთან მაქსიმალური განაკვეთი უნდა ვაიცეს იმ ფარგლებში, რაც არ აღემატება ლიტმუშაკთა ხაერთო რიცხვის 40 პროცენტს, რომელიც დაწესებულია სამტატო განრივით, და იმ ოდენობით, რაც არ აღემატება ლიტმუშაკთა საშუალო ხელფასის საფუძველზე გამოანგარიშებულ ხელფასის ფონდს.
3. იმ შემთხვევებში, როდესაც განთვლების რედაქტორებს არა აქვთ გამოცემლობის ან გამოცემლობათა შტატებში არ არის ტექნიკური აპარატი რედაქციების მომსახურებისათვის, ტიპურ შტატებს ზევით დამატება: დამლაგებელი — 2, შიკრიკი — 2, ვასტიორი — 2 თვეში 40 მან. განაკვეთით თვითეული.



საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 აპრილის № 211/1013/63
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

საქართველოს სსრ გაზეთებისა, რომლებიც გამოიცემა როგორც ორგანოები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოებისა

| გაზეთის დასახელება | კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს დასახელება |
|---|---|
| 1. „გამარჯვების დროშა“ (ქართულ ენაზე, დუბლი აზერბაიჯანულ ენაზე) | ბოლნისის |
| 2. „წიხისელა“ | სამტრედიის |
| 3. „ალანის ვანთაღი“ | თელავის |
| 4. „სამგორი“ (ქართულ ენაზე, დუბლი აზერბაიჯანულ ენაზე) | ვარდაანის |
| 5. „ლენინური ვა“ (ქართულ ენაზე, დუბლი რუსულ ენაზე) | თეთრიწყაროს |
| 6. „კოლმეურნე“ | სოღნადის |



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 აპრილის № 1013/კ
დადგენილების დანართი № 3

ს ი ა

საქართველოს სსრ გაზეთებისა, რომლებიც გამოიცემა როგორც საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოები

| გაზეთის დასახელება | კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რომელ საწარმოო სამმართველოებს, ქალაქებსა და რაიონებს გაუწევენ მომსახურებას | გამოცემის ადგილი |
|--|---|------------------|
| 1. „კომუნისმის დროშა“ | ამბროლაურის კოლმეურნეობათა საწარმოო სამმართველოს, ცაგერისა და ლენტეხის რაიონებს | ამბროლაური |
| 2. „წითელი დროშა“ (ქართულ ენაზე, დუბლი სომხურ ენაზე, დუბლი რუსულ ენაზე). | ახალციხისა და ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს | ახალციხე |
| 3. „გამარჯვება“ | გორისა და ხაშურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს ქ. გორს | გორი |
| 4. „კომუნისმის გზა“ | დეშეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებს. | დეშეთი |
| 5. „ლენინელი“ | ზესტაფონისა და საჩხერის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს. | ზესტაფონი |
| 6. „მებრძოლი“ | ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, მესტიის რაიონს | ზუგდიდი |
| 7. „ლენინის დროშა“ | მაზარაძისა და ლანჩხუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს | მაზარაძე |
| 8. „დროშა“ | წყალტუბოსა და მთავაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს | წყალტუბო |
| 9. „აენგარდი“ | ცხაკიასა და გეგეჭკორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს | ცხაკია |
| 10. „ლენინის გზით“ | გურჯაანისა და ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს | გურჯაანი |

საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 2 აპრილის № 226/012/63
დადგენილების დანართი № 4

ს ი ბ

საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული გაზეთებისა, რომელთა
გამოცემა წუდება

| გაზეთის დასახელება | გამოცემის ადგილი |
|---|------------------|
| 1. „ახალი კოლხიდა“ | ქ. ფოთი |
| 2. „კიათურის მლაროელი“ | ქ. კიათურა |
| 3. „ტყვარჩელის მლაროელი“ | ქ. ტყვარჩელი |
| 4. „გორი“ | ქ. გორი |
| 5. „ტყიბულის მემსახტე“ (რაიონული გაზეთი) | ქ. ტყიბული |

ჩ. 322 ა. 2





61 1966-1970 წლებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავების შესახებ

„1966-1970 წლებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 მარტის № 306 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს, საბმშენს, მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, შშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს შეიმუშაონ სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო ინსტიტუტების საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების მონაწილეობით, პირველი ათწლეულისათვის სკკპ პროგრამის დავალბათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ცალკეული დარგების განვითარების საკითხებზე მიღებულ შემდგომ დადგენილებათა საფუძველზე, პროექტი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის პერსპექტიული განვითარებისა 1966-1970 წლებისათვის, ამასთან განაწილდეს დავალბანი წლების, ცალკეული დარგების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიხედვით.

2. ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებისას გაითვალისწინონ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას:

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის პროპორციული განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა მრეწველობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ეკონომიურად ყველაზე პროგრესული დარგების დაჩქარებული განვითარების გზით;

რესპუბლიკის მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა ყველაზე რაციონალური და ეფექ-



ტური გამოყენება, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურების აღზრდა, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვა და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მშენებლობისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირება;

პროდუქციის ხარისხის ძირეულად გაუმჯობესება, ახალი, პროგრესული კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა ათვისება, მოძველებული სახეობის პროდუქციის მოხსნა წარმოებიდან;

საწარმოო ძალთა სწორად განლაგება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოება, სარესპუბლიკათაშორისო და შიგარესრესპუბლიკური კავშირთა თვითობის სრულყოფა და რაიონების მეურნეობის რაციონალურად განვითარება, განსაკუთრებით ახალი სამრეწველო რაიონების განვითარება;

მშრომელთა საარსებო დონის ამაღლება იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობა საჭირო სახეობის საქონლითა და საცხოვრებელი ბინებით.

3. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებისა და სამრეწველო-საწარმოო ზონების პარტკომებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და სხვა სამეურნეო ორგანოებთან ერთად, მოაწიონ წინადადებათა შემუშავება 1966-1970 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტისათვის თვითეულ საწარმოში, სამშენებლო ორგანიზაციაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში, საპროექტო ორგანიზაციაში ისე, რომ ფართოდ იქნას განხილული ეს წინადადებანი მშრომელთა კოლექტივების მიერ.

საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წინადადებათა შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების მასშტაბების გაფართოებასთან ერთად, საწარმოთა შინაგანი რეზერვების გამოვლინებას და პროდუქციის ხარისხის შემდგომ მკვეთრ ამაღლებას, მის საიმედოობასა და გამძლეობას.

4. ეცნობოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბ-



კოვების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 მარტის № 306 დადგენილებით:

— საჭიროდ არის ცნობილი, რომ განხორციელდეს ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავება ორ ეტაპად: პირველი ეტაპი — 1966-1970 წლებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტის შემუშავება ჯველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით და მეორე ეტაპი — გაშლილი ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავება ისე, რომ დავალებანი განაწილდეს წლების, ცალკეული დარგების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების მიხედვით:

— დაევალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს 1966-1970 წლებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავების წესი და ვადები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ ამ გეგმის პროექტი ფართოდ უნდა იქნას განხილული საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს კპ

საქართველოს სსრ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

დ. ზემლიანსკი.

გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 17 აპრილი, № 263

62

„გაზეთების ქსელის მოწესრიგებისა და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 აპრილის № 236 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

„გაზეთების ქსელის მოწესრიგებისა და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 აპრილის № 236 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის 4 მაისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ გაზეთების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:



1. „გაზეთების ქსელის მოწესრიგებისა და ადგილობრივი რადიო-
 ომაუწყებლობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს
 ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
 საბჭოს 1963 წლის 2 აპრილის № 236 დადგენილების მეოთხე მუხ-
 ლის № 4 დანართიდან ამოღებულ იქნას საქალაქო გაზეთები „ახალი
 კოლხიდა“ და „ჭიათურის მაღაროელი“.

2. დამტკიცდეს გაზეთების — „სოვეტსკაია აფხაზიას“, „საბჭო-
 თა აფხაზეთის“ და „აპსნი კაპშის“ გაერთიანებული რედაქციის
 მუშაკთა შტატები და ზელფასის განაკვეთები, დანართის თანახმად.

| | |
|------------------------------|------------------------------|
| საქართველოს კპ | საქართველოს სსრ |
| ცენტრალური კომიტეტის მდივანი | მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| 3. მთავანაძე. | 3. ჯავახიშვილი. |

ქ. თბილისი, 1963 წ. 14 მაისი, № 337



საქართველოს აკადემიური ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1963 წლის 14 მაისს დადგენილების დასაბუთებით

გაზეთების — „სოვეტსკაია აფხაზიას“, „საბჰოთა აფხაზეთის“ და „აპსნი კაპშის“ გაერთიანებული რედაქციის მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

| თანამდებობანი | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.) |
|---|----------------------|-------------------------------------|
| 1. რედაქტორი | 1 | 230 |
| 2. რედაქტორის მოადგილე გამოცემის ხაზით | 3 | 140 |
| 3. პასუხისმგებელი მდივანი გამოცემის ხაზით | 3 | 140 |
| 4. მდივნის მოადგილე გამოცემის ხაზით | 3 | 100 |
| 5. განყოფილების გამგე | 4 | 105 |
| 6. განყოფილების გამგე | 4 | 100 |
| 7. მთარგმნელთა განყოფილების გამგე | 1 | 105 |
| 8. სპეციალისტ-კონსულტანტი | 3 | 25 |
| 9. მთარგმნელი | 9 | 90 |
| 10. საკუთარი კორესპონდენტი | — | 95 |
| 11. ლიტერატურული თანაშრომელი | 18 | 70-90 |
| 12. გამომშვები | 4 | 88 |
| 13. ფოტოკორესპონდენტი | 1 | 60 |
| 14. მხატვარ-შერეტიუშე | 1 | 64 |
| 15. სტენოგრაფისტი | 1 | 60 |
| 16. ტექნიკური მდივანი | 1 | 60 |
| 17. უფროსი შემანქანე | 1 | 60 |
| 18. შემანქანე | 8 | 55 |
| 19. წერილების განყოფილების აღმრიცხველი | 1 | 60 |
| 20. სარევიზიო კორექტორი | 3 | 69 |
| 21. კორექტორი | 12 | 64 |
| 22. წამკითხველი | 6 | 60 |
| 23. ტელეტიპისტი | 3 | 65 |
| 24. ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი | 1 | 60 |
| სულ (საკუთარი კორესპონდენტების ჩათვლელად) | 92 | |



63 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების გაუმჯობესების ზომების შესახებ

საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში უმნიშვნელოვანესი გამოკვლევებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ცენტრალიზაციის, მეცნიერების იმ უდიდესი ამოცანების გადასაწყვეტად მეცნიერული ძალებისა და საშუალებების კონცენტრაციის მიზნით, რომლებიც უშუალოდ დამოკიდებულია წარმოებისა და კულტურის განვითარებასთან, და სამეცნიერო სამუშაოთა დონის ამაღლების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 აპრილის № 436 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კვლევით-ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, 1963 წლის 11 აპრილის № 436 დადგენილება „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

2. გადაეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამკვებლობიდან მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს, სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს დარგობრივი პროფილის სამეცნიერო დაწესებულებები, დანართის თანახმად.

3. ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა გადაცემა მოხდეს 1963 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 22 მაისის № 556 დადგენილებით დაწესებული წესის შესაბამისად.

4. იმასთან დაკავშირებით, რომ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გადაეცა მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა უწყებების გამკვებლობაში, დაევალოთ საქართველოს სსრ



მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი სახალხო მეურნეობის შრომის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და კაპიტალ-დაბანდებათა გეგმის მაჩვენებლებში, საქართველოს სსრ საფინანსო გეგმებსა და ბიუჯეტში 1963 წლისათვის.

5. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოეწყო სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელსაც გადაეცა საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მრეწველობის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და სოციალისტურ საწარმოთა განლაგების განყოფილებანი, დარჩენილი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს ამიერიდან ეწოდოს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს:

ა) 1963 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების სამუშაოთა მიმართულება და სპეციალიზაცია;

ბ) 1963 წლის 15 სექტემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად შეთანხმებული და აკადემიის საერთო კრების მიერ მოწონებული პროექტები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურისა და წესდების შეცვლისა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი ყურადღება მიქციოს გამოკვლევათა განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე პერსპექტიულ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია ახალ აღმოჩენებთან და გამოგონებებთან, სამამულო და უცხოეთის



მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესწავლისა და განვითარების ორგანიზაციას იმ მიზნით, რომ უსწრაფესად დაინერგოს ისინი სახალხო მეურნეობაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. მჭავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საკოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 21 მაისი, № 357



საქართველოს კ. ცენტრალური მდივნობა
და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
1963 წლის 21 მაისის № 357
დადგენილების დანართი

ს ი ბ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისა, რომლებიც გადაეცა მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს და სხვა უწყებებს

მეტალურგიის ინსტიტუტი, ვარდა ზუსტი და მხატვრული სხმულის ლაბორატორიისა, ქ. თბილისი

მეტალურგიის ინსტიტუტის ზუსტი და მხატვრული სხმულის ლაბორატორია, ქ. თბილისი

მანქანათმშენობის ინსტიტუტი, ქ. თბილისი

ა. ი. დიდებულის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი, ქ. თბილისი

ტყის ინსტიტუტი, ქ. თბილისი

საცდელ-საჩვენებელი სადგურები ტყის ინსტიტუტთან: აფხაზეთის საცდელ-საჩვენებელი სატყეო სადგური, ოჩამჩირე, აფხაზეთის ასსრ; ახალდაბის საცდელ-საჩვენებელი სადგური, სოფ. ახალდაბა; გორის საცდელ-საჩვენებელი სადგური, სოფ. ახალდაბა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტს

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს

"

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტს

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ზე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხისდამამუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს



ნებელი სატყეო მეურნეობა, ქ. ვორი; თბილისის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობა, სოფ. დილომი; საგურამოს ტყის მეურნეობა, სოფ. წიწამური

მ. ი. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი

უროლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და პემატოლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი

კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი ქ. თბილისი

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

საქართველოს ს. მ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, ქ. თბილისი

სსრ კავშირის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხის-დამამუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიას

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიას

„

„

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.



ეროვნული
წიგნების
კავშირები

64 უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების საქმეში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. გასული ათი წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა გამოშვება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გადიდა 1,8-ჯერ, მათ შორის ინჟინრებისა — 1,9-ჯერ. საწარმოო შრომასთან სწავლების დაკავშირებამ, ცხოვრებასთან, წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაახლოებამ, რაც სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად ხორციელდება, აამღლა ახალგაზრდა სპეციალისტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონე.

მნიშვნელოვნად გადიდა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში იმ ახალგაზრდების მიღება, რომლებსაც აქვთ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მუშაობის პრაქტიკული სტაჟი.

საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფართოდ განვითარებას განვლილი ოთხი წლის მანძილზე ის შედეგი მოჰყვა, რომ წარმოებისაგან მოუწყვეტელი სწავლება სპეციალისტთა მომზადების ძირითადი ფორმა გახდა.

ამასთან ერთად უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების საქმეს დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

სპეციალისტთა მომზადება მთელ რიგ შემთხვევებში არ არის დაკავშირებული კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებასთან. ცოტა მზადდება სპეციალისტები ახალი ტექნიკის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგებში.

ამავე დროს კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგთა მომზადება აღემატება მათზე არსებულ რეალურ მოთხოვნილებას. ნამდვილი მოთხოვნილების გათვალისწინებლად წარმოებს სპეციალისტთა მომზადება ხელოვნების დარგში.

საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების ჩამორჩენის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ



დარგებში (მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, მრეწველობის მუღობა, სოფლის მეურნეობა) არასწორი თანაფარდობის შექმნის შემთხვევაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა შორის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები ამცირებენ მოთხოვნილებას საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს ხშირად იყენებენ ისეთ თანამდებობებზე, რომლებზედაც შეიძლება დანიშნულ იქნას საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტები.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო გეგმები გადატვირთულია სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით, რაც იწვევს მოსწავლეთა სრულიად გაუმართლებელ გადატვირთვას. მთელ რიგ საგნებში არ მოიპოვება სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოყენების საქმეს. სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა მხრივ ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების გეგმის შესრულებისადმი სათანადო კონტროლის უქონლობის გამო, უმაღლესი სასწავლებლების ბევრი კურსდამთავრებული არ მიდის დანიშნულების ადგილებზე და სამუშაოდ ეწყობა ქალაქებში, უპირატესად ქ. თბილისში, ხშირად არასპეციალობის მიხედვით. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ხშირად არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას მათს განკარგულებაში გაგზავნილ სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და საწარმოო ზრდისათვის.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი წარმატებითი განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებისა და განაწილების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის № 533 დადგენილებისა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების ზომების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის № 533 დადგენილება „უმაღლესი და



საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნებს შესახებ" დაეგზავნოს სიის მიხედვით ორგანიზაციებსა და უწყებებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და ცეკავშირს უზრუნველყონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების შემდგომი გეგმაზომიერი გადიდება კადრებზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგების მოთხოვნილების შესაბამისად.

სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის დროს გაითვალისწინონ უმაღლესი განათლებასთან შედარებით საშუალო სპეციალური განათლების განვითარების უფრო მაღალი ტემპები, რათა 1970 წელს მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და სოფლის მეურნეობაში უმაღლესი განათლების ერთ სპეციალისტზე მოდიოდეს საშუალო სპეციალური განათლების მქონე სამი-ოთხი სპეციალისტი.

3. დაწესდეს, რომ სტუდენტთა და მოსწავლეთა კონტინგენტის გადიდება უმთავრესად უნდა ხორციელდებოდეს არსებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების გაფართოების, სამრეწველო საწარმოებთან, მშენებლობებთან, დიდ საბჭოთა მეურნეობებთან, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ფილიალების, საერთო-ტექნიკური და საერთო-სამეცნიერო ფაკულტეტების (ვანყოფილებების) შექმნის გზით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაერთიანდნენ 1963-1964 წლებში თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და საქართველოს შ. რუსთაველის სახელო-



ბის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის № 533 დადგენილების შესაბამისად.

5. იმ მიზნით, რომ შეიქმნას სასწავლო-მანერული ბაზა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტისათვის, რომლებიც 1963-1964 წლებში უნდა გაერთიანდნენ, დაევალოს თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე № 10 საცხოვრებელი სახლის განთავისუფლების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) განახორციელოს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ძირითადად დეკორაციულ-გამოყენებითი, მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების მხატვართა და სამხატვრო-სამრეწველო კონსტრუირების სპეციალისტთა მომზადება; ამასთან დაკავშირებით შეამციროს 1963 წლისათვის დაწესებული მისაღები კონტინგენტი 5 კაცით, მათ შორის სპეციალობით „ქანდაკება“ — 2 კაცით და „გრაფიკა“ 3 კაცით;

ბ) გადაიყვანოს თბილისის სამხატვრო აკადემიის საღამოს ფაკულტეტი მთლიანად დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და სამხატვრო-სამრეწველო კონსტრუირების სპეციალისტთა მომზადებაზე;

გ) გადაიყვანოს 1963 წლიდან თბილისის სამხატვრო სასწავლებელი ძირითადად დეკორაციულ-გამოყენებითი და სამრეწველო ხელოვნების სპეციალისტთა მომზადებაზე, რის გამო შეიტანოს ცვლილება მიღების დამტკიცებულ გეგმაში, დანართის თანახმად;

დ) შემოიღოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ სასწავლებლებში სასწავლო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰუმანიტარული ციკლის დისციპლინების გაფართოებას სხვა არამპროფილებელ საგნებში საათების რაოდენობის შემცირების ხარჯზე.

7. თბილისის სამხატვრო აკადემიამ დააწესოს დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ყველა სპეციალობაში სწავლების ხუთწლიანი ვადა ნაცვლად ექვსი წლისა.

8. მიღებულ იქნან საკონკურსო გამოცდების წესით ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში ის პირები, რომლებმაც გამოიჩინეს შემოქმედებითი ნიჭი. აქტიურ მონაწილეობას იღებენ მხატვრულ თეი-



თმოქმედებაში და მიიღეს რეკომენდაციები მუშაობის ადგილიდან.

9. პედაგოგიურ ინსტიტუტებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების მოწესრიგების უზრუნველყოფის მიზნით, მომზადებულ იქნა ისინი, როგორც წესი, ერთი სპეციალობის მიხედვით (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, რუსული ენა და ლიტერატურა, მშობლიური ენა და ლიტერატურა და სხვ.). სწავლების ოთხი წლის ვადით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია მცირეკომპლექტიანი სკოლებისათვის მასწავლებელთა ორპროფილიანი მომზადების შენარჩუნება ზოგიერთ პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლების ხუთი წლის ვადით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მიიღონ საჭირო ზომები უმაღლესი სასწავლებლების უმცროსი კურსების სტუდენტთა საწარმოო მუშაობის და უმაღლესი სასწავლებლების უფროსი კურსების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო მუშაობისა და პრაქტიკის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, მისცენ მათ საშუაო ადგილები და თანამდებობანი სასწავლებელში მიღებული სპეციალობის შესაბამისად და უზრუნველყონ, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ საჭირო ცოდნა წარმოების ტექნოლოგიის, ორგანიზაციისა და ეკონომიკის დარგში.

11. დაევალოს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამრეწველო და სასოფლო პარტიულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სასოფლო აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომელთა განკარგულებაში იგზავნებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელთა კურსდამთავრებული პი-



რები, უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტთა სწორედ განლაგებასა და სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით, გამოუყონ რეზერვები და შეუქმნან სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები აქვთ:

ა) გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმებით, 1964 წლიდან დაწყებული, საჭირო კაპიტალური დაბანდებანი უმაღლესი, გამსაკეთრებით საშუალო სპეციალური სასწავლებლების, მშენებლობასა და მოწყობაში, აგრეთვე დავალებანი სასწავლო მოედნებისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების საექსპლუატაციოდ გადაცემისა, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარებას საქართველოს სსრ-ის პუბლიკაში ამ დადგენილებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად;

ბ) გაითვალისწინონ წლიური გეგმებით, რომ გამოეყოს უმაღლესი სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს ახალი მარკის მანქანები, ზელსაწყობები და აპარატები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სადაზგო მოწყობილობა სერიული წარმოების პირველი პარტიებიდან.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას მოამზადოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოდგინოს იმ დადგენილებათა ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

საქართველოს კბ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. შავეჩანიძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯანაშიაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წლის 29 ივნისი, № 441.



საქართველოს ენციკლოპედიკური ცენტრის
და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
1963 წლის 29 ივნისის № 414/101/63
დადგენილების დანართი

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა

თბილისის სამხატვრო ხასწავლებლის მისაღები კონტინგენტი

| | დაწესებული მისაღები კონტინგენტი | აბლად დაწესებული მისაღები კონტინგენტი |
|--|---------------------------------|---------------------------------------|
| თბილისის სამხატვრო ხასწავლებლების მისაღები კონტინგენტი | 75 | 75 |
| მათ შორის სპეციალობანი: | | |
| 2003 — ხაზისა და ხატვის სწავლება | 15 | — |
| 2114 — თეატრალურ-დეკორაციული | 10 | — |
| 2118 — ხის, ძვლისა და ქვის მხატვრული დამუშავება | — | 25 |
| 2121 — ფეხსაცმლის მოდელირება და ტყავის მხატვრული გაფორმება | 25 | — |
| 2125 — ტანსაცმლის მოდელირება და კონსტრუირება | 25 | 50 |



სსრკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ ვ ა ნ ი ლ ა ბ ა № 533

1963 წლის 9 მაისი

მოსკოვი, კრემლი

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების ზომების შესახებ

სსრკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების მხრივ მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. გასულიათი წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა გამოშვება ვადიდდა 1,5-ჯერ, მათ შორის ინჟინრებისა — 2,5-ჯერ.

მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიერ სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესრულების საქმეში. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლების დაკავშირებისა და ცხოვრებასთან, წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაახლოების საფუძველზე ამაღლდა ახალგაზრდა სპეციალისტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონე. ვადიდდა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში იმ ახალგაზრდების მიღება, რომლებსაც აქვთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში მუშაობის გამოცდილება, მნიშვნელოვნად განვითარდა საღამოს და დაუსწრებელი განათლება. იმ პირობით კონტინგენტი, რომლებიც წარმოებისაგან მოუწვევეტლოვ სწავლობენ, სტუდენტთა და მოსწავლეთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს შეადგენს.

ამავე დროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების საქმეში აღვილი აქვს დიდ ნაქლოვანებებს.



უმაღლესი სასწავლებლების განლაგება ეკონომიკური განვითარების მიხედვით მთელ რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება მეთურნეობისა და კულტურის დარგების განვითარების დონეს.

ცოტა მზადდება სპეციალისტები ახალი ტექნიკის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკის, ქიმიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში, ეკონომისტები, აგრეთვე მასწავლებლები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, ამავდროს კადრების მომზადება ხელოვნების დარგში წარმოებს ნამდვილი მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად, სახალხო მეთურნეობისა და კულტურის განვითარების ამოცანებისაგან მოწყვეტით.

ჩამორჩენილია საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადება. უმაღლესი განათლების მქონე პირებს ხშირად იყენებენ ისეთ თანამდებობებზე, რომლებიც შეიძლება დაიკავონ საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებმა.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეები გადატვირთული არიან სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით, ადგილი აქვს მასალების დუბლირებას შესასწავლ დისციპლინებში. მთელ რიგ საგნებში არ მოიპოვება სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოყენების საქმეს. უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებული ბევრი ახალგაზრდა არ მიდის დანიშნულების ადგილებზე სამინისტროებისა და უწყებების მიმართებით და სამუშაოდ ეწყობა უპირატესად დიდ ქალაქებში, ზოგჯერ არასპეციალობის მიხედვითაც კი. საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა განკარგულებაშიც იგზავნებიან ახალგაზრდა სპეციალისტები, ხშირად არასწორად იყენებენ მათ სამუშაოზე. უყურადღებოდ ეკიდებიან ახალგაზრდა სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ. უზრუნველყონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების შემდგომი გეგმაზომიერი განვითარება, კად-



რებზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგების განვითარების შესაბამისად.

სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის დროს გაითვალისწინონ უფრო მაღალი ტემპები საშუალო სპეციალური განათლების განვითარებისა უმაღლეს განათლებასთან შედარებით, იმ ანგარიშით, რომ 1970 წელს მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და სოფლის მეურნეობაში უმაღლესი განათლების მქონე ერთ სპეციალისტზე მოდიოდეს საშუალო სპეციალური განათლების სამი-ოთხი სპეციალისტი.

მოწონებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების საკონტროლო დავალებანი 1965 წლისათვის, № 1 დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ სტუდენტთა და მოსწავლეთა კონტინგენტის გადიდება უმთავრესად უნდა ხორციელდებოდეს არსებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების გაფართოების, სამრეწველო საწარმოებთან, მშენებლობებთან, დიდ საბჭოთა მეურნეობებთან, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ფილიალების, საერთო ტექნიკური და საერთო სამეცნიერო ფაკულტეტების (განყოფილებების) შექმნის ხარჯზე.

ახალი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, ქარხანა-უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ჩათვლით, შეიქმნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების რაიონებში.

მიღებულ იქნას რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ ყაზახეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, გზათა სამინისტროს და საზღვაო ფლოტის სამინისტროს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს 1963—1970 წლებში უმაღლესი სასწავლებლები, № 2 დანართის თანახმად*.

3. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ:

*) დანართი № 2 კრებულში არ იბეჭდება.



ა) ამ დადგენილებითა შეაბამიანად ახლადმოწყობ-**სასწავლო** სასწავლებლებისათვის ააწინონ სასწავლო შენობები **ბიზუნიტის** საერთო აავტორებლები და სხვა ობიექტები იმ მოცულობათ და იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულა № 2 დანართით;

ბ) განახორციელონ 1964—1968 წლების განმავლობაში სასწავლო შენობების შშენებლობა მოქმედი დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის. დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლების ნუსხა და მათთვის შშენებლობის მოცულობა განისაზღვროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

ნება დართოს რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოებს, როგორც გამოსაკლისი, განახორციელონ 1964—1966 წლებში შშენებლობა 40 ათასი კუბ. მეტრი მოცულობის თითო სასწავლო შენობისა ამ დადგენილების მე-2 დანართში აღნიშნული თვითიველი ქარხანა-უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის და მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანასთან არსებული ქარხანა-უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის იმ კაპიტალურ დაბახვებათა სარჩევ, რომლებიც მრეწველობის შესაბამისი დარგებისათვის გამოიყოფა.

4. უმაღლესი სასწავლებლების ქველის მოწყობებისა და მათი გამსხვილების მიზნით, ვერთობიან და ვადაგვიანდენ 1963—1964 წლებში უმაღლესი სასწავლებლები, № 3 დანართის თანახმად.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს აწარმოოს სპეციალისტთა მომზადება ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში იმის შესაბამისად, თუ რამდენი სპეციალისტი სჭირდებათ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებს.

შემკირდეს 1963 წლიდან ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში დღის სწავლებაზე მიღების საერთო ყოველწლიური კონტინგენტი 200-250 კაციით.

6. მიღებულ იქნას სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წინადადება იმის შესახებ, რომ ვარდაიქმნას ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი ა. მ. გორკის სახელობის დაუსწრებელ ლიტერატურულ ინსტიტუტად.



ინსტიტუტში მიღებულ იქნან ის პირები, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში და ლიტერატურული საქმიანობის ნიჭი.

7. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების პროფილის სრულყოფის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ექვესი თვის ვადაში შეიტანონ საჭირო ცვლილებანი სპეციალობათა ნუსხაში, ამასთან ტექნიკურმა მხედველობაში, რომ მომზადებულ უნდა იქნან:

ა) უმაღლესი სასწავლებლებზე — უმაღლესი განათლების მქონე უფრო ფართო პროფილის სპეციალისტები და შემეიარდეს, სპეციალობათა საერთო რაოდენობა:

ბ) საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები ვიწრო პროფილის მიხედვით.

8. ადგილობრივ სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ექვსი თვის ვადაში შეიჭუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სელფსისის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ იმ თანამდებობათა ტიპობრივი ნომენკლატურები, რომლებზედაც დანიშნულ უნდა იქნან უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგების მიხედვით. თანამდებობათა ტიპობრივი ნომენკლატურების დამტკიცების დროს გაითვალისწინონ საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა უფრო ფართოდ გამოყენება.

წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მორეკონსტრუქციული განრიგები მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და რესპუბლიკებსა და ორგანიზაციებში თანამდებობათა დამტკიცებულ ტიპობრივი ნომენკლატურების შესაბამისად.

9. სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მთ-

მზადების პერსპექტიული დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დაევალოთ სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომპეტებებს შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგინონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე სახაღზო მეურნეობის შესაბამისი დარგების პერსპექტიული მოთხოვნილების გეგმები, მათი მომზადების პერსპექტიული გეგმების პროექტები, აგრეთვე წინადადებანი იმის შესახებ, რომ სპეციალისტთა პროფილში შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი ტექნიკური პროგრესის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და წარმოების მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, გაითვალისწინონ პერსპექტიული და წლიური გეგმებით სპეციალისტთა მომზადების კოორპირება უმაღლეს სასწავლებლებში იმ სპეციალობათა მიხედვით, რომლებზედაც მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნილება უმნიშვნელოა.

11. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოაწესრიგონ და დაანჭარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მასწავლებლების მომზადება პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ამზადონ ისინი, როგორც წესი, თითო სპეციალობის მიხედვით (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, რუსული ენა და ლიტერატურა, მშობლიური ენა და ლიტერატურა და სხვ.), სწავლების ოთხი წლის ვადით.

ნება დაერთოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით ჩაატარონ პედაგოგიურ ინსტიტუტებში მასწავლებელთა მომზადება მცირეკომპლექტიანი სკოლებსათვის ორი სპეციალობის მიხედვით ზეუთი წლის სწავლების ვადით.

12. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

ა) შეიტანონ ცვლილებანი სპეციალისტთა მომზადებაში უმაღლეს საშბატვრო სასწავლებლებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ გამოშვებულ უნდა იქნან მშატვრები, რომლებსაც უნარი შესწევთ იმუშაონ მრეწველობის, განათლებისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში, ამ მიზნით გადაყვანილ იქნან უმაღლესი საშბატ-



ერო სასწავლებლები ძირითადად დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების მხატვართა და სამხატვრო-სამრეწველო კონსტრუირების სპეციალისტთა მომზადებაზე;

ბ) სადაზგო ხელოვნების მხატვართა მომზადებას თავი მოუყარონ მოსკოვის ვ. ი. სურკოვის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტში და ლენინგრადის ი. ე. რეპინის სახელობის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის ინსტიტუტში. შემოღებულ იქნას ამ ინსტიტუტების სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ სპეციალობით „ფერწერა“, „გრაფიკა“, „ქანდაკება“, სავალდებულო დამატებითი სპეციალიზაცია პედაგოგიკის ან სპექტაკლებისა და კინოფილმების მხატვრული გაფორმების დარგში;

გ) გადაიყვანონ სამხატვრო და სამხატვრო-სამრეწველო უმაღლესი სასწავლებლების საღამოს ფაკულტეტები მთლიანად დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების და სამხატვრო-სამრეწველო კონსტრუირების სპეციალისტთა მომზადებაზე;

დ) დააწესონ უმაღლეს სასწავლებლებში დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ყველა სპეციალობაზე სწავლების ხუთი წლის ვადა ნაცვლად 6 წლისა;

ე) მიიღონ საკონკურსო გამოცდების წესით ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში ის პირები, რომლებმაც გამოიჩინეს შემოქმედებითი ნიჭი, აქტიურ მონაწილეობას იღებენ მხატვრულ თვითმოქმედებაში და მიიღეს რეკომენდაციები მუშაობის ან სწავლის ადგილიდან;

ვ) გადაიყვანონ 1963 — 1966 წლების განმავლობაში სამხატვრო სასწავლებლები ძირითადად დეკორაციულ-გამოყენებითი და სამრეწველო ხელოვნების სპეციალისტთა მომზადებაზე;

ზ) შემოიღონ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საშუალო სასწავლებლებში სასწავლო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰუმანიტარული ციკლის დისციპლინების გაფართოებას სხვა არამპროფილებელ საგნებზე საათების რაოდენობის შემცირების ხარჯზე.

13. სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების, სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით სტუდენტთა გადატვირთვის აღმოფხვრის, დამოუკიდებელი მუშაობის გაძლიერებისა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მათი უფრო აქტიური მონაწილეობის მიზნით, დაწესდეს უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების დროს სტუდენტთა ზღვრული დატვირთვა ყველა სახის სასწავლო მეცადინეობით, საფაკულტეტო მეცადინეობის ჩათვლით: I-IV კურსებზე — 36 საათი და V-VI კურსებზე — 30



საათი კვირაში; სწავლების ოთხწლიანი ვადის დასრულების შემდეგ კურსებზე — 36 საათი და IV კურსზე — 30 საათი კვირაში.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების დროს აიკრძალოს სტუდენტთა დატვირთვა ყველა კურსზე სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით 36 საათზე მეტს კვირაში.

14. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის ორგანოებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიიღონ საჭირო ზომები უმაღლესი სასწავლებლების უმცროსი კურსების სტუდენტთა საწარმოო მუშაობის და უმაღლესი სასწავლებლების უფროსი კურსების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო მუშაობისა და პრაქტიკის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. მოსცენ მათ სამუშაო ადგილები და თანამდებობანი სასწავლებლებში მალეებულ სპეციალობის შესაბამისად და უზრუნველყონ, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ საჭირო ცოდნა წარმოების ტექნოლოგიის, ორგანიზაციისა და ეკონომიკის დარგში.

15. დაეკისროს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის ნაჯრები პერსპექტიული და წლიური გეგმების დამტკიცება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად გამომცემლობების და სასწავლებლების უწყებრივი დაქვემდებარებისა, დაწესდეს, რომ ეს გეგმები სავალდებულოა ყველა სამინისტროსა, უწყებისა, გამომცემლობისა და სასწავლებლებისათვის.

16. იმასთან დაკავშირებით, რომ იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა ფორმირების დამთავრება, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლობენ, წარმოებს პრაქტიკულ სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, — მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების დიპლომების მიცემა მოხდეს მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა სპეციალისტი ერთი წლის განმავლობაში იმუშავეს საინჟინეროს (უწყების) მიერ დანიშნის შესაბამისად, სადიპლომო



პროექტის (შრომის) დაცვის ან სახელმწიფო გამოცდების შედეგად.

დაწესდეს, რომ იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები წარმოებისაგან მოწყვეტით, დაიცვეს სადიპლომო პროექტები (შრომები), ან წააბარეს სახელმწიფო გამოცდები, მიუხედავად დროებითი მოწმობების სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიშნების მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოკავშირე ოცნებელიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის იმ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, დაადგინოს უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შესახებ დროებითი მოწმობებისა და დიპლომების გაცემის წესი.

17. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის საშინაო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, კულმურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოთა სამმართველოების, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომელთა განკარგულებაშიც იგზავნებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა კურსდამთავრებული ახალგაზრდები, უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტთა სწორად გამოყენება საბუთო სპეციალობის მიხედვით, მისცენ მათ საცხოვრებელი ფართობი, გაუწიონ სახედიცხი მომსახურება და შეუქმნან სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

18. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საეკვმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის სამინისტროებს:

ა) გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებით, 1964 წლიდან დაწესებულ, საჭირო კაპიტალური დაზანდებანი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მშენებლობისა და მოწყობისათვის, აგრეთვე დავალებანი სასწავლო მიედნებისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების საუქსპლუატაციოდ გადაცემისა, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარებას სსრ კავშირში;

ბ) გაითვალისწინონ წლიური გეგმებით, რომ გამოეყოთ უმაღლესი სასწავლებლებს და ტექნიკუმებს ახალი მარკის მანქანები,



ხელსაწყოები და აპარატები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სადაზგო მოწყობილობა სერიული წარმოების პარტიებიდან.

19. დაევალთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად, სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებათა იმის შესახებ, რომ მოეწყოს, 1964 წლიდან დაწყებული, ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ საწარმოებში ტიპობრივი სასწავლო და სამეცნიერო მოწყობილობის, ხელსაწყოების, აპარატებისა და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებების, წარმოება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის.

20. ნება დაერთოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და გამოფენების ხელმძღვანელებს უსასყიდლოდ გადასცენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოებისა და სხვა მოწყობილობის ნიმუშები, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასა და სხვა გამოფენებზე დემონსტრირებიდან მოხსნილი ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან სასწავლო მიზნებისათვის.

21. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შეიმუშაოს და მოაწიოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის ორგანოების მეშვეობით სისტემა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა დიდი უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების ბაზაზე, ამასთან ჩააბას ამ მუშაობაში ყველაზე კვალიფიციური სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო დარგობრივმა და საწარმოო კომიტეტებმა და სამინისტროებმა საქირო დახმარება გაუწიონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის ორგანოებს მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

22. დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:



ა) ჩაატაროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა აღრიცხვა 1963 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული ფორმების თანახმად, ამასთან უზრუნველყოს იმ სპეციალისტების გამოვლინება, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მუშაობენ არა იმ სპეციალობის მიხედვით, რაც მათ სასწავლებელში მიიღეს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებთან ერთად, გააანალიზოს მომუშავე სპეციალისტთა აღრიცხვის შედეგები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოდგინოს წინადადებანი სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების გაუმჯობესების შესახებ:

ბ) შემოიღოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაწესებულებების კაპიტალურ დაბანდებათა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულების აღრიცხვა.

23. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას მოამზადოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოდგინოს იმ დადგენილებათა და განკარგულებათა სია, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

სკკ ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



სსრკ ცენტრალური კომიტეტისა
და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 9 მაისის № 533
დადგენილების დანართი № 3

საკონტროლო დავალებანი

სპეციალისტთა მომზადებისა სსრ კავშირის უმაღლეს და საშუალო
სპეციალურ სასწავლებლებში 1965 წლისათვის

(ათასი კაცი)

| | მიღება | გაპოშვება | სტუდენტთა და მოსწავ- ლეთა რაოდენობა |
|--|--------|-----------|---|
| უმაღლეს სასწავლებლებში — სულ | 850 | 429 | 3860 |
| მათ შორის: | | | |
| დღის სწავლება | 360 | 230 | 1600 |
| სადამის და დაუსწრებელი სწავლება | 490 | 199 | 2260 |
| საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — სულ | 1033 | 631 | 3500 |
| მათ შორის: | | | |
| დღის სწავლება | 511 | 337 | 1680 |
| სადამის და დაუსწრებელი სწავლება | 522 | 294 | 1820 |

ამონაწერი

სსრკ ცენტრალური კომიტეტისა
და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 9 მაისის № 533
დადგენილების დანართი № 3

ნ უ ს ხ ა

უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებიც გაერთიანებულ და რეორგანიზებულ უნდა იქნან 1963-1964 წლებში

1. გაერთიანდნენ შემდეგი უმაღლესი სასწავლებლები:

საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან, ამასთან გაერთიანებულ უმაღლეს სასწავლებლებს ეწოდოს — საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი.



საქართველოს კვ მენგრაღური კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს დაღბენილება

65 სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში საუკეთესო მანვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ად გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნოს ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, რომელმაც საუკეთესო მანვენებლებს მიღწია სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში და ამავე დროს გააღიდა პირუტყვისა და ფრინვლის სულადობა 1963 წლის პირველ კვარტალში.

საწარმოო სამმართველოში მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის 1963 წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია: ხორცისა — 116,1 პროცენტით, რძისა — 114,2 პროცენტით, კვერცხისა — 129,8 პროცენტით.

პირუტყვისა და ფრინვლის სულადობამ 1963 წლის 1 აპრილისათვის 1963 წლის 1 იანვართან შედარებით შეადგინა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 104,3 პროცენტი, ძროხისა — 101 პროცენტი, ღორისა — 107,1 პროცენტი, ცხერისა და თხისა — 151,5 პროცენტი და ფრინვლისა — 171,5 პროცენტი.

2. აღნიშნოს თეთრიწყაროს, ყვარლის, გარდაბნის, სიღნაღის, ზესტაფონის, საჩხერის, სამტრედიის, მახარაძის, წყალტუბოსა და ლანჩხუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების კარგი მუშაობა 1963 წლის პირველ კვარტალში მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულებისათვის, რომლის დროსაც გაიზარდა პირუტყვისა და ფრინვლის სულადობა.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
მ. ზაშვილასკი,

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ბ. ჯაპახიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
ა. ლალაშვილი.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

66 1962-1963 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ 1962-1963 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად წარმატებით გაიშალა მუშაობა და მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მოპოვებული 1962-1963 სასწავლო წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებში და სხვა საშუალო ორგანიზაციებში საკეთარი სახსრებით ააშენეს 63 სკოლის, 1 სკოლა-ინტერნატის და 2 ბაგა-ბაღის შენობა; არსებული სკოლების შენობებს მიაშენეს და დააშენეს 527 ოთახი, ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული აქარის ასს რესპუბლიკაში, ქ. ქუთაისში, რუსთავსა და თბილისში, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ხულოს, ყოფ. ქობულეთის, ტყიბულის, შუაბევისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

მაგრამ, ამასთან ერთად, მიმდინარე სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად არადაამაკმაყოფილებლად იმუშავეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, წყალტუბოს, დუშეთისა და სხვა რაიონებში.

მოსწავლეთა კონტინენტის სწავლებაში ჩაბმის გეგმა არა აქვთ შესრულებული ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისისა და სხვა რაიონების, აფხაზეთის ასსრ, აქარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს.

მშენებლობის გეგმა არ შეუსრულებიათ ლენტეხის, ყოფ. ბორჯომის, ვანისა და წალკის რაიონებს; მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინებისა — ბოლნისის, მაიაკოვსკის, ყოფ. ლაგოდების, ორჯონიკიძის, თერჯოლისა და ტყიბულის რაიონებს; კაპიტალური და მიმდინარე რემონტისა — წყალტუბოს, დუშეთის, ყოფ. ხობის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონებს; დგამ-ავეჯის დამზადებისა — გორის, ზესტაფონის, ყაზბევისა და მაიაკოვსკის რაიონებს.



ზამთრის სეზონისათვის საჭირო რაოდენობის სათბურებში მათგან არ იყო უზრუნველყოფილი ამბროლაურის, ახალქალაქის, ხაჩნის, ყოფ. ონის, დმანისის, წალენჯიხისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სკოლები.

ზუგდიდის რაიონმა და ქ. ქუთაისმა აღებული ვალდებულებები მთლიანად და გადაკარგებით შეასრულეს. ზუგდიდის რაიონის შრომელებმა გასულ წელს ააშენეს 2 ახალი სკოლის და 1 სკოლა-ინტერნატის შენობა, არსებული სკოლების შენობებს მიაშენეს და დააშენეს 125 ოთახი და 14 სკოლა გადაიყვანეს ერთცვლიან მეცადინეობაზე. ქ. ქუთაისში საშუალო ორგანიზაციებმა შარშან ააშენეს 2 ახალი სკოლის და ერთი საბავშვო ბაღის შენობა, სასკოლო შენობებს მიაშენეს და დააშენეს 8 ოთახი, ხოლო 28 სკოლის შენობას ჩაუტარეს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

1962-1963 სასწავლო წლის მომზადებისათვის ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწია ქ. რუსთავემა, სადაც მეტალურგიული ქარხნის სახსრებით აგებულ იქნა კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა 960 მოსწავლისათვის, ხოლო რუსთავეის ცემენტის ქარხანამ № 5 საშუალო სკოლას აუშენა 18-ოთახიანი შენობა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით მახარაძის, სიღნაღისა და ყოფ. ქობულეთის რაიონებში. ამ რაიონებში აშენდა ახალი სასკოლო შენობები და მიშენების შედეგად დიდად გაიზარდა საკლასო ოთახების ფართობი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წინადადებანი იმის შესახებ, რომ:

ა) დამატებით დაწესდეს 1962-1963 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საეკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჭიბრებაში გამარჯვებული ქალაქებისა და რაიონებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური



კომიტეტის თითო გარდამავალი წითელი დროშა ფულადი საშუალებების გარეშე.

ბ) დარჩეს 1962-1963 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები ზუგდიდის რაიონისა და ქ. ქუთაისის და თვითუღეს მიეცეს 1500 მანეთი ფულადი პრემია, ხოლო მესამე დროშა გადაეცეს ქ. რუსთავს ფულადი პრემიის გარეშე.

დროშების გადაცემა დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ან. თ. ვ. ლაშქარაშვილს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ან. ლ. მაღლაფერიძეს.

2. აღინიშნოს, რომ 1962-1963 სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ლანჩხუთის, გურჯაანის, თელავისა და ყოფ. ტყიბულას რაიონებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთად უზრუნველყოს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მიერ სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მოპოვებული წარმატების შენარჩუნება, სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება და სასწავლო-მეტერიალური მასის შემდგომი გაუმჯობესება.

4. დაევალოს აღმაშენებლის ძსსრ და აქარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, შრომელთა დეპუტატების საბჭო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტს ამთავითვე გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება 1963-1964 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1960 წლის 9 ივლისის № 477 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური შეჯიბრების პრობლემის მიხედვით.



5. დაველოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, შრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქმთავროებში ნული საბჭოების აღმასკომებს პროფორგანიზაციების კომიტეტებთან ერთად ყოველი წლის 15 ოქტომბრისათვის შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა შესრულება და შედეგების შესახებ: ნოემბრამდე აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყოველი წლის პირველ დეკემბრამდე შეაჯამონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს პრეზიდიუმს დაოლქოდ წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაპახიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
ა. ლელაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 6 აპრილი, № 231

67 საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობებში დამატების შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1960 წლის შემდეგ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემას გადაეცა მთელა რიგი დიდი სამშენებლო ორგანიზაციები მათი სამრეწველო საწარმოებით, მათ შორის ტრესტი № 1 — ამიერკავკასიის მეტალურგმშენი, ტრესტი № 3 — თბილმრეწმშენი, მთავართბილმშენი, ტრესტი № 7 — საწმხტმშენი და ტრესტი № 8 — ცენტურმარჯანმშენი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ დღევანდელ წინადადებებს მიუხედავად



საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს
სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამრეწველო-საპროექტო-მეცნიერ-
თა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების წა-
სახალისებლად დაწესდეს დამატებით სამინისტროს სამშენებლო ორ-
განიზაციებისათვის ორი მეორე პრემია და ერთი მესამე პრემია;
სამრეწველო საწარმოებისათვის დაწესდეს საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრე-
მიით, ერთი მეორე და ერთი მესამე პრემია.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაგახიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
მ. ლელაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 26 აპრილი, № 274.

68 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატ-
ყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს
სატყეო მეურნეობათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალის-
ტური შეჯიბრების 1962 წლის შედეგების შესახებ

განიზილეს რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-
ბული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმარტვე-
ლოს სატყეო მეურნეობათა კოლექტივების რესპუბლიკური სოცია-
ლისტური შეჯიბრების 1962 წლის შედეგები, საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭო ადგენენ:

1. ცნობილ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არ-
სებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმარ-
ტველოს სატყეო მეურნეობების კოლექტივებს შორის რესპუბლი-
კურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიეცეს პირ-
ველი ფულადი პრემია 830 მანეთის ოდენობით და მიეკუთვნოს სა-
ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავში-
რთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა თიანე-
თის სატყეო მეურნეობის კოლექტივს (დირექტორი ამხ. გ. გიორ-
გაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. დოლიაშვილი), რო-
მელმაც 1962 წლის გეგმა შეასრულა შემდეგი მაჩვენებლებით:
ტყესაკაფის გამოყოფა მთავარი სარგებლობის კრისათვის — 101



პროცენტით, შუალედ სარგებლობის კრისათვის — 107 პროცენტით, მოვლითი კრის ფართობის მიხედვით — 139 პროცენტით, მასის მიხედვით — 127 პროცენტით, ტყის თესვა-დარგვა — 120 პროცენტით, ტყის კულტურების მოვლა — 113 პროცენტით, ტყის კულტურების გახარება — 95,1 პროცენტით, ბუნებრივი განახლებისათვის ხელის შეწყობის სამუშაოები — 103 პროცენტით, სკოლებისა და პლანტაციების გაშენება — 100 პროცენტით, სანერგეების გაშენება — 129 პროცენტით, ნიადაგის მომზადება მიმდინარე და მომავალი წლისათვის — 120 პროცენტით, სარგავი მასალის გამოყვანა — 100 პროცენტით, ხე-ტყის დამზადება სამეურნეო საქმიანობით — 116 პროცენტით, ხე-ტყის გამოზიდვა — 126 პროცენტით, ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვება — 129 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვება 103 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გამოშვება — 108 პროცენტით, საკუთარი სახსრების შენატანები — 115 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაცია — 108 პროცენტით, მთლიანი მოგება — 165 პროცენტით, შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა — 100 პროცენტით, კაპიტალური შშენებლობა — 107 პროცენტით, შემცირებულია ტყის თვითნებური ქრა და შესრულებულია ხანძარსაწინააღმდეგო და ტყის დაცვის ღონისძიებათა გეგმა.

2. დაევალოს თიანეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს აშხ. გ. გიორგაძეს და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარეს აშხ. გ. დოლიაშვილს ამ დადგენილების თანახმად კოლექტივისათვის მიკუთვნებული პრემია-ფულადი ჯილდო მისცენ მუშა-მოსამსახურეებს მოქმედი წესების შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წითელი დროშის გადაცემა თიანეთის სატყეო მეურნეობისათვის დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს უფროსს აშხ. ი. ი. ჩოდრიშვილს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ჩოგოვასია.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
მ. ლელაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 აპრილი, № 277.

69 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1962 წლის შედეგების შესახებ

განიხილეს რა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1962 წლის შედეგები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამ 1962 წელს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა 121,4 პროცენტით შეასრულა, მათ შორის პირველი ხარისხის — 115,3 პროცენტით, მეორე ხარისხისა — 137,3 პროცენტით; მიიღო ჰექტარზე საშუალოდ 6.702 კილოგრამი ჩაის ფოთლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 5.513 კილოგრამისა და 1961 წელს მიღებული 6.021 კილოგრამისა;

შრომის დანახარჯები ცენტნერ ჩაის ფოთოლზე გეგმასთან შედარებით შემცირდა 1,9 კაცდღით, ხოლო ცენტნერი ჩაის გეგმური თვისობისა — 2 მანეთი და 34 კაპიკით; 1962 წლის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მეურნეობამ 166,6 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი აღგვინებენ:

1. ცნობილ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებს შორის 1962 წელს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ამხ. ი. ს. ფუთურიძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. სერედა), რომელმაც შეასრულა 1962 წლის საწარმოო გეგმები და სოციალისტური შეჯიბრების ყველა პირობა; მიეკუთვნოს მას პირველი ფულადი პრემია 3250 მანეთის ოდენობით და დარჩეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მიერ 1961 წლის მაჩვენებლების შედეგად მიკუთვნებული გარდამავალი წითელი დროშა.



2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წარმომადგენელი დროშის გადაცემა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივისათვის დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილეს აშ. მ. დოლაბერიძეს და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს აშ. მ. ჯაშს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაშახიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
მ. ლელაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 8 მაისი, № 294.

70 1962—1963 სასწავლო წლისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა 1962—1963 სასწავლო წლისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მომზადების საქმეში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის გადაეცეს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს.

დროშის გადაცემა დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს აშ. ნ. ჰახრაკიას და განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს აშ. ლ. მალაფერიძეს.

2. აღინიშნოს, რომ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკურმა ინსტიტუტებმა, სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თბილისის პოლიტექნიკურმა ტექნიკუმმა, ზუგდი-



დისა და მახარაძის ჩაის ტექნოლოგიის ტექნიკუმებზე, რეკონსტრუქციის
პილრომელიორაციულმა ტექნიკუმმა. ზინჯლიჩიშვილი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაპახიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
მ. ლელაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 15 მაისი, № 317.

71 საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სა-
წარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკუ-
რი სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი კვარტალის
შედეგების შესახებ

განიხილა რა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამი-
ნისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბ-
ლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი კვარ-
ტალის შედეგები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქარ-
თველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი
ა დ გ ე ნ ე:

1. ცნობილ იქნას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სა-
მინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რეს-
პუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და გადა-
ეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს
პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი
დროშა და პირველი ფულადი პრემია 1812 მანეთისა და 50 კაპიკის
ოდენობით — სამგორწყალმშენის ტრესტის № 3 სამშენებლო სა-
მმართველოს კოლექტივს (სამმართველოს უფროსი ამხ. მ. სანაძე,
მთავარი ინჟინერი ამხ. ზ. კაციტაძე, სამშენებლო კომიტეტის თავ-
მჯდომარე ამხ. ი. ქყონია), რომელმაც 1963 წლის პირველი კვარ-
ტალის საწარმოო გეგმები და სოციალისტური შეჯიბრების ყველა
პირობა წარმატებით შეასრულა: სახელმწიფო გეგმით გათვალისწი-
ნებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 203,6 პროცენ-
ტით, მათ შორის წყალთა მეურნეობის სამინისტროსი — 194,9
პროცენტით, მექანიზებული სამუშაოების: მიწის სამუშაოებისა
179,4 პროცენტით, ბეტონის მოშაადება-დაწყოებისა — 181 პროცენ-
ტით, ბეტონის და რკინა-ბეტონის ნაკრები კონსტრუქციების დაწყო-
ებისა — 180,1 პროცენტით, ერთ მუშაკზე საშუალო გამომუშავებისა —
104,5 პროცენტით; თვითღირებულების შემცირების გეგმა შესრუ-



ლებულია 34.720 მან. ანუ 347 პროცენტით, ზეგეგმიით მუშაობის შედეგად დაგენს 24.726 მანეთს, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებებზე გათვალისწინებული სახსრები ათვისებულია 111 პროცენტით, ტრავმატიზმის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

2. დაევალოს სამგორწყალშენის ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსს ამხ. მ. სანაძეს და სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ი. ჭყონიას ამ დადგენილებით კოლექტივისათვის მიკუთვნებული პრემია — ფულადი ჯილდო მისცენ მუშა-მოსამსახურეებს მოქმედი წესის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა სამგორწყალშენის ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივისათვის დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრს ამხ. გ. ს. ქობულიას და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. ჯაშს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაბახიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
ა. ლელაშვილი.

ქ. თბილისი, 1963 წ. 6 ივნისი, № 361.

72 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსა-წარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი კვარტალის შედეგების შესახებ

განიზილა რა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსა-წარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის პირველი კვარტალის შედეგები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში ა დ გ ე ნ ე ნ:



1. ცნობილ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და სახელმწიფო პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზების, პუნქტებისა და წისქვილსაწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პირველი ფულადი პრემია 2-875 მანეთის ოდენობით ფოთის № 2 წისქვილკომბინატის კოლექტივის (დირექტორი ამხ. ა. გ. ხორავა, ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. მიხაილიდი), რომელმაც 1963 წლის I კვარტალის საწარმოო გეგმები და სოციალისტური შეჯიბრების ყველა პირობა წარმატებით შეასრულა;

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა საბითუმო ფასებში — 104,3 პროცენტით, სადღელამისო წარმადობისა — 103,9 პროცენტით, დადგენილ ასორტიმენტით პროდუქციის გამოშვებისა — 103,6 პროცენტით, მათ შორის: ფქვილისა — 103,5 პროცენტით, ბურღულისა — 119,6 პროცენტით; ერთი მუშის გამომუშავებისა — 104,3 პროცენტით, მთლიანი პროდუქციის თვითღირებულებისა — 99,5 პროცენტით; მიიღო ზეგეგმითი დაგროვება 45,5 ათასი მანეთი, დაზოგა 251 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და წარმოებაში დანერგა 13 რაციონალიზატორული წინადადება.

2. დაევალოთ ფოთის № 2 წისქვილკომბინატის დირექტორს ამხ. ა. გ. ხორავას და ადგილკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ი. მიხაილიდის, ამ კოლექტივისათვის მიკუთვნილი პრემია — ფულადი ჩილდო მისცენ მუშა-მოსამსახურეებს მოქმედი წესის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა ფოთის № 2 წისქვილკომბინატის კოლექტივისათვის დაევალოს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. ჯაშს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ჩოგოვაძე.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
მ. ლელაშვილი.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

საქართველოს მწიგნობართა და მწერთა კავშირი
ზინჯულიძეთაძე

73 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხვარე მწყემსების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ

ცხვრის სულადობის ამაღლებით, ცხვრის ხორცისა და მატყლის წარმოების გაზრდებით მეცხვარე მწყემსების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 თებერვლის № 129 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაუწესდეთ საბჭოთა მეურნეობებს მეცხვარეობის ბრიგადების მწყემსებისათვის დამატებითი ნატურალური საზღაურის მიცემის სანიმუშო ნორმები:

ა) წლის დასაწყისში ფარაში არსებულ ყოველ 100 დედა ცხვიდან ასხლეტისათვის მიღებულ 95-დან 100 ბატკანამდე ყოველი მეთავე ბატკანი, და ყოველ 100 დედა ცხვარზე ასხლეტილ 100 ბატკნის ზევით ყოველი მეხუთე ბატკანი;

ბ) წლის განმავლობაში 97 პროცენტზე ზევით დაცემისაგან შენარჩუნებულ ზრდადამთავრებული ცხვრის და ასხლეტილი მოზარდულის ნახევარი;

გ) ზრდადამთავრებული ცხვრის, აგრეთვე გასასუქებელი მოზარდულის ასხლეტის შემდეგ მათი სახორცედი ნაბარებამდე, — მომსახურე მწყემსებს მიეცეთ გეგმის ზევით მიღებული გასუქების მთელ პერიოდში წონის ნამატის 50 პროცენტამდე ნატურით.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს დაუწესონ კოლმეურნეობების მეცხვარე მწყემსებს დამატებითი ნატურალური საზღაურის სანიმუშო ნორმები, რაც დაწესებულია საბჭოთა მეურნეობებისათვის.

2. საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 2 აგვისტოს № 1004 დადგენილებით მე-19 მუხლის შესაცვლელად, დაწესდეს, რომ 1963 წლიდან დაწყებული, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მოწინავე მწყემსებს, რომლებმაც მაღალ და მყარ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცხვრის პროდუქტიულობის, მისი კვლავწარმოებისა და სულადობის შენარჩუნების საქმეში, „მეცხვარეობის ოსტატის“ წოდებას მიანიჭებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.



ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს და რჩევან-
მეურნეობებს, რომ მწყემსებს, რომელთაც „მეცხეობის
ტის“ წოდება მიენიჭათ, შრომის ანაზღაურება გაუდიდონ 20 პრო-
ცენტით.

3. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინი-
სტრთა საბჭოს 1963 წლის 2 თებერვლის № 129 დადგენილებით და-
ევალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავ-
შირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბ-
ლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, შეიმუშაოს სანიმუ-
შო დებულება მწყემსებისათვის „მეცხეობის ოსტატის“ წოდე-
ბის მინიჭების წესის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალოთ
დამტკიცონ ხსენებული დებულება რესპუბლიკის პირობებთან
შეთარღვებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 2 აპრილი, № 218.

74 საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების
წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს 1946 წლის 21 თებერვლის № 159 დადგენილება
„საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდების დამტკი-
ცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 4 აპრილი, № 221



დამტკიცებულა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 4 აპრილის № 100-1000
დადგენილებით

საქართველოს თეატრალური საზოგადოებებს წახსენება

1. საქართველოს თეატრალური საზოგადოებების ამოცანები

1. საქართველოს თეატრალური საზოგადოება (სოს) წარმოადგენს ნებაყოფლობითს საზოგადოებრივ შემოქმედებითს ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თეატრის მოღვაწეებს, რათა აქტიურად შეუწყონ ხელი საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

2. საქართველოს თეატრალური საზოგადოება, ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებითა და მთავრობის დადგენილებებით, ამოცანად ისახავს:

ხელი შეუწყოს ისეთი სასცენო ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხალხის კომუნისტურად აღზრდას, ჩამოაყალიბებენ მაღალ ესთეტიკურ გემოვნებას და პროპაგანდას გაუწევენ კომუნისტური მორალის პრინციპებს;

განამტკიცოს თეატრის მუშაკების კავშირი ხალხის ცხოვრებასთან;

აღზარდოს თეატრალური მოღვაწეები საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალისა და ეთიკის სულისკვეთებით;

ხელი შეუწყოს თეატრალურ მოღვაწეთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და მხატვრული ხელოვნების ოსტატობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, ძველი ქართული და საბჭოთა თეატრის კლასიკური მემკვიდრეობის, გამოცდილებისა და საუკეთესო ტრადიციების დაუფლებას;

აწარმოოს თანმიმდევრული ბრძოლა სოციალისტური რეალიზმის მეთოდისათვის თეატრალურ ხელოვნებაში;

განამტკიცოს და განავითაროს შემოქმედებითი კავშირი და გამოცდილების ურთიერთ გაზიარება მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო დემოკრატიული ქვეყნების თეატრალურ ხელოვნებასთან და კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ თეატრალურ მოღვაწეებსა და ორგანიზაციებთან;

აქტიური დახმარება გაუწიოს სახალხო თეატრების, თვითშემოქმედი თეატრალური კოლექტივებისა და კულტურის უნივერსიტეტების მუშაობას;



ხელი შეუწყოს სასცენო ტექნიკისა და თეატრალური წარმოდგენების განვითარებას;

იზრუნოს საზოგადოების წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო, მატერიალური და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

3. მეორე მუხლში მოხსენებული ამოცანების შესაბამისად საქართველოს თეატრალური საზოგადოება:

აწყობს ლექტორიუმებს, სემინარებს, მოხსენებებს, ატარებს დისკუსიებს, კონფერენციებს, თათბირებს, შეხვედრებს საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების საკითხებზე;

ეხმარება თეატრალურ კოლექტივებს რეპერტუარის ფორმირებაში, დრამატურგებთან მუშაობაში ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი პიესების შესაქმნელად;

კონსულტაციების საშუალებით დახმარებას უწევს თეატრალურ კოლექტივებსა და თეატრის ცალკეულ მოღვაწეებს სასცენო ნაწარმოებების შექმნაში;

გზავნის თეატრებში სპეციალისტებს შემოქმედებითი დახმარების აღმოსაჩენად და ამ თეატრების პრაქტიკული საქმიანობის შესასწავლად; გზავნის თეატრალურ მოღვაწეებს შემოქმედებითს მივლინებაში როგორც თეატრალური დარგის მიღწევათა, ისე სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, საბჭოთა ხალხის კულტურისა და ყოფაცხოვრების გასაცნობად;

აწყობს გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას თეატრალურ კოლექტივებსა და ცალკეულ თეატრალურ მოღვაწეთა შორის, აზოგადებს მოწინავე გამოცდილებას და ხელს უწყობს მის გავრცელებას;

ეხმარება თეატრის მუშაკებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში, აწყობს თეატრის ოსტატთა გამოცდილების გადაცემას ახალგაზრდობისათვის, რისთვისაც ატარებს სემინარებს, ქმნის შემოქმედებითს ლაბორატორიებსა და სექციებს;

ატარებს და მონაწილეობს კონკურსებსა და თეატრალური ხელოვნების მიღწევათა დათვალიერებაში;

ამყარებს მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებთან შემოქმედებითს კავშირს, ატარებს მათთან ერთად ისეთ ერთობლივ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ძმური მეგობრობის განვითარებას და განმტკიცებას, ურთიერთ დახმარებასა და შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარებას;



ამყარებს კონტაქტს საბჭოთა მწერლების, ჟურნალისტთა, პოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა და კინემატოგრაფისტთა მუშაეთა კავშირებთან;

ამხადებს გამოსაცემად ხელნაწერებსა და წიგნებს, რომლებშიც განზოგადებულია ქართული საბჭოთა თეატრისა და მისი ოსტატების შემოქმედებითი გამოცდილება, აგრეთვე — თეატრალურ მოღვაწეთა მემუარებს, მეთოდურ და პრაქტიკულ დამხმარე სახელმძღვანელოებს თეატრის საკითხებზე, წიგნებს თვითმოქმედი თეატრალური წრეებისა და სახალხო თეატრების დასახმარებლად, აგრეთვე—კრებულებს, ალმანახებს, ჟურნალებს, რომლებიც ასახავენ თეატრალური საზოგადოებრიობის ცხოვრებას;

უწევს შემოქმედებითს დახმარებას სახალხო თეატრებს, სახალხო შემოქმედების სახლებსა და თეატრალურ თვითმოქმედების კოლექტივებს, აწყობს სემინარებს თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელებისათვის, მონაწილეობს დათვალიერებებში, ატარებს კონსულტაციებს თეატრალური ხელოვნების საკითხებზე;

აარსებს და ინახავს აქტიორის სახლებს, შემოქმედებითს კლუბებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, გამოფენებს, ექსპერიმენტულ თეატრალურ კოლექტივებს, სპორტულ სექციებს;

აარსებს და ინახავს სცენის ვეტერანთა სახლებს, პოლიკლინიკებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, ინტერნატებს, საბავშვო სახლებს, საბავშვო ბაღებსა და პიონერთა ბანაკებს;

საზოგადოების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად აარსებს და ინახავს წარმოებრივ და სავაჭრო საწარმოებს, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ ამოცანებს და რომელთაც მიზნად აქვთ პროფესიული და სახალხო თეატრების, აგრეთვე თვითმოქმედი კოლექტივების და საზოგადოების წევრთა სასცენო მოღვაწეობის მოთხოვნილებათა მომსახურება;

უწევს საზოგადოების წევრებს ერთდროულ მატერიალურ დახმარებას და აძლევს სესხს ინვალიდობის, შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვისა და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში; ქმნის ურთიერთ დახმარების საღაროებს; ისეთ თეატრალურ მუშაკებს, რომლებსაც არა აქვთ საშუალება იმუშაონ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში;

შუამდგომლობს საპატიო წოდებათა მინიჭებისა და დაჯილდოების, აგრეთვე პენსიების დანიშვნის თაობაზე.



II. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობები

4. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრებად შეიძლება იყვნენ ყველა ენარის თეატრების, აგრეთვე ხელოვნების დაწესებულებათა მუშაკები, რომელთაც აქვთ თეატრის დარგში მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი და რომლებმაც გამოიჩინეს თავი შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, სახელდობრ:

მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, დირიჟორები, ბალეტ-მეისტერები, კონცერტმეისტერები, თეატრების ქორმეისტერები, ორკესტრის მსახიობები, თეატრების ქოროსა და ბალეტის მსახიობები; დრამატურგები, ასევე მთარგმნელები, ლიბრეტისტები და კომპოზიტორები, რომლებიც თეატრებისათვის ქმნიან ნაწარმოებებს; თეატრალური ტექნოლოგები და არქიტექტორები, დეკორატორები და მოქანდაკეები; თეატრალური კრიტიკოსები, თეატრ-მცოდნეები, ხელოვნებისმცოდნეები, მუსიკათმცოდნეები; თეატრების ლიტერატურული, მუსიკალური და პედაგოგიური ნაწილების მუშაკები; თეატრალური მუზეუმების მეცნიერი მუშაკები; უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისა და სტუდიების მასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ თეატრებისათვის კადრებს; თეატრების, თეატრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები; თეატრების სამხატვრო-ტექნიკური სამსახურების გამგეები; მხატვრული სიტყვის ოსტატები, სახალხო თეატრებისა და თეატრალური თვითშემოქმედების ისეთი ხელმძღვანელები ან მონაწილეები, რომელთაც გააჩნიათ თეატრალური განათლება ან საპატიო წოდება.

შენიშვნები: ა) ესტრადის მხოლოდ ის მსახიობი მიიღება საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრად, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოების საქმიანობაში;

ბ) იმ პირებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სპეციალური თეატრალური სასწავლებელი, სწავლების პერიოდი ჩაეთვლებათ ორი წლის სტაჟად, ხოლო თეატრალური საშუალო სასწავლებელდამთავრებულთ სწავლების დრო ჩაეთვლებათ ერთი წლის სტაჟად.



წიგნების
გამაყვანთა
სამსახურისთვის

5. საქართველოს თეატრალური საზოგადოების ბუღალტერი:

შეასრულოს საზოგადოების წესდება;
აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების შემოქმედებითის ცხოვრებაში;

შეასრულოს საზოგადოების არჩევითი ორგანოების დავალებები;

დაიცვას საქართველოს თეატრალური საზოგადოების პატივი და ღირსება;

6. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

აირჩიოს და იქნეს არჩეული საქართველოს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში;

მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მთელ შემოქმედებითს საქმიანობაში;

ისარგებლოს საზოგადოების კონსულტაციებითა და მეთოდური მასალებით;

ისარგებლოს საზოგადოების განკარგულებაში მყოფი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დახმარებისა და შეღავათების სახეებით;

საზოგადოების მოხუცებული წევრები, რომლებსაც აქვთ დამსახურება თეატრალურ დარგში, შეიძლება ჩარიცხული იქნენ საზოგადოების სცენის ვეტერანთა სახლში;

7. თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, ასევე პირებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით თეატრალური საზოგადოების წინაშე, შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო წევრის წოდება.

საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობა.

8. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრად მიღება ხდება საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის მიერ.

საზოგადოების წევრებად მიღებული პირები ღებულობენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრობის ბილეთს, იხდიან შესასვლელ შესატანს 50 კაპიკის ოდენობით და რეგულარულად იხდიან საწევრო შესატანს შემდეგი ოდენობით:

წევრები, რომლებსაც აქვთ ხელფასი თვეში 100 მანეთამდე ერთ მანეთსა და 20 კაპ. წელიწადში;



100 მანეთიდან 150 მანეთამდე — ერთ მანეთსა და 80 კაპ. წელიწადში;

150 მანეთზე მეტი — 2 მანეთსა და 40 კაპ. წელიწადში.

9. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრობიდან გარიცხვა ხდება:

ანტი საზოგადოებრივი ხასიათის საქციელის ჩადენისას, დანაშაულისათვის მსჯავრდადების შემთხვევაში, განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ;

საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდების არაერთგზის დარღვევისათვის;

ორი წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით საწევრო შესატანის გადაუხდელობისათვის.

საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი იმ წევრის თანდასწრებით, რომლის საკითხი იხილება, გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ შეიძლება ვასაჩივრებულ იქნეს საზოგადოების გამგეობაში და ყრილობაზე. საჩივარი არასწორი გარიცხვის შესახებ უნდა განიხილოს საზოგადოების გამგეობის მორიგმა პლენუმმა ან საქართველოს თეატრალური საზოგადოების მორიგმა ყრილობამ.

III. საქართველოს თეატრალური საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

10. საქართველოს თეატრალური საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელსაც იწვევენ ოთხ წელიწადში ერთხელ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობა:

განიხილავს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების ძირითად პრობლემებსა და საზოგადოების საქმიანობის მიმართულებას;

თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით შეაქვს წინადადებები მთავრობის ორგანოებში თეატრალური საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

ამტყიცებს საზოგადოების წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი;

ფარული კენჭისყრით ირჩევს საზოგადოების გამგეობასა და სარევიზიო კომისიას;

ისმენს და ამტყიცებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;



ირჩევს საზოგადოების საპატიო წევრებს;
შენიშვნები: ა) საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის დასაფუძვლებლად მოწვეულ იქნას საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით;

ბ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არ არიან არჩეული ყრილობის დელეგატებად, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

11. ყრილობათა შორის საზოგადოების ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა, რომლის პლენუმები მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა:

განიხილავს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების ძირითად პრობლემებსა და საზოგადოების საქმიანობის მიმართულებას;

თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით შეაქვს წინადადებები მთავრობის ორგანოებში თეატრალური საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

აირჩევს ღია კენჭისყრით გამგეობის პრეზიდიუმს, მის თავმჯდომარესა და მოადგილეებს;

მოისმენს და დაამტკიცებს გამგეობის პრეზიდიუმის ვეგვებასა და საანგარიშო მოხსენებებს;

განსაზღვრავს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოკრივი ყრილობის წარმომადგენლობის ნორმებს;

შენიშვნა: გამგეობა საზოგადოების წევრებთან კავშირს თეატრებში ახორციელებს იმ რწმუნებულთა საშუალებით, რომლებსაც თეატრებში ირჩევენ ორი წლის ვადით საზოგადოების წევრთა ღია კრებებზე.

12. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი:

ანაწილებს მოვალეობებს პრეზიდიუმის წევრთა შორის;

წარმართავს და ორგანიზაციას უკეთებს საზოგადოების მუშაობას წესდების, ავრთვე ყრილობისა და გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად;



თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით შეაქვეყნა განცხადებები მთავრობის ორგანოებში თეატრალური საქმიანობის განვითარების მიზნით:

ხელმძღვანელობს საზოგადოების ცენტრალური აპარატის და ყველა მისი დაწესებულებისა და საწარმოს იდეურ-შემოქმედებითს, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას;

ამყარებს კავშირს მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებთან და შემოქმედებითს კავშირებთან;

უწევს შემოქმედებითს დახმარებას სახალხო თეატრებსა და თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებს;

ქმნის საზოგადოებრივ კომისიებს, შემოქმედებითს საბჭოებსა და სექციებს;

ამუშავებს და ამტკიცებს დებულებებს საზოგადოებასთან არსებული კომისიების, საბჭოებისა და სექციების შესახებ;

ამუშავებს და ამტკიცებს საზოგადოების ბიუჯეტს; ამტკიცებს საზოგადოების დაწესებულებებისა და წარმოებების გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს;

აწარმოებს აღრიცხვას და ადგენს პერიოდულ ანგარიშგებას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

აღძრავს შუამდგომლობას საპატიო წოდებების მინიჭების, პენსიების დანიშვნისა და დაჯილდოების შესახებ;

იკავს საზოგადოების ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა წინაშე; წარმომადგენლობს სასამართლოებსა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმეებზე.

პრეზიდიუმი თავის საქმიანობის განხორციელებაში ფართოდ იყენებს საზოგადოებრივ აქტივს.

შენიშვნა: პრეზიდიუმი იღებს გადაწყვეტილებებს კოლეგიალურად; უთანხმოებანი წყდება ღია კენჭისყრით ხმის უმრავლესობით;

13. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარევიზიო ორგანოდ ითვლება სარევიზიო კომისია.

სარევიზიო კომისია:

აირჩევს თავის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით თავმჯდომარესა და მდივანს;



კონტროლს გაუწევს გამგეობისა და პრეზიდიუმის თეატრალური საზოგადოების წესდების, ყრილობისა და საპარტიო-საზოგადოებრივი ბუღალტერული გადამწვეტილებებისა და სამუშაო გეგმების შესრულებას;

აწარმოებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების, მისი საწარმოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობის გამორკვევასა და დოკუმენტურ რევიზიებს.

სარევიზიო კომისია წარმოადგენს გამგეობისაგან დამოუკიდებელ საკონტროლო ორგანოს და თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობას;

სარევიზიო კომისიას აქვს უფლება მოსთხოვოს გამგეობას, პრეზიდიუმს, ასევე მათს ცალკეულ წევრებს, საზოგადოების საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ყველა დოკუმენტი და მასალა, აგრეთვე ახსნა-განმარტება, მიიღოს მონაწილეობა გამგეობისა და პრეზიდიუმის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით;

თვითუფლებოვნად დასკვნას სარევიზიო კომისია გადასცემს საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმს, რომელიც განიხილავს მას 15 დღის ვადაში. პრეზიდიუმსა და სარევიზიო კომისიას შორის უთანხმოების შემთხვევაში სადავო საკითხები გადაიტანება გამგეობის მორიგ პლენუმზე ან საზოგადოების მორიგ ყრილობაზე;

სარევიზიო კომისიას შეუძლია ცალკეული რევიზიების ჩასატარებლად მოიწვიოს სპეციალისტები.

IV. საზოგადოების სახსრები

14. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახსრები იქმნება:

- ა) შესასვლელი და საწევრო შესატანებისაგან;
- ბ) საზოგადოების კუთვნილი საწარმოებისა და ქონების შემოსავლებიდან.

15. საქართველოს თეატრალური საზოგადოება ქმნის:

- ძირითად ფონდს,
- სათადარიგო ფონდს,
- სპეციალურ ფონდს,
- კულტურულ ფონდს,
- საყოფაცხოვრებო ფონდს.



შენიშვნა: ფონდების ოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების ანაზღაურება ან ყრილობის დაჯილდოებით გამგეობის გადაწყვეტილება

16. ძირითადი ფონდი იქმნება საზოგადოების წევრთა შესასვლელი და საწევრო შესატანებისაგან და საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან.

17. სათადარიგო ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან და მისი დანიშნულებაა საზოგადოების საქმიანობის შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა. სათადარიგო ფონდს გამგეობის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

18. სპეციალური ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან სახალხო თეატრებისა და თვითმოქმედი დრამატული კოლექტივების დაარსებისას დახმარების აღმოჩენის მიზნით. პირველ რიგში სხვადასხვა სპეციალისტების (რეჟისორების, მხატვრების, კომპოზიტორების, ქორეოგრაფების, გრიმისა და სადადგმო ნაწილის ოსტატების) ადგილებზე მივლინების საშუალებით; აგრეთვე — თეატრალური კადრების პროფესიული სრულყოფა-დაოსტატების ღონისძიებებისათვის.

19. კულტურული ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიურ ანარიცხებისაგან; კულტურული ფონდი გამოიყენება საგამომცემლო მიზნებისათვის, ლექციური პროპაგანდისათვის, საბიბლიოთეკო ხარჯებისათვის.

20. საყოფაცხოვრებო ფონდი იქმნება საზოგადოების საწარმოებისა და ქონების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან და გამოიყენება საზოგადოების წევრთათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დახმარების და შეღავათების აღმოჩენისათვის.

V. საქართველოს თეატრალური საზოგადოების უფლებები

21. საქართველოს თეატრალური საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით აქედან გამომდინარე ყველა შედეგით; ამ წესდებით დასახული ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას, დასდოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს კრედიტით, გახსნას მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშები ბანკებში, აღძრას სარჩელები და აგოს



კასუხი მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებზე სასამართლოდაცვითი სახელმწიფო არბიტრაჟში და სხვა.

22. საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას აქვს ბეჭედი და შტამპი წარწერით „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“.

23. საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით ან მთავრობის დადგენილებით.

საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი საბ-სრები და ქონება გადაეცემა ლიკვიდაციის შესახებ გამოტანილ სათანადო დადგენილებაში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

75 იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერის საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხას იმ დოკუმენტებისა, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერის საფუძველზე, დაემატოს მუხლი 37 შემდეგი შინაარსისა:

„37. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმის კომისიების დადგენილებით იმის შესახებ, რომ გადახდეთ მშობლებს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა აღსაზრდელ კოლონიებში მათი შვილების შენახვის ქირა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

76 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 სექტემბრის № 641 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის № 58 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების და ცალკეული უწყებების იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სია, რომელთა სახლებიდან დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეების გასახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუხედავად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება თავისი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 სექტემბრის № 641 დადგენილების მე-5 მუხლი და ამ დადგენილების დანართი;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის დადგენილება № 58 დანართიანად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 16 აპრილი, № 250.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 16 აპრილის № 111
დადგენილების დანართი

ს ი ა

საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან შეიძლება გამოსახლებულ იქნას სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება თავისი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო

1. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა
2. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა
3. თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა
4. თბილისის ქარხანა „ცენტროლიტი“
5. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა
6. ბათუმის გემთმშენებლობის ქარხანა
7. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალმშენებელი ქარხანა
8. ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა
9. თბილისის ქარხანა „ელექტროშედულება“
10. ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყო“
11. ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა
12. ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატი“
13. კასპის ქარხანა „კასპიელექტროაპარატი“
14. ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“
15. ცხინვალის ქარხანა „მინანქარსადენი“
16. კასპის ცემენტის ქარხანა
17. ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი
18. გორის ბამბეულის კომბინატი
19. კიათურის მარგანეცის ტრესტი
20. ტრესტი ტყიბულქვანახშირი
21. ტრესტი ტყვარჩელქვანახშირი



22. ახალციხე-ჯანახშირის სამადნო სამმართველო
23. ტრესტ საქვეანახშირძიების ტყვარჩელის-დაზვერვო პარტია
24. ტრესტ საქმთამადნმრეწვის რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი
25. ტრესტ საქმთამადნმრეწვის კვაისის ტყვია-თუთიის სამადნო სამმართველო
26. ტრესტ საქმთამადნმრეწვის ჩორდის ბარიტის სამადნო სამმართველო
27. ტრესტ საქნავთობის საწარმოები (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც განლაგებულია ქალაქ თბილისში)
28. ტრესტ „საქართველოს ჩაის“- ჩაის ფაბრიკები
29. გასამხედროებული სამთო-მაშველი ნაწილის ქვეგანაყოფი
30. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა
31. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა
32. ბორჯომის შუშის ქარხანა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო

ს ა ბ კ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი

33. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
34. მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
35. გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
36. სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
37. გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
38. სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო

39. ყველა ჰიდრო და თბოსადგური

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო

40. საშენებლო სამმართველოები და ტრესტები

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო

41. წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოები
42. ტრესტი სამგორწყალმშენი

საქართველოს სსრ ჭანმრთელობის დაცვის სამინისტრო

43. სანატორიუმები



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული **ქართული მწიგნობრების კავშირი**
 ლების მთავარი სამმართველო **საქართველოს მწიგნობრების კავშირი**

44. რაიონული საგზაო-საექსპლუატაციო უბნები, საგზაო-სარემონტო და ზღისარემონტო სამშენებლო სამმართველოები

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

45. სამშენებლო ტრესტი ინემშენი

საქართველოს პროფსაბჭო

46. საკურორტო სამმართველოს სანატორიუმები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

47. ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტი ქ. სოხუმში.

48. თბილისის საგვირაბო მშენებლობის სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი ბ. შირაშაძე.

77 რაიონების გამსხვილებასთან და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების ახალი ქსელის დამტკიცებისა და რესპუბლიკაში საარქივო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

ითვალისწინებს რა, რომ საჭიროა შეუფარდდეს საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების ქსელი რესპუბლიკის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას და იმ მიზნით, რომ შეიქმნას რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და ყველა რაიონში საარქივო-დოკუმენტური ბაზა, რომლის შევსება მუდმივ უნდა ჰდებოდეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენს:

1. გაუქმდეს რესპუბლიკაში არსებული ქსელი საქალაქო და რაიონული არქივებისა ცვალებადი შემადგენლობით და შეიქმნას 1963



წლის 1 აპრილიდან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ჩამოშორების შემდეგ მასკომებთან საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივები დოკუმენტური მასალების მუდმივი შემადგენლობით, რომლებიც ორგანიზაციულ-მეთოდურად დაუმორჩილებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საარქივო განყოფილებებს.

დამტკიცდეს ქსელი და საშტატო განრიგები საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივებისა დოკუმენტური მასალების მუდმივი შემადგენლობით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

2. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, რომლებიც იმავდროულად არიან გამსხვილებული რაიონების ცენტრები (თელავი, გორი, ზესტაფონი, სამტრედია, წყალტუბო, ზუგდიდი და ოჩამჩირე) შეიქმნას ერთიანი (რაიონულ-საქალაქო), როგორც რაიონებისათვის, ისე ამ ქალაქებისათვისაც, სახელმწიფო არქივები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან.

3. გაერთიანდეს ბათუმის საქალაქო სახელმწიფო არქივი აჭარის ასსრ საოლქო სახელმწიფო არქივთან, ამასთან შეიქმნას ამ უკანასკნელის შემადგენლობაში საქალაქო ფონდების განყოფილება; ბათუმის ყოფილი საქალაქო სახელმწიფო არქივის საარქივო მასალები, შენობა და საშტატო რაოდენობა გადაეცეს აჭარის ასსრ საოლქო სახელმწიფო არქივს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს შეიმუშაოს და სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად:

ა) დებულება რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივებისა დოკუმენტური მასალების მუდმივი შემადგენლობით, აგრეთვე იმ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა სიები, რომელთა დოკუმენტური მასალები მიღებულ უნდა იქნას სახელმწიფო შენახვისათვის;

ბ) სანიმუშო ინსტრუქცია დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში მიმდინარე საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის წარმოების შესახებ.



5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხაზგადასმულ მართველოსთან შეთანხმებით, შეიტანოს საჭირო შესწორებანი საშუალო სკოლებისათვის მოქმედი სასწავლო პროგრამის განაყოფში „საქმისწარმოება“.

6. დაევალოს მთავართბილმშენს გააძლიეროს ქ. თბილისში ცენტრალური სახელმწიფო არქივებისათვის სპეციალურ შენობათა მშენებლობის ტემპები იმ ანგარიშით, რომ საექსპლუატაციოდ გადაეცეს ფილმსაცავის ერთსართულიანი შენობა, მთავარი კორპუსის ხუთსართულიანი და ოთხსართულიანი ნაწილები 1963 წლის მეორე კვარტალის დამლევამდე, ხოლო საარქივო შენობების მთელი კომპლექსის მშენებლობა დამთავრდეს 1965 წლის 1 იანვრამდე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს:

ა) გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის 1964 წლის გეგმით ქალაქ თბილისში შენდებადი საარქივო სამმართველოს შენობების კომპლექსის დამთავრება და საექსპლუატაციოდ გადაეცემა;

ბ) შეიმუშაონ 1964 წელს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია და 1965 წელს ააშენონ და საექსპლუატაციოდ გადასცენ შენობები ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს აპარატისათვის იმ ნაკვეთზე, სადაც საარქივო დაწესებულებათა შენობები შენდება;

გ) გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის 1964 წლის გეგმით შენობის აგება ქალაქ სოხუმში საოლქო სახელმწიფო არქივისათვის.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ყურადღება საარქივო დაწესებულებებისადმი, განიხილონ საარქივო საქმის მდგომარეობა და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, იმ მოთხოვნების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულებიდან; განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გამსხვილებული სახელმწიფო არქივების უზრუნველყოფასთან დოკუმენტური მასალების შესანახად და მათი გამოყენების ორგანიზაციისათვის გამოსადეგი შენობებით; განამტკიცონ სახელმწიფო არქივები კვალიფიციური კადრებით და



გააუმჯობესონ მათი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. 9. თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მასკოში გაითვალისწინოს 1964-1965 წლებში 25-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს და ცენტრალური სახელმწიფო არქივების მეცნიერი მუშაკებისათვის.

10. ახლადშექმნილი საქალაქო სახელმწიფო არქივების გამგეთა თანამდებობრივი განაკვეთები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე**,

ქ. თბილისი, 1963 წ. 13 აპრილი, № 248

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 13 აპრილის № 248
დადგენილების დანართი № 1

ქ ს ე ლ ი

საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივებისა და დოკუმენტური მასალების მუდმივი შემადგენლობით

1. საქალაქო სახელმწიფო არქივები

1. ბორჯომის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ბორჯომი)
2. გავრის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. გავრა)
3. კასპის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. კასპი)
4. ქობულეთის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ქობულეთი)
5. ფოთის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ფოთი)
6. რუსთავის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. რუსთავი)
7. საგარეჯოს საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. საგარეჯო)
8. თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. თბილისი)
9. ტყიბულის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ტყიბული)
10. ტყვარჩელის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ტყვარჩელი)
11. ჭიათურის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ჭიათურა)
12. ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ქუთაისი)



II. რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივები

13. გორის რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. გორი)
14. ზესტაფონის რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ზესტაფონი)
15. ზუგდიდის რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ზუგდიდი)
16. ოჩამჩირის რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ოჩამჩირე)
17. სამტრედიის რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. სამტრედია)
18. თელავის რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. თელავი)
19. წყალტუბოს რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. წყალტუბო)

III. რაიონული სახელმწიფო არქივები

20. ამბროლაურის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. ამბროლაური)
21. ახალქალაქის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ახალქალაქი)
22. ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ახალციხე)
23. ბოლნისის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. ბოლნისი)
24. გალის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. გალი)
25. გარდაბნის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. გარდაბანი)
26. გეგეკორის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. გეგეკორი)
27. გუდაუთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. გუდაუთა)
28. გურჯაანის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. გურჯაანი)
29. ჭავის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. ჭავა)
30. დუშეთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. დუშეთი)
31. ზნაურის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ზნაური)
32. ყაზბეგის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ყაზბეგი)
33. ყვარლის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. ყვარელი)
34. ქედის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ქედა)
35. ლანჩხუთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ლანჩხუთი)
36. ლენინგორის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. ლენინგორი)
37. ლენტეხის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ლენტეხი)



38. მახარაძის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. მახარაძე)
39. მაიაკოვსკის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. მაიაკოვსკი)
40. მესტიის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. მესტია)
41. საჩხერის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. საჩხერე)
42. სიღნაღის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. სიღნაღი)
43. თეთრიწყაროს რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. თეთრიწყარო)
44. თიანეთის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. თიანეთი)
45. ცაგერის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. ცაგერი)
46. ცხაკაიას რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ცხაკაია)
47. ხაშურის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ხაშური)
48. ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ხულო)
49. ჩაქვის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. ჩაქვი)
50. მარნეულის რაიონული სახელმწიფო არქივი (დ. მარნეული)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ა. შირაბაძე**.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 13 აპრილის № 133
დადგენილების დანართი № 2

საშუალო განრიგი

საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული სახელმწიფო
არქივებისა დოკუმენტური მასალების მუდმივი შემადგენლობით

| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | საშუალო წილწილი- ბას რაოდენ- ობა | თანამდებობ- რივი ჯანაყ- ვეთი | ხელფასის თვიური ფონდი |
|---|---|------------------------------------|-----------------------------|
| I. საქალაქო სახელმწიფო არქივები | | | |
| 1. ბორჯომის | | | |
| გამგე | 1 | — | — |
| 2. გაგრის | | | |
| გამგე | 1 | — | — |
| 3. ქობულეთის | | | |
| გამგე | 1 | — | — |
| 4. კასპის | | | |
| გამგე | 1 | — | — |
| 5. ქუთაისის | | | |
| გამგე | 1 | 55 | 55 |
| ინსპექტორი | 1 | 41 | 41 |
| მეცნიერი მუშაკი | 2 | 50 | 100 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| დამლაგებელი | 1 | 30 | 30 |
| ს უ ლ | 6 | | 262 |
| 6. ფოთის | | | |
| გამგე | 1 | 50 | 50 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| დამლაგებელი | 1 | 30 | 30 |
| ს უ ლ | 3 | | 116 |



| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | სამტატო ფოთელუბის რაიონში | თანამდებობები განაკვეთი | საქართველოს ტერიტორიული ერთეულები |
|--------------------------------------|---------------------------|-------------------------|-----------------------------------|
| 7. რუსთავის | | | |
| გამგე | 1 | 55 | 55 |
| ინსპექტორი | 1 | 41 | 41 |
| ს უ ლ | 2 | | 96 |
| 8. ხაგარეჯოს | | | |
| გამგე | 1 | | |
| 9. თბილისის | | | |
| გამგე | 1 | 69 | 69 |
| ინსპექტორი | 1 | 52 | 52 |
| მეცნიერი მუშაკი | 5 | 50 | 250 |
| უფროსი არქივარიუსი | 1 | 48 | 48 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ბუღალტერი | 0,5 | 50 | 25 |
| დამლაგებელი | 1 | 30 | 30 |
| დარაჯი | 3 | 30 | 90 |
| ს უ ლ | 13,5 | | 600 |
| 10. ტყიბულის | | | |
| გამგე | 1 | | |
| 11. ტყვარჩელის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| საქმისწარმოებელი | 1 | 35 | 35 |
| ს უ ლ | 2 | | 80 |
| 12. კიათურის | | | |
| გამგე—მეცნიერი მუშაკი | 1 | 69 | 69 |
| ინსპექტორი | 1 | 50 | 50 |
| ს უ ლ | 2 | | 119 |



| სახელმწიფო არქივები და თანამდებობაანი | სამტაო პროექტების რაოდენობა | თანამდებობა რევი ვანავეთი | სახელმწიფო არქივების ფონდი |
|---|-----------------------------|---------------------------|----------------------------|
| 11. რაიონულ-საქალაქო სახელმწიფო არქივები | | | |
| 13. ვოროსი | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 14. ზესტაფონის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 15. ზეგდილის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 16. ონაშორის | | | |
| გამგე | 1 | 36 | 36 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 144 |
| 17. სამტრედიის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 18. თელავის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |

| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | სამტაო ეროვნულ- ბის ობლდ- ნობა | თანამდებობ- რივი განს- ვითი | სახელმწიფო არქივების ფონდი |
|--|---|-----------------------------------|----------------------------------|
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 19. წვალტვის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| III. რაიონული სახელმწიფო არქივები | | | |
| 20. ამბროლაურის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 21. ახალქალაქის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 3 | | 117 |
| 22. ახალციხის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 23. ბოლნისის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |

| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | სამტატო ყოველწე- ბის რაოდენ- ობა | თანამდებობ- რივი განაკვე- თი | სულ სამტატო რაოდენობა |
|--------------------------------------|---|------------------------------------|-----------------------------|
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 24. გალის | | | |
| გამგე | 1 | 36 | 36 |
| 25. გირდაბნის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 3 | | 117 |
| 26. გეგეკორის | | | |
| გამგე | 1 | 38—50 | 38—50 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 146—50 |
| 27. გუდაუთის | | | |
| გამგე | 1 | 36 | 36 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 144 |
| 28. გურჯანის | | | |
| გამგე | 1 | 41 | 41 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 149 |
| 29. ჯაღის | | | |
| გამგე | 1 | 38 | 38 |



| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | სამსახრო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | საქართველოს სსრ-ის სტატისტიკის თეორიული ფონდი |
|--------------------------------------|-------------------------------|--------------------------|---|
| 30. დუშეთის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივართის | 1 | 36 | 36 |
| არქივართის | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 31. ზნაურის | | | |
| გამგე | 1 | 38 | 38 |
| არქივართის | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 3 | | 110 |
| 32. ყაზბეგის | | | |
| გამგე | 1 | 36 | 36 |
| არქივართის | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 72 |
| 33. უვარლის | | | |
| გამგე | 1 | 41 | 41 |
| ინსპექტორ-არქივართის | 1 | 36 | 36 |
| არქივართის | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 3 | | 113 |
| 34. ქედის | | | |
| გამგე | 1 | 50 | 50 |
| 35. ლანჩხუთის | | | |
| გამგე | 1 | 36 | 36 |
| არქივართის | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 72 |



| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | საშტატო პრაქტიკული მუშაობის რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ფონდი |
|--------------------------------------|---------------------------------------|--------------------------|---|
| 36. ლენტეხის | | | |
| ვაშაგვი | 1 | 41 | 41 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 77 |
| 37. ლენინგორის | | | |
| ვაშაგვი | 1 | 38 | 38 |
| 38. შახარაძის | | | |
| ვაშაგვი | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 39. შაიკოვესკის | | | |
| ვაშაგვი | 1 | 38-50 | 38-50 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 3 | | 110-50 |
| 40. შესტიის | | | |
| ვაშაგვი | 1 | 45 | 45 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 81 |
| 41. სანხერის | | | |
| ვაშაგვი | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 3 | | 117 |

| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ეროვნული ბიბლიოთეკის თვითური ფონდი |
|--------------------------------------|------------------------------|--------------------------|------------------------------------|
| 42. სიღნაღის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 43. თეთრიწყაროს | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 3 | | 117 |
| 44. თიანეთის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 81 |
| 45. ცაგერის | | | |
| გამგე | 1 | 41 | 41 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 77 |
| 46. ცხაკაიის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |



საგანმანათლებლო
და მეცნიერებათა
მინისტროს

| სახელმწიფო არქივები და თანამდებობანი | სამსახურ პროექტების რაოდენობა | თანამდებობ- რივი განაკ- ვეთი | ბელუასის თეორი ფონდი |
|---|-------------------------------------|------------------------------------|----------------------------|
| 47. ხაშურის | | | |
| გამგე | 1 | 45 | 45 |
| ინსპექტორ-არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| არქივარიუსი | 2 | 36 | 72 |
| ს უ ლ | 4 | | 153 |
| 48. ზელის | | | |
| გამგე | 1 | 50 | 50 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 86 |
| 49. ჩაქვის | | | |
| გამგე | 1 | 50 | 50 |
| არქივარიუსი | 2 | 41 | 82 |
| ს უ ლ | 3 | | 132 |
| 50. მარნეულის | | | |
| გამგე | 1 | 41 | 41 |
| არქივარიუსი | 1 | 36 | 36 |
| ს უ ლ | 2 | | 77 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაქაძე.



78 მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ ვაჭრობისადმი ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ

აღინიშნოს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სუსტად ხელმძღვანელობენ ვაჭრობას, ისინი ყურადღებას არ აქცევენ საქონელბრუნვის დაგეგმვის, სავაჭრო ქსელის განვითარებისა და განლაგების საკითხებს და ვაჭრობის სხვა მანევრებლებს, აგრეთვე არასაკმოდ მუშაობენ პურის პროდუქტების გამოყოფილი ფონდების ათვისებისა და სწორად ხარჯვის საკითხებზე.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ვაჭრობისადმი ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესების, აგრეთვე სავაჭრო ანგარიშგების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ვაჭრობისადმი ხელმძღვანელობა, სისტემატურად იმუშაონ საქონელბრუნვის დაგეგმვის, სავაჭრო ქსელის განვითარებისა და განლაგების, პურის პროდუქტების ფონდების თანაბრად ათვისებისა და სწორად ხარჯვის საკითხებზე, განახორციელონ ღონისძიებანი მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ამ მიზნით რესპუბლიკის იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არ მოიპოვება ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ საგეგმო კომისიების მეშვეობით შემდეგი ღონისძიებანი:

ა) შეიმუშაონ, ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად, საქონელბრუნვის, სავაჭრო-სასაწყობო ქსელის გაშლის გეგმების პროექტები და წარუდგინონ ისინი შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ვაჭრობის სამინისტროს და ცუკავშირის გამგეობას.

ა ცნობონ ვაჭრობის დამტკიცებული გეგმები რაიონის (ქალაქის) სავაჭრო ორგანიზაციებს;

ბ) შეადგინონ, პურის პროდუქტების ხარჯვის მონაცემების საფუძველზე და ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით, განაცხადები ადგილობრივი მოსახლეობის მოსამარაგებლად საჭირო პურის პროდუქტებზე და აღმასკომების მიერ მათი განხილვის შემ-



დეგ წარუდგინოს ეს განაცხადები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ვაკრობის სამინისტროს;

გ) დაგეგმონ პურის პროდუქტების რეალიზაცია, გაანაწილონ ფქვილისა და მარცელის გამოყოფილი საბაზრო ფონდები საეკურო და პურისმცხოველ ორგანიზაციებს შორის და კონტროლი გაუწიონ ამ ფონდების სწორად ხარჯვას;

დ) შეადგინონ და მტკიცედ დაწესებულ ვადებში წარუდგინონ საქართველოს სსრ ვაკრობის სამინისტროს „№ 9—ტორგ“ ფორმის მიხედვით ყოველთვიური ანგარიში „საბაზრო ფონდის პურის პროდუქტების ხარჯვის შესახებ“;

ე) დაგეგმონ შემოსავალ-გასავალი და კაპიტალდაბანდებანი საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობასა და კეთილმოწყობაში, დაუგზავნონ ბაზრებს სათანადო გეგმები აღმასკომების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ და კონტროლი გაუწიონ მათს შესრულებას.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ვაკრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ კონკრეტული დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებს ვაკრობის დაგეგმვისა და სწორი ორგანიზაციის, მოსახლეობის საეკურო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 16 აპრილი, № 258.

79 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციების ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდნენ, როგორც გამოჩაყლისი, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები საქართველოს სს რესპუბ-



ლოკაში 1963 წელს ადგილობრივი საბჭოებისათვის სატექნიკური ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან იმ სახლებში, რომლებშიც მათ ააშენეს თავიანთი მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 19 აპრილი, № 259.

80 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებობისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილების მე-3 მუხლს სიტყვების შემდეგ: „და სატყეო მეურნეობის მუშაკებისათვის,“ დაემატოს სიტყვები: „აგრეთვე საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის საწარმოების სახაზო-ტექნიკური უბნების მუშაკებისა და საუბნო მონტიორებისათვის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 23 აპრილი, № 267.



81 რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებით სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ჯანდაცვის სტრუქტურის შესახებ

რესპუბლიკის რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებით და მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თვითეულ გამსხვილებულ რაიონში დაწესდეს ერთი ცენტრალური რაიონული საავადმყოფო, ხოლო გამსხვილებული რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა დანარჩენ ყოფილ რაიონულ საავადმყოფოებს ეწოდოთ რაიონული საავადმყოფოები (დანართი № 1).

ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი ჩაითვალოს გამსხვილებული რაიონის მთავარ ექიმად და დაეკისროს მას რაიონის ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ხელმძღვანელობა.

2. გამოირიცხოს გაერთიანებულ საავადმყოფოების შემადგენლობიდან სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილებები და მათს ბაზაზე მოეწყოს დამოუკიდებელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები (დანართი № 2).

რაიონული და საქალაქო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების მთავარი ექიმები უშუალოდ დაუმორჩილდნენ შესაბამისი რაიონების მთავარ ექიმებს (იქ, სადაც ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები არ არის) ან რაიონმასკომის, ან საქალაქო აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეებს.

3. ამ დადგენილების 1 და 2 მუხლებში აღნიშნული ცვლილებები მოხდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის, ხელფასის ფონდისა და ასიგნობათა ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია 1963 წლის ბიუჯეტით გამსხვილებული სასოფლო რაიონებისათვის.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტა-



ნოს საჭირო ცვლილებანი რაიონებსა და ქალაქებში განმარტებული-
ბის დაცვის რეორგანიზებულ დაწესებულებათა ხარჯთაღსრულებათა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოშვიდი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 25 აპრილი, № 271.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 აპრილის № 271
დადგენილების დანართი № 1

**I. სია რაიონული ცენტრებისა, სადაც ეწყობა ცენტრალური რაი-
ონული საავადმყოფოები**

ამბროლაური, ახალქალაქი, ახალციხე, ბოლნისი, ვარდაბანი, გეგეჭკორი, გორი, გურჯაანი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, ყვარელი, ლანჩხუთი, მახარაძე, შიაკოვესკი, სამტრედიო, საჩხერე, სიღნაღი, თელავი, თეთრიწყარო, ხაშური, ცხაკაია, წყალტუბო, ვუდაურთა, ოჩამჩირე, ხულო, ჩაქვა, ლენინგორი, გალი, ზნაური, ჭავა.

**II. სია რაიონული საავადმყოფოებისა გამსხვილებულ
რაიონებში**

აბაშის, ადიგენის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ვანის, სამ-გორის, დმანისის, ქარელის, ლაგოდეხის, ონის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, ხობის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, ჩოხატაურის, ჩხორწყაროს, შუაბევის, მარნეულის (ბოლნისის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოსათვის დაქვემდებარებით), მცხეთის (დუშეთის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოსათვის დაქვემდებარებით).

**III. სია უოფილი რაიონული საავადმყოფოებისა, რომლებიც
გადაკეთებულია საქალაქო საავადმყოფოებად**

ბორჯომის, კასპის, საგარეჯოს, ტყიბულის, გავრის, ქობულეთის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე.**



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 აპრილის № 2
დადგენილების დანართი № 2

I. სია რაიონებისა, სადაც ეწყობა დამოუკიდებელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები

ამბროლაური, ახალქალაქი, ახალციხე, ბოლნისი, გარდაბანი, გეგეჭკორი, ვორი, გურჯაანი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, ყვარელი, ლანჩხუთი, მახარაძე, მაიაკოვსკი, სამტრედია, საჩხერე, სიღნაღი, თელავი, თეთრიწყარო, ხაშური, ცხაკაია, წყალტუბო, გუდაუთა, ოჩამჩირე, ვალი, ქედა, ჩაქვი, ლენინგორი.

II. სია ქალაქებისა, სადაც ახლად ეწყობა დამოუკიდებელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები

ზესტაფონი, ზუგდიდი, სამტრედია, წყალტუბო, კასპი, ბორჯომი, ტყიბული, ვაგრა, ქობულეთი, მარნეული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. შირაქაძე.

82 საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 7-ბალიანი სეისმურობის რაიონებში მშენებლობისათვის, საცხოვრებელი სახლების 1-319 ს ტიპური პროექტების მოქმედი სერიის დამატებით, თბილქალაქპროექტის მიერ შემუშავებული საპროექტო დაეალეაბნი 50-ბინიანი ხუთსართულიანი და 36-ბინიანი ხუთსართულიანი იმ საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტებისა, რომლებსაც ექნებათ მაღაზიები პირველ სართულზე და მსხვილი ბეტონის ბლოკებისაგან აშენებული კედლები, შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით:

| | 50-ბინიანი სახლი | 36-ბინიანი სახლი |
|--------------------------------------|---------------------|---------------------|
| შენობის საერთო მოცულობა (კუბ. მეტრი) | 12053 | 8741,30 |
| საერთო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მ.) | 1605 | 1159,20 |



| | | |
|---|--------|--------|
| ბინის საშუალო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი) | 32,10 | |
| სამშენებლო ღირებულება (კეთილმოწყობისა და გარეგანი ქსელების ჩათვლელად)—ათას მანეთობ. | 235,39 | 171,05 |
| ერთი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება (მან.) | 114,6 | 114 |
| ერთი ბინის ღირებულება (მან.) | 3678,8 | 3670 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 26 აპრილი, № 275.

83 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების წესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის და შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების წესები, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 20 აპრილის № 449 დადგენილებით, დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 19 ოქტომბრის № 724 დადგენილება „საქართვე-



ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის (სსრ-სს) მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების წესების დამტკიცების შესახებ.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 3 მაისი, № 282.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა № 449

1963 წლის 20 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის და შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების წესების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ ვ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული წესები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის და შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 სექტემბრის № 987 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების წესების დამტკიცების შესახებ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიბინი**.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტაპანოვი**.



დაგეგმვის სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
წლის 20 აპრილის № 149
დადგენილებით

წ ა ნ ა ბ ი

სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის და შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მიერ ფულადი დარიცხვების წარმოების შესახებ

1. ფულად დარიცხვებს თანამდებობის პირებზე, რომლებმაც თავიანთი არასწორი მოქმედებით ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს, კოოპერაციულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, აწარმოებენ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების და სამრეწველო-საწარმოო ზონების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები, თანახმად სსრ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 20 დეკემბრის № 1322 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის და შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

შენიშვნა: ფულად დარიცხვებს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საოკრუგო, საქალაქო (გარდა ქალაქ მოსკოვისა და ლენინგრადისა), რაიონული კომიტეტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების და სამრეწველო-საწარმოო ზონების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები აწარმოებენ ყოველ ცალკე შემთხვევაში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შესაბამის საოლქო, სამხარეო, ხოლო იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, რესპუბლიკური კომიტეტების თანხმობით. ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული კომიტეტები ფულად



დარიცხვებს აწარმოებენ შესაბამისად მთავრობის
ლენინგრაძის პარტიულ-სახელმწიფო კავშირების
ქალაქო კომიტეტების თანხმობით.

2. ფულადი დარიცხვა თანამდებობის პირებზე, რომლებმაც თა-
ვიანთი არასწორი მოქმედებით ზარალი მიყენეს სახელმწიფოს,
კოპერაციულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, წარმოებს შემდეგ
შემთხვევებში:

ა) როდესაც არასაპატიო მიზეზით არ სრულდება გეგმები და და-
ვალდებანი პროდუქციის და მასალების მიწოდებისა სხვა ეკონომიურ-
ადმინისტრაციული რაიონებისათვის ან სხვა მოკავშირე რესპუბლი-
კებისათვის, აგრეთვე საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის;

ბ) როდესაც გამოშვებული და მიწოდებულია ცუდი ხარისხის,
აგრეთვე არაკომპლექტური პროდუქცია;

გ) როდესაც გაფუჭდა ან დაიკარგა ნედლეული, შხა პროდუქცია
და სხვა მატერიალური ფასეულობანი;

დ) როდესაც ადგილი აქვს ნედლეულის, მასალებისა და ნახევარ-
ფაბრიკატების ზენორმატიულ დანაკარგს მათი შენახვის, გადამუშა-
ვების ან ტრანსპორტირების დროს, დაშვებულია ზედმეტობა სა-
ხელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვაში;

ე) როდესაც სისტემატურად, დაწესებულ ვადებზე მეტი ხნით
გვიანდება რკინიგზის ვაგონების, სამდინარო და საზღვაო გემების,
ავტომობილებისა და თვითმფრინავების დატვირთვა-გადმოტვირთვა,
აგრეთვე დროზე არ ხდება ტვირთების გატანა სადგურებიდან და ნავ-
მისადგომებიდან შესაბამის თანამდებობის პირთა მხრივ უთანადო-
გობის ან ცუდი ხელმძღვანელობის გამო;

ვ) როდესაც ადგილი აქვს ფულადი სახსრების უკანონოდ გაცე-
მას ფასდების არასწორად გამოყენების, განრიგებში ფაქტიურად
შეუსრულებელ სამუშაოთა წამატების გამო, აგრეთვე თუ დაშვებუ-
ლია ზედმეტი თანხის გაცემა ანგარიშებითა და ანგარიშსწორების
დროს;

ზ) როდესაც უკანონოდ გაიცა გასამრჩელო, პრემიები, დახმარე-
ბა, პენსიები, კომპენსაცია, აგრეთვე უკანონოდ დაიხარჯა სახსრები
დღესასწაულებსა, იუბილეებსა და ბანკეტებზე;

თ) როდესაც დაიხარჯა სახსრები ადმინისტრაციულ-სამმართვე-
ლო პერსონალისათვის ხელფასის მისაცემად მუშაკთა ზედმეტი რაო-
დენობის შენახვასთან ან თანამდებობრივი განაკვეთების უკანონოდ
გადიდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმარ-
თველო ხარჯებზე გადაიჭარბა დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვას;



ი) როდესაც უკანონოდ იგზავნიან წარმომადგენლებს, წველო საწარმოებში, ბაზებსა და გამსაღებელ კანტონებში უფლის, მასალების, მზა პროდუქციის, სათბობისა და მოწყობილობის გამოგზავნის უზრუნველსაყოფად;

კ) როდესაც არ არის მიღებული ზომები საქვეანგარიშო თანხების დროულად გადახდევინებისათვის, დანაკლისის ან მტაცებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის, რის შედეგადაც შეიქმნა უიმედო დავალიანება, აგრეთვე არ არის მიღებული ზომები იმ პირებისათვის საუბიროს (ჯარიმის, საურავის) თანხების გადასახდევინებლად, რომელთა მიზეზითაც საწარმომ, დაწესებულებაში ან ორგანიზაციამ გადაიხადა საუბირო (ჯარიმა, საურავი), თუ შრომითი კანონმდებლობის თანახმად, გაცემული თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა გადახდეს ამ პირებს.

3. ფულადი დარიცხვა იწარმოებს მიყენებული ზარალის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს იმ თანამდებობის პირის ხელფასის სამი თვის განაკვეთისა, რომელზეც მოხდა ფულის დარიცხვა.

რამდენიმე თანამდებობის პირის მიერ ერთობლივად მიყენებული ზარალისათვის ფულადი დარიცხვის ოდენობა განისაზღვრება ცალკე თვითული ამ პირის მიმართ იმის მიხედვით, თუ რა დანაშაული მიუძღვის თვითულ მათგანს.

შენიშვნა: სამხედრო მოსამსახურეებზე ფულადი დარიცხვები იწარმოებს იმ ოდენობით, რაც დაწესებულია დებულებით სამხედრო მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მასალების საფუძველზე თანამდებობის პირები მიცემული არიან სასამართლო პასუხისმგებაში, მათზე ფულადი დარიცხვები არ იწარმოებს, ხოლო ამ პირთა მოქმედებით მიყენებულ ზარალს განსაზღვრავს და გადაახდევინებს სასამართლო.

ფულადი დარიცხვა არ იწარმოებს აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია თანამდებობის პირთა სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალისათვის და ზარალის ოდენობა აღემატება თანამდებობის პირის სამი თვის ხელფასს. ამ შემთხვევებში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები მითითებას მისცემენ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რათა გადაახდევინონ მიყენებული ზარალი კანონით დადგენილი წესით.



5. ფულადი დარიცხვის წარმოების საფუძველს წარმოადგენს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობის ჩატარებული შემოწმების მასალები, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების საზოგადოებრივი ინსპექტორების, კონტროლიორებისა და ხელშემწყობი ჯგუფების მიერ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში ჩატარებული შემოწმების მასალები, აგრეთვე საფინანსო ორგანოების რევიზიების მასალები.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე ფულადი დარიცხვების საკითხის განხილვის დროს მოსმენილ იქნება იმ თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტება, რომლებმაც მატერიალური ზარალი გამოიწვიეს.

6. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების დადგენილებანი ფულადი დარიცხვების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის.

7. თანამდებობის პირებს ფულად დარიცხვებს გადახდევინებს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ბუღალტერია ამ პირთა მუშაობის ადგილის მიხედვით უდავო წესით, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების დადგენილებათა ამონაწერის საფუძველზე, იმ ოდენობით, რაც არ უნდა აღემატებოდეს მთელი იმ თვიური ხელფასის 20 პროცენტს, რასაც ისინი იღებენ, დარიცხული თანხის სრულ დაფარვამდე.

8. ფულადი დარიცხვების გადახდევინებული თანხები მათი დაკავების დროიდან ერთი კვირის ვადაში შეიტანება საკავშირო ბიუჯეტში, თუ თანამდებობის პირი, რომელმაც ზარალი მიაყენა, მუშაობდა საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტში — თუ თანამდებობის პირი მუშაობდა რესპუბლიკური ან ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

უკეთეს თანამდებობის პირი, რომელზედაც ფულის დარიცხვა მოხდა, მუშაობდა კოოპერაციულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, მაშინ გადახდევინებული დარიცხვის თანხა გადაერიცხებათ ამ ორგანიზაციებს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.



9. იმ პირებს, რომელთაც არ დაუფარავთ ფულადი დახმავება და სამუშაოდ გადავიდნენ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში, ფული გადახდებამათ ახალ სამუშაო ადგილზე იმ დრომდე, ვიდრე სავსებით არ დაიფარება ფულადი დარიცხვა. ამ შემთხვევებში საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მთავარი (უფროსი) ბუღალტრები მოვალენი არიან ამონაწერი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის დადგენილებიდან ფულადი დარიცხვის შესახებ, გადახდევინებული თანხის ოდენობის აღნიშვნით, გადაგზავნონ იმ პირის ახალ სამუშაო ადგილზე, რომელსაც ფულადი დარიცხვა არ დაუფარავს, რის შესახებაც უნდა აცნობონ შესაბამის საფინანსო ორგანოს ან იმ კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის სასარგებლოდაც ხდება დარიცხული თანხის გადახდევინება.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ფულადი დარიცხვის ან მისი დაუფარავი ნაწილის გადახდევინება იმ პირთა ხელფასიდან, რომლებსაც ფული დაერიცხათ, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები მოვალენი არიან გაუგზავნონ საბუთები სასამართლო აღმასრულებელს, რათა მიქცეულ იქნას გადახდევინება აღნიშნულ პირთა ქონებაზე.

10. პასუხისმგებლობა ფულადი დარიცხვების დროულად გადახდევინებისა და დაკავებული თანხების ბიუჯეტში ან კოოპერაციულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელზე გადარიცხვისათვის ეკისრებათ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მთავარ (უფროს) ბუღალტრებს.

11. იმისადმი კონტროლს, რომ დროულად იქნას გადახდევინებული და ბიუჯეტში გადარიცხული ფულადი დანარიცხების თანხები პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების დადგენილებათა ამონაწერების საფუძველზე, განახორციელებენ რაიონული ან საქალაქო საფინანსო განყოფილებები იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლებიც ფულადი დარიცხვების გადახდევინებას აწარმოებენ.

84 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, თბილისის ქარხანა „ელექტროშედულებისათვის“ აკადემიკოს ე. ო. პატონის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის ქარხანა „ელექტროშედულების“ კოლექტივის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს ამ ქარხანას აკადემიკოს ე. ო. პატონის სახელი და ამიერიდან ეწოდოს მას — თბილისის აკადემიკოს ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარხანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 3 მაისი, № 285

85 ცირკის მუშაკებისათვის საცხოვრებელი ფართობის დაჭავენის შესახებ

ითვალისწინებს რა, რომ ცირკის მუშაკები თავიანთი მუშაობის ხასიათის მიხედვით მუდმივ მოგზაურობენ საბჭოთა კავშირის ქალაქებში, და სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 1 აპრილის № 416 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეუნარჩუნდეთ სახელმწიფო ცირკების საკავშირო გაერთიანების („სოიუზგოსცირკის“) სისტემის ცირკებისა და სხვა საცირკო საწარმოების და კოლექტივების მუშაკებს, რომლებიც მუდმივ საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებიან, საცხოვრებელი ფართობი, რომელიც მათ უჭირავთ ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გაერთიანება „სოიუზგოსცირკის“ სისტემაში მათი მუშაობის დროისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინსტ-



რუქცია იმ პირებისათვის საცხოვრებელი ფართობის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მიცემული აქვთ ასეთი ჯავშნის უფლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 14 მაისი, № 311

86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 სექტემბრის № 1049 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 23 მარტის № 330 დადგენილებისა „კინოფილმების წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, კინოსტუდიების დაფინანსებისა და კინოს შემოქმედებითი მუშაკებისათვის სადამდგმელო გასამრჯელოს მოწესრიგების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 19 ივლისის № 707 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „თბილისის კინოსტუდიის მუშაობის გაუმჯობესებისა და კინემატოგრაფიის შემოსავლის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 სექტემბრის № 1049 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 14 მაისი, № 312.



87 საქართველოს სსრ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქალაქო მეურნეობის შენობათა და ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამუშაოთა ღირებულების შემდგომი შემცირებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს იმ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისადმი უშუალო ხელმძღვანელობა, რომლებსაც კომუნალური მეურნეობის სისტემის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები ასრულებენ, ყველგან რესპუბლიკაში, გარდა ქალაქ თბილისისა, სოხუმისა, ბათუმისა და ქუთაისისა, სადაც სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები დატოვებულ იქნან ორმაგ დაქვემდებარებაში — სამინისტროსი და ადგილობრივი საბჭოებისა.

ამასთან დაკავშირებით შეიქმნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სარემონტო-სამშენებლო ტრესტი სამეურნეო ანგარიშზე, რომელსაც გადაეცეს დადგენილი წესით საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ყველა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია, გარდა ამ დადგენილების მე-2, 3, 4 და 5 მუხლებში აღნიშნულისა.

2. გადაეცეს კომუნალური მეურნეობის სისტემას 1964 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ყველა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია, გარდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური რემონტის სამმართველო და მის ნაცვლად შეიქმნას საქალაქო საბჭოს სისტემაში სარემონტო-სამშენებლო ტრესტი, რომლის გამგებლობაში გადაეცეს ქალაქის რაიონული საბჭოების სარემონტო-სამშენებლო კანტორები მათი საწარმოო-ტექნიკური ბაზით, მექანიზმებითა და სატრანსპორტო საშუალებებით.

შენარჩუნებულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის დარგობრივი სამმართველოებისა და



ტრესტების გამგებლობაში მათი სარემონტო-სამშენებლო-ურთიერთობები.

3. გაერთიანდნენ ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების და საქალაქო საბინაო სამმართველოა სარემონტო-სამშენებლო კანტორები, აგრეთვე საქალაქო სამრეწველო კომბინატის სარემონტო-სამშენებლო უბანი ერთ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოდ, რომელიც უშუალოდ დაუმორჩილდეს საქალაქო აღმასკომს; ამასთან შენარჩუნებულ იქნას ქუთაისის წყალკანალის სარემონტო-სამშენებლო უბანი.

4. გადაეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოების გამგებლობაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ყველა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია, გარდა ანალოგიური ორგანიზაციებისა ქალაქ სოხუმსა და ბათუმში, და შეიქმნას ადგილებზე აღნიშნული სამმართველოების შემადგენლობაში, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, სამუშაოთა მწარმოებლების სამეურნეო ანგარიშისა და საქვეანგარიშო უბნები.

5. ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო კანტორა გადაეცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგებლობაში და გადაეცეთდეს იგი სარემონტო-სამშენებლო სამმართველოდ, რომელიც უშუალოდ შეასრულებს სამუშაოება ქალაქ ცხინვალში, ხოლო ავტონომიური ოლქის რაიონული ცენტრების მომსახურებისათვის შეიქმნას ადგილებზე აღნიშნული სამმართველოს შემადგენლობაში სამუშაოთა მწარმოებლების საქვეანგარიშო უბნები.

6. ქალაქ ფოთში, ჭიათურაში, რუსთავეში, გორში, საგარეჯოში, ტყიბულში, ბორჯომსა და ვასში შენარჩუნებულ იქნან არსებული სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ დაუქვემდებარდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ტრესტს.

7. დაწესდეს, რომ კომუნალური მეურნეობის სისტემის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები თავიანთი მოქმედების ზონაში ახორციელებენ კაპიტალურ რემონტს და, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 751 დადგენილების თანახმად, — მიმდინარე რემონტს, აგრეთვე ახალი ობიექტების მშენებლობას, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 50 ათას მანეთს.



8. რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ტრესტის შემადგენლობაში, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, გამსხვილებული სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები და დაეკისროთ მათ სამუშაოთა წარმოება რაიონის მთელ ტერიტორიაზე, ამ დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად.

9. კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოები — „საქსანტექრემშენმონტაჟი“ და „საქელექტრორემშენმონტაჟი“ გადაეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ტრესტის შემადგენლობაში და დაეკისროთ მათ სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოების შესრულება რესპუბლიკაში, ამ დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ორი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი კომუნალური მეურნეობის სისტემის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საწარმოო-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ.

11. დაწესდეს, რომ საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის ტექნიკური დოკუმენტაცია და სატიტულო სიები შედგება იმ ვადებსა და იმ წესით, რაც დადგენილია ახალი მშენებლობისათვის.

12. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ა) წარუდგინონ საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს (კუთვნილებსა-მებრ) სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა გეგმები, რათა შეტანილი იქნან ისინი ამ სამინისტროების სარემონტო-სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების პროგრამაში;

ბ) საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის დაგეგმვისას გაითვალისწინონ, რომ საჭიროა შენობათა კომპლექსური რემონტი და მათი კეთილმოწყობის გაუმჯობესება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 მარტის № 322 დადგენილების შესაბამისად;

გ) 1963 წლის 1 სექტემბრამდე ჩაატარონ კომუნალური საცხოვრებელი ფონდის გამოკვლევა და შეადგინონ საცხოვრებელი ფონ-



დის კაპიტალური რემონტის პერსპექტიული (1964-1965 წლები-სათვის) გეგმა.

13. იმასთან დაკავშირებით, რომ შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები გადაცემულია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უშუალო გამგებლობაში:

ა) აღნიშნული სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას ეწოდოს კაპიტალური მშენებლობისა და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა განყოფილება, ამასთან გადიდდეს მისი შტატი 2 ერთეულით — მთავარი ინჟინრისა და უფროსი ინჟინრის;

ბ) გადიდდეს სამინისტროს აპარატის ცენტრალური ბუღალტერიის შტატი ერთი ერთეულით — უფროსი ბუღალტრისა.

შტატების აღნიშნული გადიდება მოხდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების გაუქმების ხარჯზე, 3 ერთეულის რაოდენობით.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, თბილისისა და ქუთაისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის განახორციელონ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილება, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, და უზრუნველყონ, რომ მათ სრულად მოიცვან თავიანთი მოქმედების ზონაში ამ დადგენილების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები.

15. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ მასალები, რათა მიკუთვნებულ იქნან დადგენილი წესით სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები ტიპური შტატების ჩგუფებს.

16. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ტრესტის შტატები დამტკიცდეს დადგენილი წესით, აღმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის იმ რაოდენობის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილებით



დამტკიცებული ტიპური შტატებით, გამსხვილებული საკრებო ნაწილებით
სამშენებლო ორგანიზაციების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 16 მაისი, № 324.

88 მოსახლეობისათვის მისაყიდი საშენი მასალების სავაჭრო ქსელის დისლოკაციაში წესრიგის დამყარების შესახებ

აღინიშნოს, რომ ცეკავშირისა და საქტყესაშენვაჭრობის სავაჭრო საწარმოები, რომლებიც ეწევიან მოსახლეობისათვის ხე-ტყის საქონლის, ცემენტის, შიფერისა და სხვა საშენი მასალების მიყიდვას, სწორად არ არიან განლაგებული, რის შედეგადაც ადგილი აქვს პარალელურად მათს მუშაობაში. ცეკავშირის სისტემა საშენი მასალებით ვაჭრობს იმ ქალაქებშიც, სადაც სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციები მოქმედებენ (თბილისი, სამტრედია, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი და სხვ.), ხოლო საქტყესაშენვაჭრობა — ისეთ ადგილებში, სადაც უნდა მუშაობდეს მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაცია (გარდაბანი, გაჩიანი, შულავერი, ჭიშურა, საჩხერე, მარნეული, გურჯაანი, მალარო, ლავოდები და სხვ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საშენი მასალების ვაჭრობას უნდა ახორციელებდნენ: რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჩათვლით), აგრეთვე ქალაქ მახარაძეში, ცხაკიაში, ხაშურში, გუდაუთაში — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქტყესაშენვაჭრობა, ყველა დანარჩენ ქალაქსა და რაიონში — ცეკავშირის სისტემა.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნას ცვლილებანი მოსახლეობისათვის მისაყიდი ხე-ტყის საქონლის, ცემენტის, შიფერისა და სხვა საშენი მასალების სავაჭრო ქსელის არსებულ დისლოკაციაში, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ აღნიშნული სავაჭრო ქსელის მიღება-გადაცემა მოახდინოს.



ნონ ერთი თვის ვადაში, არსებული წესის თანახმად, სხე რომ სრ შეიცვალოს ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულება მინისტროსა და ცეკავშირის ხაზით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიტანოს სახალხო მეურნეობის 1963 წლის გეგმაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 18 მაისი, № 329.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 18 მაისის № 329
დადგენილების დანართი

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი

მოსახლეობისათვის მისაყიდი საშენი მასალების სავაჭრო ქსელის დისლოკაციაში

1. ცეკავშირის ნავთლულის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ვაჭრობის ბაზა გადატანილ იქნას ვაზიანში, ხოლო აღნიშნული ბაზის ნავთლულის № 1 და ნავთლულის სათბობის სავაჭრო საწყობები გადაეცეს საქტყესაშენვაჭრობას.

გადაეცეს ცეკავშირის საქტყესაშენვაჭრობის სამგორის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის № 1 ფილიალი ვაზიანში კანტორის სადგომიანად.

2. ცეკავშირის ნავთლულის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის ავკალის საწყობი გადაეცეს საქტყესაშენვაჭრობას.

3. საქტყესაშენვაჭრობის გარდაბნის ფილიალი № 2 და სამგორის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის რკინაკავეულის შალაზია გადაეცეს ცეკავშირს.

4. საქტყესაშენვაჭრობის სამგორის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის ფილიალი № 3 ვაზიანში გადაეცეს ცეკავშირს.

5. საქტყესაშენვაჭრობის თბილისის სავაჭრო-საწარმოო ბაზის შულავრის ფილიალი № 2 გადაეცეს ცეკავშირს.



6. საქტყესაშენვაპრობის ქუთაისის № 2 ხე-ტყის სავაჭრო საწყოების ქიშურის ფილიალი № 3 გადაეცეს ცეკავშირს.
7. ცეკავშირის ქუთაისის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის სამტრედიის საწყოები გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
8. საქტყესაშენვაპრობის სამტრედიის ხე-ტყის სავაჭრო საწყოების საჯავახოს ფილიალი № 2 გადაეცეს ცეკავშირს.
9. ცეკავშირის ქუთაისის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის ზესტაფონის საწყოები და მისი მალაზია გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
10. ცეკავშირის ქუთაისის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის კიათურის საწყოები გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
11. საქტყესაშენვაპრობის კიათურის ხე-ტყის სავაჭრო საწყოების საჩხერის ფილიალი № 1 და მისი მალაზია გადაეცეს ცეკავშირს.
12. ცეკავშირის გორის ხე-ტყის სავაჭრო კომბინატის გორის საწყოები № 2 და № 5 გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
13. ცეკავშირის გორის ხე-ტყის ტარის კომბინატის კასპის საწყოები გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
14. საქტყესაშენვაპრობის რუსთავის ხე-ტყის სავაჭრო საწყოების მარნეულის ფილიალი № 1 გადაეცეს ცეკავშირს.
15. აჭარკოოპკავშირის ქობულეთის საწყოები გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
16. ცეკავშირის წნორისწყლის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის თელავის საწყოები გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
17. საქტყესაშენვაპრობის თელავის ხე-ტყის სავაჭრო საწყოების გურჯაანის ფილიალი გადაეცეს ცეკავშირს.
18. საქტყესაშენვაპრობის სიღნაღის ხე-ტყის სავაჭრო საწყოების წითელწყაროს ფილიალი № 1 გადაეცეს ცეკავშირს.
19. საქტყესაშენვაპრობის სიღნაღის ხე-ტყის სავაჭრო საწყოების მალაროს ფილიალი № 2 გადაეცეს ცეკავშირს.
20. საქტყესაშენვაპრობის სიღნაღის ხე-ტყის სავაჭრო საწყოების ლაგოდეხის რკინაყვეულის მალაზია გადაეცეს ცეკავშირს.
21. ცეკავშირის ქუთაისის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის წყალტუბოს საწყოები გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.
22. საქტყესაშენვაპრობის წყალტუბოს ხე-ტყის სავაჭრო საწყოების მუხიანის ფილიალი გადაეცეს ცეკავშირს.
23. ცეკავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის ზუგდიდის საწყოები და მალაზია გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.



24. საქტყესაშენვაპრობის ხაშურის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის ქარელის ფილიალი № 1 და მალაზია გადაეცეს ცეკავშირს.

25. საქტყესაშენვაპრობის სიღნაღის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის სიღნაღის რკინაკავეულის მალაზია გადაეცეს ცეკავშირს.

26. საქტყესაშენვაპრობის ყოფ. კასპის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის გრაკალის საწყობი გადაეცეს ცეკავშირს.

27. საქტყესაშენვაპრობის ყოფ. კასპის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის კავთისხევის საწყობი (ამჟამად დახურული) გადაეცეს ცეკავშირს.

28. „აფხაზკავშირის“ სოხუმის სარაიონთაშორისო ბაზის სოხუმის მალაზია გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.

29. „აფხაზკავშირის“ სოხუმის სარაიონთაშორისო ბაზის ოჩამჩირის საწყობი გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.

30. „აფხაზკავშირის“ სოხუმის სარაიონთაშორისო ბაზის გულაუთის საწყობი გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.

31. „აფხაზკავშირის“ გაგრის საწყობი გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.

32. საქტყესაშენვაპრობის ოჩამჩირის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის გალის ფილიალი № 2 გადაეცეს ცეკავშირს.

33. საქტყესაშენვაპრობის ლანჩხუთის ხე-ტყის სავაჭრო საწყობი და რკინაკავეულის მალაზია გადაეცეს ცეკავშირს.

34. ცეკავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის ცხაკიას საწყობი გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.

35. ცეკავშირის მახარაძის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის მახარაძის საწყობი გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.

36. ცეკავშირის ახალციხის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზის ხაშურის საწყობი გადაეცეს საქტყესაშენვაპრობას.

37. საქტყესაშენვაპრობის ცენტრალური საწყობი წნორში დატოვებულ იქნას მხოლოდ ხის ტარის შეგროვებისა, რემონტისა და გაცემისათვის.

38. შეუწარმოებულ ცეკავშირის ქუთაისის, ზუგდიდისა და მახარაძის სარაიონთაშორისო წვრილსაბითუმო ბაზებს ფუნქციები თავისი საწყობების მომარაგებისა საშენი მასალებით მათ მომსახურების რაიონებში, ხოლო ცეკავშირის გორის ხე-ტყის ტარის კომ.

ბინატის გორის № 1 და № 3 საწყობებს — გადატვირთვის ინტენსივობი, ამასთან აეკრძალოს მათ საცალო ვაჭრობა ქ. ქუთაისში მდებარე დიდში, მახარაძესა და გორში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი ა. შირაძაძე.

89 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში აღრიცხვის შემდგომი სრულყოფის ანგარიშგების გამარტივებისა და სააღრიცხვო-სტატისტიკური პერსონალის შესანახი ხარჯების შემცირების ზომების შესახებ

აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში რამდენადმე ამაღლდა სააღრიცხვო სამუშაოთა, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საინჟინრო-ტექნიკურ გაანგარიშებათა მექანიზაციის დონე. 1960-1962 წლების მანძილზე რესპუბლიკაში ერთიორად გაიზარდა სამანქანო-საანგარიშო სადგურებისა და ბიუროების რიცხვი, რომლებიც მომსახურებას უწევენ 220-ზე მეტ საწარმოსა და ორგანიზაციას. მწყობრში ჩადგა რესპუბლიკაში პირველი გურჯაანის საცდელი რაიონული სამანქანო-საანგარიშო სადგური, რომელიც ეწევა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სააღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავებას. მაგრამ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების ორგანიზაციისა და მექანიზაციის საქმეს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახსიათებს.

საქართველოს სსრ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის საბჭოს, საწარმოები და ორგანიზაციები სისტემატურად არ ასრულებენ სამანქანო-საანგარიშო სადგურებისა და ბიუროების მოწყობის დავალებებს.

1962 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში არ ყოფილა მოწყობილი 2 სამანქანო-საანგარიშო სადგური, 16 ბიუროს ნაცვლად საექსპლუატაციოდ გადაცემულია მხოლოდ 4 ბიურო. სამანქანო-საანგარიშო ბიუროების მოწყობის გეგმები არ შეუსრულებიათ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს. განათლების სამინისტროში, კულტურის სამინისტროში, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, აგრეთვე მთელ რიგ



სხვა უწყებებში სააღრიცხვო სამუშაოთა მექანიზაცია მოყენებული.

მიღებული საანგარიშო ტექნიკის უმეტესი ნაწილი დიდი ხნობით უმოქმედოდ დგას ან გამოყენებულია მცირე დატვირთვით; ამ ტექნიკაზე დახარჯული მნიშვნელოვანი სახსრები არ იძლევა დროულ და სათანადო ეკონომიურ ეფექტს.

სამანქანო-საანგარიშო სადგურები, რომლებსაც მნიშვნელოვანი რეზერვები მოეპოვებათ მოწყობილობის დასატვირთავად, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ აღრიცხვის, საგეგმო-ეკონომიურ და საინჟინრო-ტექნიკურ გაანგარიშებათა კომპლექსურ მექანიზაციას.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია სააღრიცხვო სამუშაოების მექანიზაცია რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც 1962 წელს მუშაობდა სააღრიცხვო-სტატისტიკური დარგის დაახლოებით 7 ათასი მუშაკი. მუშაობა არ გაუჩაღებია 1962 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემაში მოწყობილ ორ სამანქანო-საანგარიშო ბიუროს (მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობისა და მუხრანის საცდელ საბჭოთა მეურნეობებთან); დღემდე უმოქმედოდ დგას კიდევ ორი ასეთი ბიუროს მოსაწყობად გამოყოფილი საანგარიშო მანქანები (ლაითურისა და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობები). არ არის მომზადებული პირობები, რათა დროზე გადაეცეს საექსპლუატაციოდ იმ საანგარიშო მანქანების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც გამოყოფილია 1963 წელს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

ნელი ტემპებით ინერგება პირველადი აღრიცხვის ტიპობრივი ფორმები: საწარმოებისა და ორგანიზაციების უმეტესობა სარგებლობს პირველადი დოკუმენტაციის მოძველებული ან ნებისმიერი ფორმებით, რომლებიც ხშირად მეტისმეტად რთულია და ეწვეიან ერთი და იმავე ოპერაციის დუბლირებას.

აღრიცხვის შემდგომი გამარტივებისა და გაიაფებისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების მუშაკები სახელმწიფო ანგარიშგებასთან ერთად აწესებენ დამატებითს და ამასთან რთულ ანგარიშგებას, რომელიც ტვირთავს მუშაკებს უსარგებლო მუშაობით და ხელს უშლის მათ ძირითად მოვალეობათა შესრულებაში.



რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში აღრიცხვის სისტემის განვითარების, ანგარიშგების გამარტივებისა და სააღრიცხვო-სტატისტიკური პერსონალის შესანახი ხარჯების შემცირების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა დ გ ე ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) აღრიცხვის მექანიზაციისა და მისი ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა დააკისრონ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის, მინისტრის, უწყების ხელმძღვანელის ერთ-ერთ მოადგილეს, ხოლო საწარმოებსა და ორგანიზაციებში — დირექტორს ან მმართველს;

ბ) სისტემატურად აუმჯობესონ საანგარიშო ტექნიკის გამოყენება და უზრუნველყონ აღრიცხვის, საგეგმო-ეკონომიურ და საინჟინრო-ტექნიკურ გაანგარიშებათა მექანიზაციის განვითარების ყოველწლიური გეგმების შედგენა.

აღრიცხვის მექანიზაციის განვითარების გეგმების პროექტები შეათანაზონ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან;

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აღრიცხვის გაუმჯობესება საწარმოებსა და ორგანიზაციებში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღრიცხვის ზედმეტი ფორმების შემცირებას, სააღრიცხვო დოკუმენტაციის გამარტივებასა და უნიფიკაციას, ამასთან იხელმძღვანელონ პირველადი აღრიცხვის ტიპობრივი ფორმებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ;

დ) მოახდინონ აღრიცხვისა და ანგარიშგების ცენტრალიზაცია საქარხნო სამმართველოების ბუღალტერიაში და ამასთან დაკავშირებით გააუქმონ ბუღალტერია სამმართველსა და დამხმარე დარგებში, გააერთიანონ ერთგვაროვანი მცირე ორგანიზაციებისა და საწარმოების ბუღალტერიები;

ე) მიიღონ საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვას სწორი ანგარიშგების წარდგენის საქმეში; იმ პირობებს, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან უკანონო ანგარიშგების შემოღებაში, დაადონ მკაცრი სასჯელი, მათ შორის მოხსნან თანამდებობიდან.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ:



ა) მიიღოს ზომები, რათა სწრაფად და ეფექტურად განხორციელდეს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის და ისეთი ჯგუფური სამანქანო-საანგარიშო ბიუროების მოსაწყობად გამოყოფილი საანგარიშო მანქანები, რომლებიც მომსახურებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს;

ბ) საჭირო დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ სამანქანო-საანგარიშო სადგურებს იმ შჩრივ, რომ ჩატარდეს აღრიცხვის მექანიზაცია რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

გ) 1963 წლის 1 სექტემბრამდე განიხილოს საკითხი, რომ აღრიცხვის მექანიზაციასთან დაკავშირებით შემცირდეს სააღრიცხვო-სტატისტიკურ მუშაკთა რაოდენობა გურჯაანის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

3. გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ მოაწყოს საანგარიშო მანქანების ტექნიკური მომსახურება სოფლის მეურნეობაში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, თუ რა წყაროებით უნდა დაიფაროს ახლადშექმნილი რაიონული სამანქანო-საანგარიშო სადგურების მოწყობისა და შენახვის ხარჯები, ვიდრე ისინი სამეურნეო ანგარიშზე გადავლენ.

5. ეცავეშირის გამგეობამ გამოყოს იმ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში, რომლის მშენებლობა მთავრდება ქ. გორში, 200 კვ. მეტრი ფართობი რაიონული სამანქანო-საანგარიშო სადგურის მოსაწყობად. გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ჩაატაროს საჭირო სამუშაოები სადგომების გადასაკეთებლად სამანქანო-საანგარიშო სადგურისათვის.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად, აღრიცხვის მექანიზაციის გეგმების საფუძველზე, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ყოველწლიური დავალებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების სისტემის საანგარიშო დარგის პერსონალის რაოდენობის შემცირებისათვის.

7. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ:



ა) მრეწველობაში სააღრიცხვო-გამოთვლითი სააპარატურის, სააგრო-ეკონომიურ და საინჟინრო-ტექნიკურ განვითარებათა მექანიზაციისადმი, ახალი სამანქანო-საანგარიშო დანადგარებისადმი, მათ შორის გამოთვლითი ცენტრებისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად რესპუბლიკის დიდ სამრეწველო რაიონებში, მოაწყოს, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, აღრიცხვის მექანიზაციის განყოფილება.

გაფართოოს საანგარიშო მანქანების სარემონტო ბაზა და გააუმჯობესოს მისი ხარისხი;

ბ) მოაწყოს 1963 წლის პირველ ნახევარში ავეჯის ერთ-ერთი საწარმოში და შეიტანოს მის საწარმოო გეგმაში 1964-1965 წლები-სათვის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, სპეციალური ავეჯისა და ინვენტარის ნიმუშების დამზადება სამანქანო-საანგარიშო დარგებისათვის.

8. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ:

ა) საჭირო დახმარება გაუწიოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოო სამმართველოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს აღრიცხვის მექანიზაციის განვითარების დაგეგმვაში, მეთოდოლოგიის, გამოცდილების გაზიარების ორგანიზაციისა და სხვა საკითხებში;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობაში აღრიცხვის მექანიზაციის განვითარებას, ქალაქ გურჯაანში საცდელი რაიონული სამანქანო-საანგარიშო სადგურის მოქმედების სფეროს გაფართოებას, იმას, რომ მოეწყოს ახალი ასეთი სადგურები საქართველოს სხვა რაიონებში, პირველ რიგში ქალაქ გორში 1963 წელს;

გ) მიიღოს ზომები ქალაქ ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში მოქმედი სამანქანო-საანგარიშო სადგურების დაკომპლექტებისათვის, იმისათვის, რომ გადაყვანილ იქნან ისინი სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციების მომსახურებაზე;

დ) ჩაატაროს 1963 წლის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სამანქანო-საანგარიშო სადგურში აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის საცდელი დანერგვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მე-



ურნეობებში მიღებული შედეგების შემდგომ გასაჯერებლად

ე) უზრუნველყოს, დაინტერესებული ორგანიზაციების განკუთვნილი ცხადებით, ოპერატორების, ინსტრუქტორ-ოპერატორების, საანგარიშო მანქანათა მექანიკოსებისა და მექანიზებული აღრიცხვის დამპროექტებელთა შეუფერხებელი მომზადება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატში, აგრეთვე აღრიცხვის მექანიზაციის დარგის საანგარიშო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება;

ვ) სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით 1963 წლის დამლევამდე წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს რესპუბლიკაში სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე სააღრიცხვო და გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის დაპროექტებისა და დანერგვის ბიურო.

9. გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს იმ ფართობის გადიდება სასარგებლო ფართობის სულ ცოტა 200 კვ. მეტრამდე მაინც, რომელიც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გურჯაანის რაიონულ საცდელ სამანქანო-საანგარიშო სადგურს უჭირავს.

10. აეკრძალოს ყველა პოლიგრაფიულ საწარმოს ტიპობრივი ფორმების ბეჭდვა სახელმწიფო სტატისტიკური გამომცემლობის გვერდის ავლით, აგრეთვე, აღრიცხვის ისეთი ნებისმიერი ფორმების ბეჭდვა, რომლებიც არ არის დამტკიცებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოების, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ან შემდგომი ორგანიზაციების მიერ.

სახელმწიფო სტატისტიკური გამომცემლობის საქართველოს განყოფილებამ მოაწიოს ტიპობრივი ფორმების ბეჭდვა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების განაცხადებით, ხოლო სახელმწიფო საგვეგმო კომისიამ გაითვალისწინოს ქაღალდის შესაბამისი ფონდის გამოყოფა სახელმწიფო სტატისტიკური გამომცემლობის მიერ წარდგენილ გაანგარიშებათა მიხედვით.

11. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1963 წლის

1 აგვისტოსათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა კონსულტაციის
ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 21 მაისი, № 338.

90 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის კულტურისა და დასვენების პარკების შესახებ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის კულტურ-
ტურისა და დასვენების პარკების უდოტაციო მუშაობაზე გადა-
ყვანასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული
საბჭოების აღმასკომებს:

ა) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის კულ-
ტურისა და დასვენების პარკების მეურნეობის უკეთ მოვლის მიზნით
ამ პარკების კომუნალური მომსახურება დააყისრონ კომუნალური
მეურნეობის თავის შესაბამის განყოფილებებს;

ბ) მეტი ყურადღება მიექციონ კულტურისა და დასვენების პარ-
კების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებს; ჩააბან ამ სა-
ქმეში ფართო საზოგადოებრიობა; მიიღონ გამძკრელი ზომები
პარკების საკუთარი შემოსავლების მკვეთრი ზრდის უზრუნველსა-
ყოფად.

ამ მიზნით ხშირად მოაწყონ პარკებში სხვადასხვა სახის მასო-
ბრივი ღონისძიებები, პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივ-
ების გამოსვლები, გაზარდონ პარკების ტერიტორიაზე მოქმედი ყვა-
ვილებით მოვაჭრე პავილიონებისა და ატრაქციონების რაოდენობა,
გააძლიერონ კონტროლი და მოაწყსრიგონ მათი მუშაობა; პარკების
საკუთარი შემოსავლები გამოიყენონ საპარკო მეურნეობის განმ-



ტვიცება-განვითარებისა და შრომელთა მომსახურების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 21 მაისი, № 339.

91 ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დამხმარე სა-
დგომების ფართობის ზღვრული ნორმების დაწესების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს ადგილი აქვს უხეში დარღვევების, ბოროტმოქმედებისა და დამახინჯების ფაქტებს.

ინდივიდუალური მენაშენეები, იმ მიზნით, რომ გვერდი აუარონ კანონმდებლობას, რომლითაც ბინების საცხოვრებელი ფართობი განსაზღვრულია ზღვრული ნორმით — 60 კვ. მეტრით, აშენებენ მეტრისმეტად დიდ დამხმარე სადგომებს (სამზარეულო, ლოჯი, დახურული აივანი, სანკვანძი და სხვ.) ხშირად იმაზე მეტს, რაც ერთიორად აღემატება საცხოვრებელ ფართობს, შემდგომ კი, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მზასახლების მიღების შემდეგ, მენაშენეები ეწვევიან დამხმარე ფართობის გადაკეთებას საცხოვრებელ ფართობად და ხშირად განასხვისებენ ან აქირავებენ მას არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს:

ა) რომ დამხმარე ფართობი (ლოჯი, სამზარეულო, დახურული აივანი, სანკვანძი და სხვ.) იმ სახლებში, რომლებსაც ინდივიდუალური მენაშენეები აშენებენ, არ უნდა აღემატებოდეს საერთოდ 40 კვადრატულ მეტრს, ხოლო ინდივიდუალური მანქანების გარაეებისა და სასარდაფო სადგომების ფართობი — 30 კვადრატულ მეტრს;

ბ) რომ საცხოვრებელი ოთახების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 3 მეტრს, როდესაც მინიმუმი შეადგენს 2.5 მეტრს, ხოლო

სასარდაფო სადგომებისა და გარაყების სიმაღლე — 2 მეტრზე დასა-
დგესაც მინიმუმი შეადგენს 1,8 მეტრს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს შეიმუშაოს და დაამ-
ტყიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იური-
დიულ კომისიასთან შეთანხმებით ინსტრუქცია ამ დადგენილების შე-
ფარდების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 მაისი, № 341.

92 იმ უვარგისი მოწყობილობის, სამეურნეო ინვენტარისა და
სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ, რომლებიც ძირი-
თადი ფონდების (საშუალებათა) შემადგენლობაში ირიცხება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1956 წლის 30 იანვრის № 41 დადგენილება „რესპუბლიკური
და ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებისა და საწარმოე-
ბის კუთვნილი, სახალხო მეურნეობაში შემდგომ გამოსაყენებლად
გამოუსადეგარი გაცვეთილი მოწყობილობისა და სატრანსპორტო
საშუალებების, აგრეთვე დაუშთავრებელ წარმოებაში მყოფ ნაკე-
თობათა, შექუთვილობისა და წარმოებიდან მოხსნილი პროდუქციის
ინსტრუმენტის ჩამოწერის წესის შესახებ“ ამ დადგენილებით დამ-
ტყიცებული ინსტრუქციებით, იმასთან დაკავშირებით, რომ შემო-
ღებულია მოქმედებაში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და
სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1962 წლის
16 ივნისს შემოწმებული ტიპური ინსტრუქცია იმ უვარგისი მო-
წყობილობის, სამეურნეო ინვენტარისა და სხვა ქონების ჩამოწერის
წესის შესახებ, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო, კოოპერაციულ
(გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივ საწარმოებს, ორ-
განიზაციებსა და დაწესებულებებს.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ტიპური ინსტრუქცია არ იქნება
გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირის მინისტრ-



თა საბჭოს მიერ დადგენილია ძირითად საშუალებების მართვის სხვა წესი და რომ, ამასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მანქანების ჩამოწერა, რომლებიც გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლუატაციისათვის და არ უნდა იქნან აღდგენილი, უნდა ხდებოდეს, თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 იანვრის № 69 დადგენილებისა (მუხლი 16), რომელიც მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 30 ნოემბრის № 1058 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიბიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 მაისი, № 342.

93 სოფლის მეურნეობის სარემონტო ბაზის განვითარებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანატრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ

აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სარემონტო ბაზის განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდას, რაც აფერხებს მანქანატრაქტორთა პარკის მწარმოებლურობის ამაღლებას.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების (განყოფილებების), სამანქანო-სამელიორაციო სადგურების ბევრ სახელოსნოსა და დიდის სარემონტო ქარხანაში ტრაქტორებისა და სხვა რთული მანქანების რემონტი დაბალ ტექნიკურ დონეზე წარმოებს, სუსტად იზერგება რემონტის ინდუსტრიული მეთოდები, სპეციალიზაცია და კოოპერირება, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომითი დანახარჯების შემცირებას და სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას. უმნიშვნელოა მანქანების რემონტის მოცულობა ვაცვეთილი აგრეგატებისა და კვანძების ახალი ან



შეკეთებული აგრეგატებითა და კვანძებით გამოცვლის შემთხვევაში კმაოდ არ არის ორგანიზებული მანქანების გაცვეთილ-დასუფთავება ალდგენა.

„საქსოფლტექნიკა“ და მისი ადგილობრივი ორგანოები არ იღებენ სათანადო ზომებს სარემონტო საწარმოების საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურების მოწყობის საქმეში, რის გამო მინდვრის სამუშაოების პერიოდში ადგილი აქვს ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების მრავალ გაცდენას ტექნიკური უწყისიკრობის გამო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 აპრილის № 462 დადგენილების, სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტის 1963 წლის 28 აპრილის სხდომის № 7 გადაწყვეტილების შესასრულებლად და იმ მიზნით, რომ შემდგომ განვითარდეს სოფლის მეურნეობის სარემონტო ბაზა, გაუმჯობესდეს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობა და დახმარება გაეწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციის საქმეში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) დაამთავროს 1965 წელს დიღმის სარემონტო ქარხნის რეკონსტრუქცია იმ ვარაუდით, რომ გადიდდეს საწარმოო ფართობი 1.000 კვ. მეტრით და ჩატარდეს 1964-1966 წლებში 13 მოქმედი სარემონტო სახელოსნოს რეკონსტრუქცია ისე, რომ გადიდდეს ფართობი 5.600 კვ მეტრით (მათ შორის 1964 წელს — 4 სახელოსნოსი, ფართობის გადიდებით 1,2 ათასი კვ. მეტრით, 1965 წელს შესაბამისად — 4 სახელოსნოსი 2,2 ათასი კვ. მეტრით, 1966 წელს — 5 სახელოსნოსი — 2,2 ათასი კვ. მეტრით);

ბ) დანერგოს 1964-1968 წლებში რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოებში ტრაქტორების, ავტომობილებისა და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის პროგრესული ტექნოლოგია იმ ანგარიშით, რომ შეიცვალოს გაცვეთილი კვანძები და აგრეგატები ახალი ან შეკეთებული კვანძებითა და აგრეგატებით, აგრეთვე ფართოდ დანერგოს თანამედროვე სარემონტო მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და სარემონტო სამუშაოთა ორგანიზაციის ნაკადური მეთოდები, ამა-



სთან იქონიოს მხედველობაში რემონტის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, მისი ღირებულების შემცირება, სათაფლიან ტექნიკურ ლებისა და სარემონტო მასალების ხარჯვის შემცირება;

ვ) უპირატესად გამოიყენოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოების საწარმოო სიმძლავრენი ტრაქტორების, ავტომობილების, ავტოსატრაქტორო და საკომბაინო ძრავებისა და სხვა აგრეგატების, ლითონსაქრელი ჩარხების შესაკეთებლად, აგრეთვე მანქანების გაცვეთილი დეტალების აღსადგენად.

2. დაწესდეს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოების რეკონსტრუქციისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1964-1966 წლებში 0,9 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის 0,54 მილიონი მანეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის, რაც განაწილდეს წლების მიხედვით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ გაითვალისწინონ 1964-1966 წლების გეგმებით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოების რეკონსტრუქციისათვის, ამ დადგენილებით დაწესებული მოცულობით.

3. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ შესათანხმებლად წინადადებანი იმის შესახებ, რომ აშენდეს 1964-1968 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარემონტო სახელოსნოები და ტექნიკური მომსახურების პუნქტები მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარემონტო სახელოსნოების და ტექნიკური მომსახურების პუნქტების მშენებლობა განხორციელდეს უმთავრესად საიჯარო წესით ტიპური პროექტების მიხედვით.

4. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამართველოებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა უოველმხრივი დახმა-



რება გაეწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის ქანა-ტრაქტორთა პარკის სწორად გამოყენების საქმეში. სამეურნეო ტექნიკის კომპლექსური ტექნიკური მომსახურების მოსაწყობად, განსაკუთრებით მინდვრის სამუშაოების პერიოდში და უწინარეს ყოვლისა იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საჭირო სარემონტო ბაზა და არა ჰყავთ ინჟინერ-ტექნიკური კადრები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახშმენის ინსტიტუტს საქსოფლმშენპროექტს დროზე შეიმუშაოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოების რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მოარგოს ნაკვეთებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური მომსახურების შენდებადი ობიექტების ტიპური პროექტები.

6. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყოს სარემონტო სახელოსნოების მშენებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და თავისი სისტემის სარემონტო საწარმოების მშენებლობა საშენი მასალებითა და რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ:

ა) გაითვალისწინოს 1964-1968 წლების გეგმებით სახსრების გამოყოფა საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოებისათვის;

ბ) სამი თვის ვადაში შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ „საქსოფლტექნიკის“ სისტემის დიღმის სარემონტო ქარხნის განთავისუფლებას სამრეწველო პროდუქციის წარმოებისაგან, ამასთან იქონიოს მხედველობაში ქარხნის სიმძლავრის უფრო სრულად გამოყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაკეთებლად და გაცვეთილი დეტალების აღსადგენად.

8. აიკრძალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოების დატვირთვა სამრეწველო პროდუქციის წარმოებით ისე, თუ ეს საკითხი არ იქნა შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“.



მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 აპრილის № 462 დადგენილებით დადგენილი იქნა ევალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაითვალისწინონ 1964-1968 წლების გეგმებით, რომ გამოეყოს სოფლის მეურნეობის სარემონტო საწარმოებს ძირითადი მოწყობილობა, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სარემონტო სახელოსნოების მოსამარაგებლად — დემონტირებული ლითონსაკრელო ჩარხები წესიერ მდგომარეობაში სამრეწველო საწარმოების პარკიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 6 ივნისი, № 362.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 6 ივნისის № 111-11
დადგენილების შესაბამისად

მ რ ც უ ლ ო ბ ა

კაპიტალური დაბანდებებისა, რომლებიც გამოიყოფა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის
1964-1966 წლებში

(მილ. მან.)

| წლების მიხედვით | სულ | მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები |
|--------------------------------|-----|---|
| სულ 1964-1966 წლებში | 0,9 | 0,54 |
| აქედან: | | |
| 1964 წელი | 0,3 | 0,18 |
| 1965 „ | 0,3 | 0,18 |
| 1966 „ | 0,3 | 0,18 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. ჰირაძემძე.

94 კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზების დაცვის შესახებ

აღინიშნოს, რომ ბევრი ორგანიზაცია, რომლებიც რესპუბლიკაში სამშენებლო, სარემონტო და სხვა სამუშაოებს ასრულებს, არღვევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 თებერვლის № 577 დადგენილებით დამტკიცებულ „წესებს კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზების მოწყობისა და დაცვის შესახებ“.

არ იცავენ მოთხოვნას კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებთან სამუშაოთა შეთანხმების შესახებ; უხეშად ირღვევა სამუშაოთა წარმოების დროს სიფრთხილის ელემენტარული წესები; ადგილი აქვს კავშირგაბმულობის საკაბელო და საჰაერო ხაზების გაფუჭებას. ყოველივე ეს სახელმწიფოს აყენებს მატერიალურ ზარალს და არღვევს უმნიშვნელოვანესი კავშირის მოქმედებას.

1962 წელს აღნიშნული იყო კავშირგაბმულობის ხაზების დაზიანების მრავალი შემთხვევა.

დაზიანდა საქალაქთაშორისო კაბელები ფასანაურის რაიონში, სადაც მუშაობდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, ჭვარი-ზუდონის უბანზე, სადაც ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით აფეთქების სამუშაოები წარმოებდა, არაერთხელ დაირღვა კავშირგაბმულობის ზუგდიდ-მესტიის სატელეფონო-სატელეგრაფო საქალაქთაშორისო ხაზი, იყო დაზიანების 50-ზე მეტი შემთხვევა.

კობი-ლარსის უბანზე ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის“ № 7 სამშენებლო სამმართველოს მიერ აფეთქების სამუშაოთა წარმოების დროს დაშვებულია ათობით საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო სადენების დაზიანება, ამასთან ძირითადად დაზიანებულია საკავშირო მნიშვნელობის მაგისტრალური ქაბელები, რომლებიც შემკიდრობულია მრავალარხიანი სისტემის აპარატურით.

სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის სახელმწიფო საშუალებათა მოვლა-პატრონობისა და შეუფერხებელი მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუ-



ტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების დაიკვეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 თებერვლის № 577 დადგენილებით დამტკიცებული «წესები კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზების მოწყობისა და დაცვის შესახებ».

2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა საპროექტო ინსტიტუტს სამშენებლო ობიექტების დაპროექტების დროს გადაიღონ ნახაზებზე დაპროექტების მოედნებზე არსებული მიწისქვეშა და საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზები და გაითვალისწინონ პროექტებით კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებთან შეთანხმებით მასალები და მოწყობილობა იმისათვის, რომ გადაკეთებულ ან გადატანილ იქნან კავშირგაბმულობის ნაგებობანი მათი მოქმედების შეუწყვეტლად, თუ ეს საჭიროა დაპროექტებული ობიექტისა და კავშირგაბმულობის ხაზების ნორმალური მოქმედებისათვის.

3. დაევალოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე მოქალაქეებს მიწის სამუშაოები და გათხრები 0,3 მეტრზე მეტი სიღრმით, რაც დაკავშირებულია ტროტუარებისა და ქუჩების სავალი ნაწილის გათხრასთან იმ ქალაქებისა და დაბების ტერიტორიაზე, რომლებსაც აქვთ კავშირგაბმულობის სამინისტროს საკაბელო ქსელები, — აწარმოონ მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ნებართვით, რაც წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული კავშირგაბმულობის ადგილობრივ ორგანოებთან.

ასეთი ნებართვის მიღების შემდეგ სამშენებლო ორგანიზაციებმა, როდესაც მშენებლობის ტერიტორიაზე აღმოჩნდება კავშირგაბმულობის სახაზო ნაგებობანი, სამუშაოთა დაწყებამდე ერთი დღე-ღამით ადრე მაინც უნდა აცნობონ კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებს განზრახული სამუშაოების შესახებ და შეუდგნენ მუშაობას მხოლოდ კავშირგაბმულობის წარმომადგენლის თანდასწრებით. კავშირგაბმულობის ნაგებობათა დაცვითს ზონაში სამუშაოები უნდა წარმოებდეს მხოლოდ იმ ზომების განსახორციელებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირგაბმულობის საშუალებათა შეუფერხებელი მოქმედებას.

4. დაევალოს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომელთა ტერიტორიაზე ვადის კავშირგაბმულობის მიწისქვეშა ან საჰაერო ხაზები, უზრუნველყონ მათი მოვლა-პატრონობა. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ და საკაბელო მაგი-



სტრალების სამმართველომ გადასცენ საწარმოებს, საწარმოებში-
ნეობებსა და კოლმეურნეობებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომელთა
ტერიტორიაზე გადის კავშირგაბმულობის მიწისქვეშა ხაზი, ცნო-
ბები ნაგებობათა ტრასის შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა აღნიშნული წესები კავშირ-
გაბმულობის სამინისტროს სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზების
მოწყობისა და დაცვის შესახებ, კავშირგაბმულობის ადგილობრივი
ორგანოები დადგენილი წესით შეადგენენ აქტებს და განსახილ-
ველად გადასცემენ მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და
საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ადმინისტრაციულ
კომისიებს, რომლებიც დამნაშავე პირებს დაადებენ ჯარიმას შემ-
დეგი ოდენობით: თანამდებობის პირებს — 50 მანეთამდე და მო-
ქალაქეებს — 10 მანეთამდე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტ-
როს კავშირგაბმულობის იმ ხაზების რეკონსტრუქციის ან კაპიტა-
ლური რემონტის დროს, რომლებიც მდებარეობენ რესპუბლიკის
საავტომობილო გზებზე, გადაიტანოს ეს ხაზები საავტომობილო
გზების ვაკისიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 7 ივნისი, № 367.

95 საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და
საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტ-
თა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ

რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების
სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების
საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინი-
სტრთა საბჭოს 1963 წლის 18 აპრილის № 451 დადგენილების შე-
საბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოე-
ბისა და დამზადების სამინისტროს:



ა) მოაწყოს 1963 წლიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები;

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან, საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტთან და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან — სწავლების სამ თვემდე ვადით;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან და სკოლებთან, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, საცდელ სადგურებთან — სწავლების ერთ თვემდე ვადით;

ბ) უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მოკლევადიანი სემინარების ჩატარება სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, საცდელ სადგურებთან, მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეულ საკითხებზე.

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და მოკლევადიანი სემინარების ძირითადი ამოცანაა ის უნდა იყოს, რომ შესაძლებლობა მისცეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს სისტემატურად შეისწავლონ ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევები.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და მოკლევადიან სემინარებზე ლექციების წასაკითხად და მეცადინეობის ჩასატარებლად მოიწვიოს მეცნიერები, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მაღალკვალიფიციური მასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალისტები, მოწინავეები და ნოვატორები;

გ) განახორციელოს 1963 წელს დაფინანსების დამტკიცებული გეგმის ფარგლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის (150 კაცისათვის) რემონტი და გაწყობა და შემდეგში გამოიყენოს იგი სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელთა საერთო საცხოვრებლად;

დ) გადაამუშაოს ადგილობრივი პირობების შესაბამისად და დამტკიცოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისათვის თემატიკური გეგმები და პროგრამები, სსრ კავში-



რის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული პერი თემატიკური გეგმისა და პროგრამის საფუძველზე

ე) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და მოკლევადიანი სემინარების მუშაობას, აღმოუჩინოს მათ პრაქტიკული დახმარება სასწავლო პროცესის მოწყობის, მსმენელთა მატერიალური უზრუნველყოფისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში;

ვ) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს დაამთავრებენ, აძლიოს მოწმობები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით;

ზ) ყოველწლიურად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მისაღები კონტინგენტი და მოკლევადიანი სემინარების კონტინგენტი.

2. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელთა საერთო კონტინგენტიდან, რომელიც დამტკიცებულია სახალხო მეურნეობის 1963 წლის გეგმით, განსაზღვროს სამთვიანი კურსების მსმენელთა რაოდენობა 150 კაცით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან და სკოლებთან, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან და საცდელ სადგურებთან მოწყობილი კურსების მსმენელთა რაოდენობა — 860 კაცით.

3. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ინჟინერ-მექანიკოსებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ავზავნიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების წარდგენით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო, როგორც წესი, წარმოებაში მუშაობის ყოველი 5 წლის შემდეგ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მავარი და რბილი ინვენტარის ფონდი კოლმეურნეობებისა



და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებთან მოწყობილი მსმენელთა ცხოვრებლებისათვის (150 კაცისათვის), დანართის თანხმად. დასა-ტებით გამოყოფილი ინვენტარის ანაზღაურება მოხდეს იმ სახსრე-ბიდან, რაც დამტკიცებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის აღნიშნული ინვენტარის შესაძენად.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ორი თვის ვადაში შეად-გინოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურ-სების, მოკლევადიანი სემინარების შესანახი ხარჯების ხარჯთაღრი-ცხვები 1963 წლისათვის და დამტკიცოს ეს ხარჯთაღრიცხვები სა-ქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურ-სებისა და მოკლევადიანი სემინარების დაფინანსება მოხდეს რეს-პუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერ-თიანება „საქსოფლტექნიკამ“ ყოველწლიურად უზრუნველყოს სა-სოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინს-ტიტუტები და საცდელი სადგურები, რომლებთანაც მოეწყობა სო-ფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზად-ების სამინისტროს განაცხადებით.

8. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მი-ნისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 აპრილის № 451 დადგენილებით:

ა) დაწესებულია მეცნიერთა, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებ-ლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, სასოფლო-სა-მეურნეო წარმოების სპეციალისტთა, მოწინავეთა და ნოვატორთა შრომის საათობრივი ანაზღაურება იმ წესითა და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 27 ოქტომბრის № 4115 და 1961 წლის 9 მარტის № 204 და-დგენილებებით;

ბ) დაწესებულია სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალი-ფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელთათვის მატერიალური უზრუნველყოფა;



სწავლების სამ თვემდე ვადიანი იმ კურსების მსმენელების, რომლებიც მოწყობილია უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან, იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია სსრ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 აგვისტოს № 771 დადგენილების მე-6 მუხლით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელებისათვის;

სწავლების ერთი თვის ვადიანი იმ კურსების მსმენელებისათვის, რომლებიც მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან და სკოლებთან, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, საცდელ და მანქანათსაცდელ სადგურებთან, — იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 ივნისის № 577 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. პირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 7 ივნისი, № 369.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 7 ივნისის № 309
დადგენილების დამართი

ს ი ა

ინვენტარისა, რომელიც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საერთო ხაცხოვრებლისათვის

| დასახელება | ზომის ერთეული | ს უ ლ | მათ შორის | |
|--------------------|---------------|-------|-----------|---------|
| | | | 1963 წ. | 1964 წ. |
| ჩკინის საწოლი | ცალი | 150 | 50 | 100 |
| შალის საბანი | " | 150 | 80 | 70 |
| ზეწარი და თეთრეული | კომპ. | 300 | 200 | 100 |
| საწერი მაგიდა | მან. | 1230 | 410 | 820 |
| სკამი | " | 750 | 250 | 500 |
| გარდერობი | " | 3000 | 1000 | 2000 |
| პატარა ტუმბი | " | 600 | 300 | 300 |
| საკიდი | " | 360 | 120 | 240 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ზირაძეძე.

96 საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობების იური- დიული მომსახურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურება საქართველოს სს რესპუბლიკაში არადაამკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

კოლმეურნეობების ხელმძღვანელები სათანადო მნიშვნელობას არ აძლევენ იურიდიული ხასიათის აქტებისა და სამეურნეო ურთიერთობის ხელშეკრულებათა სწორად გაფორმებას, რის შედეგად რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო გარიგებათა დადებას და საბჭოთა კანონების დარღვევით იურიდიული ხასიათის აქტების გაფორმებას, ამასთანავე ისინი მოკლებული არიან სამართლებრივ მნიშვნელობის საკითხებზე იურიდიულ კონსულტაციებს.

1963 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში დებიტორული დავალიანება აღემატებოდა 22 მილიონ მანეთს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის დავალიანებები აქვთ ზუგდიდის, სიღნაღის, დუშეთის, გურჯაანის, გორის, გუგუქორის, სამტრედიისა და მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეობებში არსებული დებიტორული დავალიანებების ერთ-ერთი მიზეზია კოლმეურნეობების მხრივ იურიდიული მომსახურების უგულვებელყოფა.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს შემოიღონ პრაქტიკაში ადვოკატთა კოლეგიების იურიდიულ კონსულტაციებთან ხელშეკრულების დადება იურიდიული მომსახურების თაობაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, შშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს მიიღონ გადაწყვეტი ზომები კოლმეურნეობების საქმიანობაში კანონიერების განმტკიცებისათვის და უზრუნველყონ კოლმეურნეობების კვალიფიციური იურიდიული მომსახურება.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა უფრო აქტიურად დარახმონ კოლმეურნეობები საკოლმეურნეო ქონების გაზღვრულანგველობისა



და განიავების წინააღმდეგ, სპეკულანტებისა და უსაქმურების წინააღმდეგ საბრძოლველად, უფრო ფართოდ გამოიყენონ ებრივი ხელოვნებების ფორმები ამ სამარცხვინო მოვლენათა აღმოსაფხვრელად.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს:

ა) განახორციელონ კოლმეურნეობათა იურიდიული მომსახურება;

ბ) იურიდიული მომსახურება განხორციელდეს ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) მცირე სიმძლავრის კოლმეურნეობებს იურიდიული მომსახურება გაუწიონ უფასოდ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს უზრუნველყონ მიმდინარე წლის I სექტემბრამდე კოლმეურნეობებსა და იურიდიულ კონსულტაციებს შორის ხელშეკრულებათა დადება იურიდიულ მომსახურებაზე.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ კოლმეურნეობებსა და იურიდიულ კონსულტაციებს შორის იურიდიული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების ტიპური პროექტი და იურიდიული მომსახურების ანაზღაურების წესი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას 1963 წელს მოამზადოს გამოსაცემად პრაქტიკული სახელმძღვანელო „სასოფლო-სამეურნეო არტელების საქმიანობის სამართლებ-



რივ საკითხებზე“ და ინსტრუქცია კოლმეურნეობათმკაცრების მომსახურების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძეძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 11 ივნისი № 379.

97 საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

მე-11 მუხლს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროში შეიქმნება უწყებრივი არბიტრაჟი, რომლის დებულებას დაამტკიცებს მინისტრი. არბიტრაჟის შემადგენლობა დაინიშნება სამინისტროს მუშავეებისაგან.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს არბიტრაჟს უფლება აქვს გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძეძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 11 ივნისი, № 381.



98 იმ მოქალაქეებისაგან საკურორტო გამოსაღების შემოსუბის შესახებ, რომლებიც უსაგზუროდ და უსაკურსებოდ ჩადიან დასასვენებლად საქართველოს სსრ საკურორტო და სააგარაკო ადგილებში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. შემოღებულ იქნას 1963 წლის 1 ივლისიდან იმ მოქალაქეებისაგან საკურორტო გამოსაღები, რომლებიც უსაგზუროდ და უსაკურსებოდ ჩადიან დასასვენებლად და სამკურნალოდ საკურორტო და სააგარაკო ადგილებში, 2 მანეთის ოდენობით თვითეული დამსვენებლისაგან.

საკურორტო გამოსაღებს გადაახდევინებენ მილიციის ორგანოები პასპორტებისა და მათი შემცველი საბუთების გაწერვის დროს სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებასთან ერთად იმ ადგილებში, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ოქტომბრის № 755 დადგენილებით, დანართის თანახმად.

16 წლის ასაკამდე ბავშვები და ომისა და შრომის ინვალიდები განთავისუფლდნენ საკურორტო გამოსაღების გადახდისაგან.

2. დაწესდეს, რომ აღნიშნული საკურორტო გამოსაღების სახსრები გადადის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესაბამისი აღმასკომების განკარგულებაში, რომლებიც მას იყენებენ საკურორტო და სააგარაკო ზონის, პლაჟებისა და საერთო სარგებლობის სხვა ადგილების კეთილმოწყობისათვის, საზაფხულო ტიპის სასტუმროებისა და ნაგებობების მშენებლობისათვის, ავტომობილების სადგომების მშენებლობისა და მოწყობილობისათვის, ამ ადგილების სათანადო სანიტარული მდგომარეობის დაცვის სამუშაოებისათვის.

3. აეკრძალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს საკურორტო გამოსაღების სახსრების ხარჯვა სხვა მიზნებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოებს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ დადგენილების გაერცელება სხვა კურორტებსა და



სააგარაკო ადგილებზედაც, რომლებიც არ არიან მოხსენიებული
ნართში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 15 ივნისი, № 396.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 15 ივნისის № 396
დადგენილების დანართი

ს ი ბ

საქართველოს სსრ იმ კურორტებისა და სამკურნალო ადგილებისა,
სადაც უსაგზურებოდ და უსაკურსებოდ დასასვენებლად ჩასულ
მოქალაქეებს გადახდებთ საკურორტო გამოსაღები

რეკლამული კური მნიშვნელობის კურორტები

აბასთუმანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ლიბანი
პატარა ცემი
წალკერი
ცემი
ახტალა
საირმე
უწერა
შოვი
სურამი
მენჯი
წყალტუბო
ქ. სოხუმი
გულრიფში
გუდაუთა
ახალი ათონი
გაგრა
ლესელიძე
რიწა
ავადხარა



ეროვნული
წიგლმწიფი

ბიჭვინთა
ქ. ბათუმი
მწვანე კონცხი
მახინჯაური
ქობულეთი
ციხისძირი
ჩავა

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები
და სააგარაკო ადგილები

კიკეთი
კოჯორი
წყნეთი
ასპინძა
ახალდაბა
სულორი
ლუბარდე
გორისჯვარი
ანაკლია
ცაიში
ოქტომბერი
ნასაკირალი
ზეკარი
ზეარე
ნუნისი
კვერეთი
თორღვა
მანგლისი
კურსები
ქვიშხეთი
სკური
ბახმარო
ნაბელლავე
ეშერი
აგუძერა
ვანთიადი
ბეშუმე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი ა. შირაძემძე.



99 ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო პონორარის შესახებ

საქართველოს
ზენაწილობითი

მხატვრული, პოლიტიკური, სამეცნიერო, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო პონორარის, აგრეთვე რედაქტირებისა და რეცენზირებისათვის გასამრჩელოს გაცემის შემდგომი მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განყოფილი პირველი

1. დაწესდეს მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის საავტორო პონორარის შემდეგი განაკვეთები:

| | ტირაჟის ნორმ. (ათასი ცალი) | პონორარის განაკვეთები საავტორო ფურცელში (40x100 მანქანი ნიშანი) | პონორარის განაკვეთები შიდა ნაწარმოებისათვის (აკორდუ ლად) |
|---|-------------------------------|---|--|
| ჩვეულებრივი გამოცემანი | | | |
| I. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე სამეცნიერო-სამხატვრო ლიტერატურა, პიესები, კინოსცენარები). | 10 | 150, 200, 225, 300, 400 | — |
| II. მხატვრული მოთხრობა ერთ საავტორო ფურცელამდე | — | — | 150, 200, 250, 300, 400 |
| III. ერთაქტიანი პიესა | — | — | 200, 300, 400 |
| IV. ხალხური შემოქმედების გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ჩაწერა და დამუშავება პროზად | — | 50, 75, 100, 120 | — |
| V. პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები) — სტრიქონში | 7 | 70 ჯ, 1 მ. 20 ჯ, 1 მ. 40 ჯ, 1 მ. 70 ჯ, 2 მან. | — |
| VI. ლექსი 30 სტრიქონამდე და სასიმღერო ლექსის ტექსტი დამოუკიდებლად მოცულობისა | — | — | 30, 60, 100, 150, 200 |



| | ტირაჟის ნორმა (ათასი ცალი) | კონსორციის გა- ნაკვეთები საავ- ტორის ფურ- ცის მიხედვით (40,000 ნაბეჭდვნი) | კონსორციის განაკვეთები შეიღობის მიხედ- ვით (ავტორის მიხედ- ვით) (ავტორის მიხედ- ვით) |
|---|-------------------------------|---|---|
| VII. ეპიგრაფიკული ტექსტის ლექსად პლა- კატისათვის | — | — | 10, 10, 60 |
| VIII. ხალხური შემოქმედების გამოი- ჭვევებზე პოეტურ ნაწარმო- ებთან ჩაწერა და დამუშავება — სტრიქონში | — | 30 კ., 40 კ., 50 კ. | — |
| IX. ნაწარმოებში სკოლამდელი და უმატროსი სასკოლო ასაკის ბავ- შებისათვის (პროზად, ერთ სავეტრო ფურცელამდე; ლექ- სად, 100 სტრიქონამდე) | 25 | — | 150, 200, 250, 300, 400 |
| X. ლიტერატურულ ნაწარმოებთან შინაარსის გადმოცემა და დამუ- შავება ბავშვებისათვის | 25 | — | 75, 100, 125, 150, 200 |
| ა) ერთ სავეტრო ფურცელამდე | 15 | 75, 100, 125, 150, 200 | — |
| ბ) ერთ სავეტრო ფურცელზე მეტი | 20 | 100, 150, 200, 250 | — |
| XI. სამეცნიერო-პოპულარული ლი- ტერატურა ბავშვებისათვის | — | 20, 40, 80 | — |
| XII. ენციკლოპედიური ხასიათის თე- მატური კრებულებისა და წიგნე- ბის შედგენა ბავშვებისათვის | 10 | 150, 200, 225, 300, 400 | — |
| XIII ლიტერატურულ-კრიტიკული, ლი- ტერატურისმცოდნეობისა და ბე- ლოვნიანთმცოდნეობის შრომე- ბი, აგრეთვე წინასიტყვაობანი, ბიბლიოციფიაობანი, შესავალი წერილები | — | — | 100, 125, 150, 175, 200 |
| XIV. ლიტერატურულ-კრიტიკული რე- ცენზიები (0,5 სავეტრო ფურ- ცელამდე) | 10 | 50, 70, 100, 125, 150 | — |
| XV. თარგმანი: ა) შატერული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესე- ბი და სცენარები) | 10 | 50, 70, 100, 125, 150 | — |



| | ტირანის ნოიზა (ათასი ეალი) | პონორარის გა- ნაველები საე- ტორო ფერ- ცელები (40,000 ნაბეჭედი ნიშანი) ნაბეჭედი | ქონორარის განაკვეთების მოცულობა ნაბეჭე- დის საფუძველზე (აკორდული) |
|---|-------------------------------|---|---|
| ბ) პოეზია (მათ შორის, ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები)—სტრიქონში | 7 | 40 კ., 70 კ., 90 კ., 1 მ., 10 კ., 1 მ., 40 კ. | — |
| გ) სასიმილო ლექსის ტექსტი — სტრიქონში | — | 40 კ., 70 კ., 90 კ., 1 მ., 10 კ., 1 მ., 40 კ. | — |
| XVI. შედგენა: | | | |
| ა) მატერული ლიტერატურის კრეს- ტომათებისა | — | 30, 45, 60 | — |
| ბ) ლიტერატურულ მასალათა კრე- ბულებისა შეცნობულ-ტექსტო- ლოგიური მომზადებით | — | 20, 35, 50 | — |
| გ) იგივე ტექსტოლოგიური მომ- ზადების გარეშე | — | 5, 15, 25, 40 | — |
| XVII. ანდაზების, ანდაზური თქმების, მოსწრებელი სიტყვების კრე- ბულების შედგენა | — | 50, 75, 100 | — |
| XVIII. მასობრივი გამოცემა | | | |
| მატერული პაროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე სამეც- ნიერო-სამატერო ლიტერატურა, პიესები, ჟინოსცენარები) | 20-30 | 200, 225, 250, 300, 400 | — |
| XIX. პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები) — სტრიქონში | 6-15 | 1 მ., 1 მ., 20 კ., 1 მ., 40 კ., 1 მ., 70 კ., 2 მამ. | — |
| XX. ლიტერატურის ნაწარმოებთა ში- ნარის გადმოცემა და დამუშა- ვება ბავშვებისათვის: | | | |
| ა) ერთ საავტორო ფერცლაშე | 30-50 | — | 100, 125, 150, 200 |
| ბ) ერთ საავტორო ფერცლაშე შეტი | 25-50 | 100, 125, 150, 200 | — |



| | ტირაჟის ნომერი (ათასი ცალი) | მოწოდების განკვეთები საავტორო ფონდში (40,000 ცალიდან) (ნაბეჭდი წიგნები) | მოწოდების განკვეთები მთელი წიგნებისთვის (ავტორდულები) |
|---|--------------------------------|---|---|
| XXI. ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურისმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის შრომები | 15 - 25 | 200, 225, 300, 400, | — |
| XXII. ნაწარმოებნი სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის (პროზა, ერთ საავტორო ფურცელამდე; ლექსად, 100 სტრიქონამდე) | 30 - 50 | — | 200, 250, 300, 400 |
| XXIII. სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის | 25 - 40 | 150, 200, 250 | — |
| XXIV. ნაწარმოებნი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის: | | | |
| ა) პროზა | 25 - 50 | 225, 250, 300, 400 | — |
| ბ) პოეზია — სტრიქონში | 20 - 40 | 1 ბ. 20 ჯ., 1 ბ. 40 ჯ., 1 ბ. 70 ჯ., 2 მან. | — |
| XXV. წიგნები სერიიდან „სასკოლო ბიბლიოთეკა“: | | | |
| ა) პროზა | 25 - 50 | 200, 300, 400 | — |
| ბ) პოეზია — სტრიქონში | 20 - 40 | 1 ბ. 20 ჯ., 1 ბ. 40 ჯ., 1 ბ. 70 ჯ., 2 მან. | — |
| XXVI. თარგმანი: | | | |
| ა) მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები და სცენარები) | 20 - 40 | 70, 100, 125, 150 | — |
| ბ) პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები)—სტრიქონში | 8 - 15 | 70 ჯ., 90 ჯ., 1 ბ. 10 ჯ., 1 ბ. 40 ჯ. | — |



საავტორო კონორარის განაკვეთები, რომლებიც ამ დადგენილების 1 მუხლის II, III, IV, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV გ, XVI ა, XVI ბ, XVI გ, XVII ქვეპუნქტებში, დაწესდება ტირაჟისაგან დამოუკიდებლად.

საავტორო კონორარის ორი უმაღლესი განაკვეთი, რომლებიც აღნიშნულია I, II, V, IX, XI, XIII და XV ქვეპუნქტებში, გაიცემა ყველაზე შესანიშნავი ნაწარმოებებისათვის.

2. საავტორო კონორარი ამ დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთებით გაიცემა პირველი გამოცემისათვის.

საავტორო კონორარი ხელახლა გამოცემის დროს გაიცემა ორიგინალური ნაწარმოებებისა და თარგმანებისათვის იმ განაკვეთის შემდეგი ოდენობით, რაც მიღებულია პირველი გამოცემის ასანაზღაურებლად: მეორე და მესამე გამოცემა — 60 პროცენტი თვითეთელი, მეოთხე გამოცემა — 40 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 35 პროცენტი, მეექვსე და შემდგომი გამოცემა — 30 პროცენტი თვითეთელი.

3. გაზეთებისა და ჟურნალების ლიტერატურულ დამატებებში ნაწარმოებთა გამოქვეყნება იანგარიშება საერთო საფუძვლებზე, როგორც ერთი გამოცემა.

4. მხატვრული ლიტერატურის ჩვეულებრივი და მასობრივი გამოცემების ანაზღაურება მოხდეს შემდეგნაირად:

ა) როდესაც ნაწარმოები გამოდის ამ დადგენილების 1 მუხლის I—XVII ქვეპუნქტებში აღნიშნულ ნორმებზე მეტი ტირაჟით, ჩვეულებრივი გამოცემის ნორმის გადამეტება, რაც არ აღწევს დაწესებულ მეორე და შემდგომ სრულ ნორმებს, ანაზღაურდება ნორმის ზევით გამოშვებული ეგზემპლარების რაოდენობის პროპორციულად;

ბ) როდესაც ნაწარმოები გამოდის ამ დადგენილების 1 მუხლის I—XVII ქვეპუნქტებით დაწესებულ ნორმაზე ნაკლები ტირაჟით (არასრული ჩვეულებრივი გამოცემა), კონორარი გაიცემა როგორც ტირაჟის სრული ნორმისათვის;

გ) მასობრივ გამოცემად ითვლება წიგნების გამოცემა ტირაჟით არანაკლებ იმისა, რაც აღნიშნულია ამ დადგენილების 1 მუხლის XVIII—XXVI ქვეპუნქტებში;

დ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად მასობრივი გამოცემით, მაშინ დამოუკიდებლად ტირაჟისა (მაგრამ ტირაჟის იმ მინიმალური და მაქსიმალური ნორმების ფარგლებში, რაც დაწესებულია ამ დად-



გენილებს 1 მუხლის XVIII — XXVI ქვეპუნქტებით), აგრეთვე მოცემულია მასობრივი გამოცემის განაკვეთების 160 პროცენტის განაკვეთი.

ე) თუ პირველ მასობრივ გამოცემას წინ უძღოდა ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი გამოცემა, პონორარი მოცემული მასობრივი გამოცემისათვის გაიცემა მასობრივი გამოცემის განაკვეთის 10% პროცენტის ოდენობით;

შემდგომი მასობრივი გამოცემანი გამოიანგარიშება ცალკე და ანაზღაურდება ნაწარმოებთა ხელახლა გამოცემის საზღაურის იმ განაკვეთების შესაბამისად, რომლებიც დაწესებულია ამ დადგენილების მე-2 მუხლით.

5. დაწესდეს რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული მხატვრული ლიტერატურის მასობრივი გამოცემებისათვის, აგრეთვე სხვა ენებიდან თარგმანებისა და ორიგინალური ნაწარმოებების თარგმნისათვის რუსულ ენაზე შემდეგი ტირაჟები: 50 ათასი ცალი (პროზა) და 20 ათასი ცალი (პოეზია).

ამ მასობრივი გამოცემებისათვის საავტორო პონორარის გაცემა მოხდეს:

ა) თუ მასობრივ გამოცემას წინ უძღოდა ჩვეულებრივი გამოცემა, — იმ განაკვეთებისა და ტირაჟების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია მასობრივი გამოცემებისათვის;

ბ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად მასობრივი გამოცემით (პროზა — 50 ათასი ცალი და პოეზია — 20 ათასი ცალი და მეტი); პროზის პირველი 20 ათასი ეგზემპლარისა და პოეზიის 15 ათასი ეგზემპლარისათვის — განაკვეთის 100 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 30 ათასი ეგზემპლარი პროზისა და 5 ათასი ეგზემპლარი პოეზიისათვის — განაკვეთის 60 პროცენტი, როდესაც წიგნი გამოდის არასრული მასობრივი ტირაჟით, მაგრამ არანაკლებ 20 ათასი ეგზემპლარი პროზისა და 15 ათასი ეგზემპლარი პოეზიისა, საავტორო პონორარის ანგარიში არ იცვლება, ესე იგი ანაზღაურება წარმოებს ამ მუხლის თანახმად;

გ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად რამდენიმე მასობრივი ტირაჟით (100—150 ათასი ეგზემპლარი პროზა, 40 და 60 ათასი ეგზემპლარი პოეზია და ა. შ.); პირველი მასობრივი ტირაჟი — ამ დადგენილების მე-5 მუხლის ლიტერ. „ბ“ თანახმად, მეორე და მესამე მასობრივი ტირაჟები — განაკვეთის 60 პროცენტი თვითთული, მეოთხე — 40 პროცენტი, მეხუთე — 35 პროცენტი, მეექვსე და მეშვიდე — 25 პროცენტი თვითთული, მერვე და შემდგომი ტირაჟები მასობრივი გამოცემის განაკვეთის 20 პროცენტი თვითთული.



6. ერთი ავტორის თხზულებათა კრებულების, რჩეულ ნაწარმოებთა და ერთტომეულების გამოცემის დროს პონორარული წიგნების გამოცემა ცალკე თვითიული ნაწარმოებისათვის მისი მოცულობის მიხედვით, წინანდელ გამოცემათა რაოდენობის მიხედვით, ამასთან გამოყენებული იქნება განაკვეთები და ტირაჟის ნორმები, რომლებიც დაწესებულია პროზისა და პოეზიისათვის (ნაწარმოებთა გვარობის მიხედვით).

ანალოგიურად ანაზღაურდება ნაწარმოებნი, რომლებიც მოთავსებულია სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებთა კრებულებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გათვალისწინებულია სააკორდო ანაზღაურება, დამოუკიდებლად მოცულობისა.

7. როდესაც ქართულ ენაზე გამოიცემა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თავდაპირველად გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე, გარდა რუსული ენისა, აგრეთვე თუ იგი ითარგმნა ერთ-ერთი ამ ენიდან სხვა ენაზე, ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა პონორარული იმ შესაბამისი განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების 1 მუხლით. ამ ნაწარმოების ყოველი შემდგომი გამოცემისათვის თარგმანის სახით, ისე როგორც მისი გამოშვებისათვის დაწესებულ ნორმაზე მეტი ტირაჟით, ავტორს მიეცემა პონორარული ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული სკალის შესაბამისი პროცენტობით იმ განაკვეთებიდან, რომლებიც მას თარგმანის პირველი გამოცემისათვის ერგება.

საავტორო პონორარული არ მიეცემათ გამოცემული ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს, როდესაც მათი ნაწარმოებნი თარგმნილია რუსული ენიდან სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, აგრეთვე როდესაც ისინი ითარგმნა ქართული ენიდან აფხაზურ და ოსურ ენებზე.

8. როდესაც მთარგმნელმა გამოიყენა აწკარედი თარგმანი, გამოცემლობის მიერ გადახდილი აწკარედის ღირებულება განაღდება ლიტერატურული მთარგმნელის პონორარულ ხარჯზე.

აწკარედი თარგმანები ანაზღაურდება ერთხელ, დამოუკიდებლად ტირაჟისა, და მთარგმნელს არა აქვს უფლება მიიღოს გასამრჩელო ხელახლა გამოცემებისათვის:

პოეზია — 5 კაპიკიდან 20 კაპიკამდე სტრიქონში.

პროზა — 10 მანეთიდან 40 მანეთამდე საავტორო ფურცელში.

9. სახელმძღვანელოებში, ქრესტომათიებსა და სხვა სასწავლო ლიტერატურაში მოთავსებული ნაწარმოებნი იმ შემთხვევებში, როდესაც მათზე უნდა გაიკეს საავტორო პონორარული, ანაზღაურდება



ჩვეულებრივი გამოცემის მინიმალური განაკვეთებით, დამოუკიდებელი ლად ტირაჟისა;

10. ნება დაერთოს გამომცემლობებს საჭირო შემთხვევებში დადონ ლიტერატურული შეკვეთის ხელშეკრულებანი. დაწესდეს, რომ ლიტერატურული შეკვეთის ხელშეკრულების დადების დროს ავტორს მიეცემა ავანსი პონორარის 25 პროცენტის ოდენობით ტირაჟის ერთი ნორმისათვის, ხელშეკრულებით შეპირობებული განაკვეთების საფუძველზე.

გამომცემლობას უფლება აქვს გადასინჯოს ხელშეკრულებით შეპირობებული განაკვეთები ნაწარმოების წარდგენის შემდეგ, მისი იდეურ-მხატვრული ღირსების მიხედვით.

11. უკეთუ ნაწარმოები გადაამუშავა ავტორმა მორიგი ხელახალი გამოცემისათვის, მაშინ ახალ მასალაში, რომელიც შეტანილია ნაწარმოებში ახალი თავების სახით, ავტორს მიეცემა პონორარი იმ განაკვეთების მიხედვით, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით პირველი გამოცემისათვის (100 პროცენტი);

შემდგომი გამოცემების დროს მთელი ნაწარმოები სრულად ანაზღაურდება მორიგი რიგითი გამოცემის განაკვეთების მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, განახლდა თუ არა მასალა წინა გამოცემებში.

თუ ნაწარმოები გამოდის სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილად, საავტორო პონორარი გაიცემა ცალკე თვითული ნაწილისათვის, მისი წინანდელი გამოცემების რაოდენობის მიხედვით.

განყოფილი მეორე

12. დაწესდეს საავტორო პონორარის შემდეგი განაკვეთები პოლიტიკური, სამეცნიერო, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის (გარდა მხატვრულისა):

(მანეთობით)

| | პონორარის განაკვეთები საავტორო ფურცელში (40,000 ხაბეჭდი ნიშანი) | პონორარის განაკვეთები მთელი ნაწარმოებისათვის (ავტორდულად) |
|--|---|---|
| I. ლიტერატურა სამეცნიერო-თეორიულ საკითხებზე, მონოგრაფიები ცოდნის ყველა დარგში, გარდა ლიტერატურისმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობისა | 80-დან 180-მდე | — |

| | <p>მონტარაის გა- ნაკვეთები სააგ- ტრო ფერ- ელში (40,000 ნაბეჭდი ნიშანი)</p> | <p>ქონების (საგან- დასრულები წიგნ- წამომცემისა- თვის (აკორდუ- ლად)</p> |
|--|--|--|
| <p>II. მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურა</p> | <p>80-დან 130-მდე</p> | <p>—</p> |
| <p>III. სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სახეობის მიხედვით (ვარდა სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისა ბავშვებისათვის)</p> | <p>100-დან 200-მდე</p> | <p>—</p> |
| <p>IV. სამეცნიერო-საგანმანათლებლო, საწარმო-ტექნიკური ლიტერატურა ცოდნისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მათ შორის ლიტერატურა მოწინავე გამოცდილების გაზიარებისათვის. სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ცნობები, სტატისტიკური კვებულების, კალენდარ-ცნობარების, მოწყობილობის ცნობარ-კატალოგების, შეგზერების ჩათვლით, აგრეთვე სხვა ლიტერატურა</p> | <p>70-დან 150-მდე</p> | <p>—</p> |
| <p>V. სასწავლო ლიტერატურა:</p> | | |
| <p>ა) სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის</p> | <p>100-დან 170-მდე</p> | <p>—</p> |
| <p>ბ) სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის</p> | <p>70-დან 120-მდე</p> | <p>—</p> |
| <p>გ) სახელმძღვანელოები საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის</p> | <p>70-დან 130-მდე</p> | <p>—</p> |
| <p>დ) დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის</p> | <p>60-110</p> | <p>—</p> |
| <p>ე) ლექციები და ლექციათა კერსები უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების სტუდენტებისა და სასწავლებლებისათვის</p> | <p>60-110</p> | <p>—</p> |
| <p>ვ) სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-IV კლასების მოსწავლეებისათვის</p> | <p>80-130</p> | <p>—</p> |



| | <p>პონორარის გა- ნაკვეთები საე- ტორო ფერ- ცელში (40.000 ნაბეჭდი ნიშანი)</p> | <p>პონორარის გან- აკვეთების მნიშვნე- ლობის (აქორდუ- ლად)</p> |
|---|---|--|
| <p>ზ) სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V-XI კლასების მოსწავლეებისათვის</p> | <p>90-150</p> | <p>—</p> |
| <p>თ) სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები ბრიგადული-ინდივიდუალური მიწათმოქმედების პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და კურსებისათვის</p> | <p>60-110</p> | <p>—</p> |
| <p>ი) ლიტერატურა სასწავლებლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მეთოდებისა და ორგანიზაციისათვის</p> | <p>80-120</p> | <p>—</p> |
| <p>კ) სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი სასწავლებლების სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის</p> | <p>70-110</p> | <p>—</p> |
| <p>ლ) პედაგოგიური ლიტერატურა მშობლებისათვის</p> | <p>80-120</p> | <p>—</p> |
| <p>მ) თვალსაჩინო სახელმძღვანელოები და კედლის ცხრილები სასწავლებლებსა და ლექციური პროპაგანდისათვის</p> | <p>60-100</p> | <p>—</p> |
| <p>ტექსტები ცხრილები, შათ შიგნით არსებული ტექსტების ჩათვლით, და სურათები ზომით:</p> | | |
| <p>ერთი ჭაღალის ფურცლისა</p> | <p>—</p> | <p>25-60</p> |
| <p>0,5-მდე ჭაღალის ფურცლისა</p> | <p>—</p> | <p>20-50</p> |
| <p>ორთოგრაფიის, მორფოლოგიის, ფონეტიკის ცხრილები—ცხრილში</p> | <p>—</p> | <p>20-დან 40-მდე</p> |
| <p>VI. სტატები ენციკლოპედიებისა და ენციკლოპედიური ლექსიკონებისათვის:</p> | | |
| <p>ა) 200 ნიშნამდე</p> | <p>—</p> | <p>2-მდე</p> |
| <p>ბ) 201-დან 500 ნიშნამდე</p> | <p>—</p> | <p>1,5-დან 5-მდე</p> |



| | მონოგრაფიის გა- ნაკვეთები საე- ტორო ფურ- ცელში (40.000 ნაბეჭდი ნიშანი) | მონოგრაფიის გან- აკვეთები მთელი ნაწარმოების სა- თვის (აკორდუ- ლად) |
|---|--|--|
| გ) 501-დან 1000 | — | 3-10 |
| დ) 1001-დან 3000 | -- | 5-30 |
| ე) 3001-დან 6000 | -- | 15-60 |
| ვ) 6001-დან 10000 | -- | 30-90 |
| ზ) 10001-დან 15000 | -- | 50-135 |
| თ) 15001-დან 20000 | -- | 70-160 |
| ი) 20001-დან 30000 | -- | 100-200 |
| კ) 30001-დან 40000 | -- | 150-250 |
| ლ) 40000 ნიშანზე მეტი დამატებით ანაზღაურდება თუთუელი საე- ტორო ფურცელი | 150--250 | -- |
| VII. განმარტებითი ლექსიკონები, სე- ციალური ტერმინების, სინონი- მების ლექსიკონები | 100--200 | -- |
| VIII. ლექსიკონი და ორთოგრაფიული ლექსიკონები: | | |
| ა) ენების ანბანური დამწერლობით | 80--150 | -- |
| ბ) იშვიათი, ძველი ენებისა, ხვეუ- ლი დამწერლობით, თავისი გრა- ფიკით, ეროვლიფებით და ლერ- სმული წერით | 100--250 | -- |
| IX. სიტყვანის შედგენა ვეღა სე- ხის ლექსიკონისათვის, სეცია- ლური ლექსიკონების ჩათვლით მეორე მოცულობის ლექსიკონე- ბი (250 ტერმინამდე) | 0,05--0,1 სიტყვაში 0,08--0,15 სიტყვაში | -- |
| ანოტირებული სიტყვანის შედ- გენა | 0,1--0,2 სიტყვაში | -- |
| X. თარგმანი: | | |
| ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკო- სთა ნაწარმოებებისა | 50-დან 100-მდე | -- |



| | ქონორარის განაცვეთები საავტორო ფურცელში (40.000 ნაბეჭდი ნიშანი) | ქონორარის განაცვეთები მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად) |
|--|---|--|
| ბ) სოციალურ-ეკონომიური, საფინანსო, ფილოსოფიური, იურიდიული, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, თეორიულ-სამეცნიერო ნაწარმოებებისა, საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურისა და ცნობარებისა | 40—80 | — |
| გ) სახელმძღვანელოებისა | 40—60 | |
| დ) სხვა ლიტერატურისა | 30—60 | |

შენიშვნები: 1. თარგმანი იშვიათი ენებიდან, ხვედელი დამწერლობით, თავისი გრაფიკით, იეროგლიფებით, ლერხმული წერით, აგრეთვე ძველი ენებიდან ანაზღაურდება 25 პროცენტის ვადიდებით.

2. საავტორო ქონორარის განაცვეთები ნაწარმოებთა: თარგმნისათვის რუსული ენიდან და სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან უცხოურ ენაზე ვადიდდება 15 პროცენტით იმ განაცვეთებთან შედარებით, რომლებიც გათვალისწინებულია მე-10 მუხლით და 1 შენიშვნით შესაბამისად:

| | ქონორარის განაცვეთები საავტორო ფურცელში (40.000 ნაბეჭდი ნიშანი) | ქონორარის განაცვეთები მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად) |
|---|---|--|
| XI. რეფერატები და მიმოხილვები: | | |
| ა) ქართული ენის ან იმ ენის წყაროებით, რომელზედაც იწერება რეფერატი ან მიმოხილვა | 35—60 | — |
| ბ) უცხო ენების და სსრ კავშირის ხალხთა ენების წყაროებით, გარდა ქართული ენისა და იმ ენისა, რომელზედაც იწერება რეფერატი ან მიმოხილვა | 45—100 | — |



| | ჰონორარის განაკვეთები საავტორო ფურცელში (40.000 ნაბეჭდი ნიშანი) | ჰონორარის განაკვეთები მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად) |
|---|---|--|
| გ) შერეული წყაროებით (ქართული, სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებსა და უცხო ენებზე) . . . | 40-80 | — |
| XII. ძველი ხელნაწერების მოძებნა და შერჩევა, მათი რედაქტირება და ბეჭდვისათვის ხელმისაწვდომ მდგომარეობაში მოყვანა . . . | 40-დან 60-მდე | — |
| XIII. საარქივო მასალათა კრებულების შედგენა | 10-30 | — |
| XIV. კრებულების, რჩეულ ნაწარმოებთა ერთომეულების და თხზულებათა კრებულების შედგენა: | | |
| ა) მეცნიერული ტექსტოლოგიური მომზადებით | 15 - 40 | — |
| ბ) ტექსტოლოგიური მომზადების გარეშე | 10-30 | (მაგრამ არა უნეტეს 10 ნაწილის ვარიანტებში) |
| XV. ოფიციალურ მასალათა სისტემატიზებული კრებულებისა და ანოტირებული და სხვა კატალოგების შედგენა | 10-20 | — |
| XVI. შესავალი წერილები, წინასიტყვაობანი და ბოლოსიტყვაობანი . | 150-300 | — |

შენიშვნა: შესავალ წერილში, წინასიტყვაობაში, ბოლოსიტყვაობაში, რომლებიც ავტორმა დაწერა თავის ნაწარმოებისათვის, ჰონორარი ვაიცივა ძირითადი ნაწარმოებისათვის დაწესებული განაკვეთებით.

| | ჰონორარის განაკვეთები საავტორო ფურცელში (40.000 ნაბეჭდი ნიშანი) | ჰონორარის განაკვეთები მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად) |
|---|---|--|
| XVII. ორიგინალური ბიბლიოგრაფიული შრომები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, ანოტიაციები, მოკლენათა კალენდარი, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატრიანეები . . | 40-100 | — |



| | ჰონორარის განაკვეთები საავტორო ფურცელში (40.000 ნაბეჭდი ნიშანი) | კონსტრუქციულ-ტექნიკურ ნაწარმოებისათვის (ავტორფულად) |
|--|---|---|
| XVIII. ტექნიკური და სხვა ალბომები . | 100—200 | — |
| XIX. მოსახვე კალენდრები: | | |
| ა) ორიგინალური ნაწარმოებები (წერილში) | — | 5—20 |
| ბ) ლიტერატურული მასალის შერჩევა კალენდრისათვის, ილუსტრაციების ჩათვლით, მოსახვე ფურცელში | — | 0,5—3 |
| XX. კროსვორდები, ჩინვორდები, კრიპტოგრამები, ვიკტორინები, რებუსები, შარადები, თავსატეხები, გამოცანები | — | 5—20 |
| XXI. პლაკატის თემის დამუშავება, ტექსტისა და ციფრობრივი მასალის ჩათვლით, ველია სახის პლაკატებისათვის | — | 10—80 |

13. საავტორო ჰონორარის განაკვეთები, რაც აღნიშნულია ამ დადგენილების მე-12 მუხლში, დაწესდება პირველი გამოცემისათვის, დამოუკიდებლად ტირაჟისა.

14. საავტორო ჰონორარი ნაწარმოებთა ხელახლა გამოცემისათვის გაიცემა იმ განაკვეთის შემდეგი ოდენობით, რაც მიღებულია ასანახლადურებლად პირველი გამოცემისათვის:

ა) ორიგინალური შრომებისათვის: მეორე და მესამე გამოცემა — 60 პროცენტი თვითთული, მეოთხე გამოცემა — 40 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 35 პროცენტი, მეექვსე გამოცემა — 25 პროცენტი, მეშვიდე გამოცემა — 20 პროცენტი, მერვე და შემდგომი გამოცემანი — 10 პროცენტი თვითთული;

ბ) თარგმანისათვის: მეორე გამოცემა — 50 პროცენტი, მესამე გამოცემა — 40 პროცენტი, მეოთხე გამოცემა — 30 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 20 პროცენტი, მეექვსე და შემდგომი გამოცემანი — 10 პროცენტი თვითთული.

15. თუ ნაწარმოები მორიგი გამოცემისათვის შეავსო ავტორმა ან ავტორშემდგენელმა ახალი მასალით, მაშინ ახალი მასალისათვის, რომელიც შეტანილია ნაწარმოებში ცალკეული სტატიების, თავების, ნაწილების, განყოფილების, პარაგრაფების, აბზაცების სახით,



ავტორს ან ავტორ-შემდგენელს მიეცემა ჰონორარი განაცხადის შემთხვევაში, როგორც პირველი გამოცემისათვის (100 პროცენტის) შემთხვევაში, ნარჩენი მასალა ანაზღაურდება როგორც მორიგი ხელახალი გამოცემა.

ნაწარმოებთა შემდგომი ხელახლა გამოცემის დროს მთელი ახალი და წინანდელი გამოცემის ძველი მასალა ყველა შემთხვევაში ანაზღაურდება საერთო საფუძვლებზე, როგორც მოცემული ნაწარმოების მორიგი გამოცემა.

16. თხზულებათა კრებულების, რჩეული ნაწარმოებების, ერთტომეულების, აგრეთვე სხვადასხვაგვარი კრებულების გამოცემის დროს ჰონორარი გაიცემა თვითეული ნაწარმოებისათვის მისი გამოცემის რიგითი ნომრის შესაბამისად.

17. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორებს ჰონორარი მიეცემათ მხოლოდ სახელმძღვანელოების ან დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს დაწესებული მოცულობისათვის, დამოუკიდებლად ავტორის მიერ წარდგენილი ხელნაწერისა და გამოშვებული სახელმძღვანელოს ან დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს ფაქტიური მოცულობისა.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორი თვის ვადაში განსაზღვრონ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების ზღვრული მოცულობა.

შენიშვნა: სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების წინათ დაწესებულ მოცულობაში საჭირო ცვლილებათა შეტანის საკითხს გადაწყვეტენ ყოველ ცალკე შემთხვევაში სამინისტროები ან სხვა ორგანიზაციები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების ზღვრულ მოცულობას.

18. უკეთუ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელო ან დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო ხელახლა გამოცემის დროს გადამუშავდება, მაშინ



ახალი მასალისათვის საავტორო პონორარი გაიცემა ამ მასალის წესების 14 და 15 მუხლებით გათვალისწინებული წესით და ოდენობით, მაგრამ ახალი მასალის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც ძველ მასალასთან ერთად არ აღემატება სახელმძღვანელოს ან დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს დაწესებულ ზღვრულ მოცულობას.

19. საგანთა, სახელთა და სხვა საძიებელთა შედგენა ანაზღაურდება იმ წიგნის მოცულობის მიხედვით, რომლისთვისაც შედგენილია საძიებელი, შემდეგი ანგარიშით: საგანთა საძიებელი — 2-7 მანეთი წიგნის საავტორო ფურცელში, სახელთა და სხვა საძიებელი — 1-4 მანეთი წიგნის საავტორო ფურცელში. ენციკლოპედიური გამოცემებისათვის ყველა სახის საძიებლის შედგენა ანაზღაურდება 6 მანეთამდე იმ წიგნის საავტორო ფურცელში, რომლისთვისაც შედგენილია საძიებელი.

როდესაც საძიებელი ხელახლა გამოიცემა უცვლელი სახით, პონორარი არ გაიცემა.

20. უფლება მიენიჭოთ გამომცემლობებს ავტორთან ლიტერატურული შეკვეთის საგამომცემლო ხელშეკრულების დადების დროს აძლიონ ავტორს აუანაი მინიმალური განაკვეთების 25 პროცენტის ოდენობით.

საავტორო პონორარის განაკვეთების საბოლოო ოდენობა დაწესდება გამომცემლობასა და ავტორს შორის შეთანხმებით, ნაწარმოების წარდგენის შემდეგ, მისი ღირსების მიხედვით.

განყოფი შესამე

21. განმეორებით გამოცემად ჩაითვალოს მოცემული ნაწარმოების ყოველი ახალი გამოშვება რომელიმე გამომცემლობის მიერ სარკავშირის ტერიტორიაზე, დამოუკიდებლად მისი გაფორმებისა და გამოშვების დროისა როგორც ჩვეულებრივი, ისე მასობრივი გამოცემით, აგრეთვე გამოქვეყნება ყოველგვარი სახით, გარდა პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებისა. სხვადასხვა ენაზე გამოცემული ნაწარმოების გამოცემათა საერთო რიცხვის გამოანგარიშება წარმოებს ცალკე თვითეული ენისათვის. მასობრივი გამოცემანი ცალკე აღირიცხება.

გამომცემლობები ხელშეკრულებებს დადებენ ავტორებთან მათი ნაწარმოებების გამოცემის შესახებ ტირაჟთა მხოლოდ ამ დადგენილებით დაწესებული ნორმების შესაბამისად და მათთან ანგარიშსწორების დროს ხელმძღვანელობენ ტირაჟების ამ ნორმებით, ავ-



ტორებთან სრული ტირაჟებისათვის ანგარიშის გასწორების უფლებას გამოცემლობებს უფლება აქვთ, მოცემული სახეობის გამოცემლობის ნაწარმოებთა გამოსაცემად კანონით დადგენილი ვადების ფარგლებში, გამოუშვან ისინი არა ერთბაშად სრული ტირაჟით, არამედ ნაწილ-ნაწილად ავტორებისათვის რაიმე დამატებითი გასამრჯელოს მიუცემლად. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში გამოცემლობებს ენიჭებათ განსაკუთრებული უფლება გამოსცენ და ხელახლა გამოსცენ ნაწარმოებნი ყოველგვარი ტირაჟებით ისე, რომ ეს ტირაჟები არ შეუთანხმონ ავტორებს. ხელშეკრულება უნდა დაიდოს ხუთი წლის ვადით, რაც იანგარიშება ხელშეკრულების დადების ან ხელნაწერის მიღების დღიდან, თუ ეს უფრო გვიან მოხდა, ან ხელნაწერთა მიღებისათვის დაწესებული ვადების გასვლის დღიდან, თუ მიღება მოხდა შეპირობებული ვადის გასვლის შემდეგ.

22. ისეთი ნაწარმოების გამოცემისათვის, რომელიც შექმნილია ორი ან რამდენიმე ავტორის მიერ, მათ შორის ავტორ-სპეციალისტისა და იმ ავტორის მიერ, რომელიც ლიტერატურულ ფორმას აღწევს ნაწარმოებს, პონორარი გაიცემა ამ დადგენილებით დაწესებული განაკვეთების მიხედვით და განაწილდება თანაავტორებს შორის მათი შეთანხმებით.

23. დაწესდეს სახალაური ლიტერატურულ ნაწარმოებთა შტატგარეშე რედაქტირებისათვის (ლიტერატურული, სამეცნიერო, სპეციალური) შემდეგი რაოდენობით:

ა) მხატვრული ნაწარმოებნი პროზად და ყველა სახის ლიტერატურის ნაწარმოებნი 5-დან 25-მდე საავტორო ფურცელში;

ბ) პოეზია 5 კაპიკიდან 10 კაპიკამდე სტრიქონში;

გ) სტატიების რედაქტირება ენციკლოპედიებისა და ენციკლოპედიური ლექსიკონებისათვის — საავტორო პონორარის განაკვეთის არა უმეტეს 15 პროცენტისა (II განყოფის მე-12 მუხლის ქვეპუნქტი VI);

დ) თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოების (პლაკატების) სპეციალური რედაქტირებისათვის — 2,5—10 მანეთი საავტორო ფურცელში (პლაკატი),

ე) მოსახვევი, მაგიდის და სხვა კალენდრებისათვის წერილების რედაქტირება — 50 კაპიკიდან 1 მანეთამდე წერილში;

ვ) თარგმანების რედაქტირება — 7-დან 35 მანეთამდე.

უკეთუ ნაწარმოებს რედაქციას უკეთებს რამდენიმე რედაქტორი, ყველა რედაქტორის გასამრჯელოს საერთო თანხა არ უნდა აღემა-

ტებოდეს იმ თანხას, რაც გამოანგარიშებულია ზემოაღნიშნული განაკვეთებით ფურცელში ან აკორდულად.

რედაქტორს, რომელიც იმავე დროს არის იმ გამოცემის რომელიმე ნაწილის ავტორი, რომელსაც იგი რედაქციას უყუთებს, ამ ნაწილის რედაქტირებისათვის გასამრჩელო არ მიეცემა.

24. მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა რეცენზირებისათვის საზღაური გაიცეს 3-დან 10 მანეთამდე სარეცენზიო ხელნაწერის ან გამოცემული ნაწარმოების საავტორო ფურცელში (700 ჯალექსილი სტრიქონი), ხოლო 2 ფურცლამდე მოცულობის ნაწარმოებებისა — 30 მანეთი აკორდულად.

პოლიტიკური, სამეცნიერო, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის რეცენზირებისათვის საზღაური გაიცეს 2-დან 5 მანეთამდე საავტორო ფურცელში, ხოლო 3 ფურცლამდე მოცულობის ნაწარმოებებისათვის — 20 მანეთი აკორდულად.

ენციკლოპედიურ გამოცემათა სტატიების რეცენზირებისათვის საზღაური გაიცეს იმ განაკვეთების 50 პროცენტის ოდენობით, რაც დაწესებულია ამ სტატიების რედაქტირებისათვის; პლაკატების თემისა და ტექსტის რეცენზირებისათვის — 1,5-დან 3,2 მანეთამდე.

კომენტარებისა და შენიშვნების ანაზღაურება მოხდეს 40-დან 120 მანეთამდე საავტორო ფურცელში.

იშვიათი ენებიდან გამოსაცემი თარგმანების ორიგინალთან შედარებისათვის საზღაური გაიცეს 10-15 მანეთის ოდენობით საავტორო ფურცელში.

კონსულტაციების ანაზღაურება მოხდეს 3-დან 5 მანეთამდე ხელნაწერის საავტორო ფურცელში.

25. ყველა სახის ნაწარმოებთა ტექნიკური რედაქციის ანაზღაურება მოხდეს 2-დან 3 მანეთამდე, ხოლო კორექტურის ანაზღაურება (სამჯერ წაკითხვით) — 10-დან 13 მანეთამდე საავტორო ფურცელში.

26. ავტორის მიერ წარდგენილი წიგნის ილუსტრირებული მასალა წიგნებში, ალბომებში და ა. შ., ანაზღაურდება აკორდულად ან ცალობრივად ავტორთან შეთანხმებით, თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს — ანაზღაურება ხდება შემდეგი ოდენობით:

ა) ორიგინალური ილუსტრაციები, რომლებიც ავტორმა წარადგინა მზა ნაბეჭდი ფორმის დასამზადებლად გამოსადეგი სახით, — ტექსტის პონორარის განაკვეთის 100 პროცენტი;

ბ) ორიგინალური ილუსტრირებული მასალა, რომელიც მოითხოვს საბოლოო დამუშავებას, შელამაზებას, შესწორებას ან რეტუშს ავტორის მიერ წარდგენილი ორიგინალების მიხედვით, აგრე-



თვე ილუსტრაციები, რომლებიც მოითხოვენ გადახატვას, ავტორის მიერ წარდგენილი მონახაზების, ესკიზების, ტოგრაფიების მიხედვით — ტექსტის პონორარის განაკვეთის 40 პროცენტი;

გ) ილუსტრაციები, რომლებიც ავტორმა შეარჩია სხვა გამოცემებიდან ან სამსახურებრივი მასალებიდან, წყაროების აღნიშვნით, ან ამონაჭრების დართვით — ტექსტის პონორარის განაკვეთის 25 პროცენტი, მაგრამ არა უმეტეს 40 მანეთისა საავტორო ფურცელში;

დ) ილუსტრაციები, რომლებიც შექმნილია გამომცემლობის ინიციატივით ავტორის ნებართვით, არ ანაზღაურდება.

ისეთ ალბომებში მოთავსებული ილუსტრაციისათვის საავტორო პონორარის ასანაზღაურებლად, რომლებიც გამოდის ფორმატით 60 X 84 სანტ. ქაღალდის ფურცლის არა ნაკლებ ერთი მერვედისა, საავტორო ფურცელი უდრის ასანაზღაურებელი ალბომის 8 გვერდს.

დანარჩენ გამოცემებში ილუსტრაციების საავტორო ფურცელი უდრის ილუსტრაციების ფართობის 3000 კვ. სანტიმეტრს დაბეჭდილ ნაწარმოებში.

თარგმნილი ტექსტის საერთო მოცულობის გამოანგარიშების დროს ცხრილები, დიაგრამები და ილუსტრაციები უნდა გამოირიცხოს.

ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ისეთი რაოდენობის ეგზემპლარებად გამოცემის დროს, რომლებიც აღემატება ტირაჟის დაწესებულ ნორმებს, მხატვრებს არ მიეცემათ დამატებითი გასამრჯელო ტირაჟის ასეთი გადამეტებისათვის როგორც ილუსტრაციებში, ისე წიგნის გრაფიკულ გაფორმებაშიც.

27. ავტორების მემკვიდრეები იღებენ საავტორო პონორარს ამ დადგენილებით დაწესებული განაკვეთების 50 პროცენტის ოდენობით.

28. საავტორო პონორარი ნაწარმოებთა გამოცემისა და ხელახლა გამოცემისათვის არ მიეცემათ:

ა) გამოცემულ ნაწარმოებთა ავტორებს, როდესაც მათი ნაწარმოებნი თარგმნილია რუსული ენიდან სსრ კავშირის ხალხთა ენებზე;

ბ) ისეთ ნაწარმოებთა ავტორებს, რომლებსაც იყენებენ უსინათლოთათვის რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით ლიტერატურის გამოცემის დროს, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შეკვეთილი რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით გამოსაცემად, რომელთა ანაზღაურება საერთო საფუძვლებზე ხდება;



ვ) კონფერენციებზე, ყრილობებზე, თათბირებზე, ექსპერტული ლექციებისა და მოხსენებებისათვის, რომლებიც შედგებიან მხოლოდ პირის სამსახურებრივ მოვალეობაში;

დ) კრებულების შემდგენლებს, რომლებიც იმავდროულად არიან კრებულის რომელიმე განაყოფის ან მასალის ავტორები. გასამრჩელო კრებულის იმ ნაწილის შედგენისათვის, რომელშიაც მას ეძლევა პონორარი, როგორც ავტორს;

ე) ენციკლოპედიურ გამოცემებში წინათ გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს ამ სტატიების გადაბეჭდვისათვის ხელახლა გამოცემულ ან ახალ ენციკლოპედიურ გამოცემებში, თუ გადაბეჭდილი სტატიების მოცულობა არ აღემატება 10000 ნაბეჭდ ნიშანს;

ვ) ოფიციალური პირებისა და ორგანოების მიერ დამტკიცებული ისეთი მასალების შემდგენლებს, რომლებიც გამოცემულია სავალდებულო გამოყენებისათვის; სასწავლო პროგრამებისათვის, სამსახურებრივი ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოებისათვის, ნომენკლატურა-საფასარებისათვის, მოწყობილობის ექსპლუატაციის წესებისათვის და სხვ.;

ზ) დისერტანტების მიერ წარმოებისაგან მოწყვეტით შესრულებული დისერტაციებისათვის და გეგმური შრომებისათვის, რომლებიც ავტორებმა შეასრულეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ან უმაღლეს სასწავლებლებში სამსახურებრივი დავალების წესით, ვარდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბრიგადულ-ინდივიდუალური მოწაფეობისა და ჯურსების სახელმძღვანელოებისა და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოებისა, რომლებშიაც პონორარის გაცემა ხდება სახელმძღვანელოს ან დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს შესაბამისი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებისა და მისი გამოცემის შემდეგ.

29. ეს დადგენილება ვრცელდება საავტორო პონორარის ყოველგვარ გადასახდელსა და რედაქტირებისა და რეცენზირების გასამრჩელოზე, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა დადგენილების გამოცემის შემდეგ.

იმ გასამრჩელოს გაცემა, რომლის მიღების უფლება წარმოიშვა ამ დადგენილების გამოცემამდე, წარმოებს წინათ მოქმედი ნორმების მიხედვით.

3. ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ქვეყნდება ჟურნალებში, „რომან-გაზეთში“, ჟურნალ-გაზეთების ლიტერატურულ დამატებებში, საავტორო პონორარი გაცემა ამ დადგენი-



ლების შესაბამისად, მაგრამ დამოუკიდებლად გამოცემის შემთხვევაში, და სააუტორო პონორარის იმ ოდენობის ფარგლებში, რომელიც დადგენილია თვითივე ნომერზე.

31. დაევალოთ გამომცემლობათა დირექტორებსა და მთავარ რედაქტორებს მტკიცედ დაიცვან პრინციპები ნაწარმოებთა დიფერენცირებული ანაზღაურებისა მათი მხატვრული და სამეცნიერო ღირსების მიხედვით.

32. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) გამოსცეს საინსტრუქციო მითითებანი ამ დადგენილების შესახებ;

ბ) დაამტკიცოს ტიპობრივი საგამომცემლო ხელშეკრულება.

33. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 დეკემბრის № 843 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 19 ივნისი, № 412.

100 კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ საქართველოს სსრ ფარგლებიდან ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების გატანის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მიღებული ზომების შედეგად მიღწეულია გარკვეული შედეგები ხილით, კარტოფილით, ბოსტნეულით, ბაღჩეული კულტურებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც საპაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და სხვა სახეობის ტრანსპორტით გააქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ადგილი აქვს ამ პროდუქტებით სპეკულაციას დიდი მასშტაბით.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ აწყობს ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას კოლმეურნეებისა, მუშა-მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან კოოპგასაღების სექციებისა და რაიკოოპკავშირების მეშვეობით და არა ქმნის საჭირო პირობებს იმისათვის, რომ კოლმეურნეებმა და სხვა მოქალაქეებმა მიჰყიდონ სამომხმარებლო კოოპერაციას სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ამის გამო კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოცდენილია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ხოლო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მუშახელის ნაკლებობას განიცდიან, რაც მიმდინარე წლის განსაკუთრებით არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროს ჩაშლის საფრთხეს უქმნის ჩაის, თივის, თავთავიანი კულტურების დროულად აღებას და სათოხნი კულტურების დამუშავებას.

მოსავლის აღების მუშახელით უზრუნველყოფის, სხვა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალაში დარჩეს 1963 წლისათვის მოქმედება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 474 დადგენილებისა იმის შესახებ, რომ აკრძალეთ კოლმეურნეებს და სხვა მოქალაქეებს 1963 წლის მოსავლის ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.



2. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ეზო-სადამკვეთო ებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებმა, სამოქალაქო საპაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულმა სამმართველომ, ბათუმის, ფოთისა და სოხუმის საეპრო ნავსადგურებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების განუხრლად შესრულება და არ დაუშვან ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბალჩეული კულტურების გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოკოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 21 ივნისი, № 415.

101 მოხავლის აღების პერიოდში საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტ-მემანქანეებისა და სხვა მუშების შრომის გაღიდებული სატარიფო განაკვეთებით ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის მოკლე ვადებსა და უდანაკარგოდ წარმატებით აღების მიზნით და ტრაქტორისტ-მემანქანეთა და სხვა მუშათა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს პროდუქციის აღების ზღვრული ვადები კალენდარულ დღეებში:

თავთავიანი მარცლეული და პარკოსანი

კულტურებისა

— 10 დღე

სომინდისა სამარცლედ და სასილოსედ

— 15 „

კარტოფილისა

— 20 „

ბალახებისა სათესლედ

— 5—7 „

შაქრის ჭარხლისა

— 20 „

ციტრუსოვანთა ნაყოფისა

— 40 „



მარტენი
ზინზლინი

| | |
|--|---------|
| თესლოვანი ნაყოფისა | — 15 .. |
| კურკოვანი ნაყოფისა: | |
| ბალისა და ალუბლისა | — 20 .. |
| ქლიავისა | — 10 .. |
| ჭერამისა | — 10 .. |
| ატმისა (ჯიშების მიხედვით დიფერენცირებულად) | — 20 .. |
| ყურძნისა | — 20 .. |

2. „საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების პირობების და მატერიალური წახალისების ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 15 ივნისის № 542 დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად, ტრაქტორისტ-მემანქანეთა შრომის ანაზღაურება თავთავიანი მარცვლეული, პარკოსანი კულტურების, სამარცვლე და სასილოსე სიმინდის, კარტოფილის, ბალახთა თესლის და შაქრის კარხლის მოსავლის აღებაზე მოხდეს ამ დადგენილების 1 მუხლით დაწესებული ვადების ფარგლებში 30-პროცენტით გადიდებული სატარიფო განაკვეთებით, რომლებიც დამტკიცებულია ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის, ხოლო დანარჩენი მუშებისა — ზემოაღნიშნული კულტურების მოსავლის აღებაზე და, ამის გარდა, ციტრუსოვანი, თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის, აგრეთვე ყურძნის აღებაზე — ცხენისა და ხელის სამუშაოთა სატარიფო განაკვეთებით, გადიდებული 15 პროცენტით.

საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის გადიდებული ანაზღაურება ამ მუხლის შესაბამისად მოხდეს საბჭოთა მეურნეობების ხელფასის იმ ფონდების ფარგლებში, რაც დამტკიცებულია 1963 წლისათვის.

3. დაევალოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს, მერძევეობა-მეზოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სახელმწიფო სანერგე მეურნეობათა რესპუბლიკურ კანტორას დააწესონ, მოსავლის აღების დაწესებული ვადების საფუძველზე, ცალკეული მეურნეობებისათვის დიფერენცირებული კალენდარული ვადები, რომელთა გან-



მავლობაში იწარმოებს ტრაქტორისტ-მემანქანეთა დაესტრუქციონირების შრომის ანაზღაურება გადიდებული სატარიფო განაკვეთებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 21 ივნისი, № 419.

102 ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასოფლო დაწესებულებათა მუშაკებისათვის ხელფასის მიცემის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მუხლი მეორე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 აგვისტოს № 497 დადგენილებისა „სასოფლო დაწესებულებათა მუშაკებისათვის, ქალაქის სკოლების მასწავლებლებისა და მედიცინის მუშაკებისათვის ხელფასის მიცემის წესის შეცვლის შესახებ“ მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„2. დაწესდეს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასოფლო დაწესებულებათა (გარდა რაიონულ ცენტრებში არსებული დაწესებულებებისა) მუშაკებს ხელფასი მიეცემათ თვეში ერთხელ — მოცემული თვის 20 რიცხვს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 21 ივნისი, № 420.

103 მელმინტოზების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში საკმარისი არ არის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯელ-



მინტოზური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა და რომ ამავდროულად ბისაგან დანაკარგები მეცხოველეობაში, განსაკუთრებით მეცხოველეობაში, კვლავ მაღალია.

ეს დანაკარგები განსაკუთრებით დიდ ოდენობას აღწევენ გურჯაანის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, გეგეჭკორის, ცხაკაიას, სამტრედიის, ახალქალაქის, ბოლნისის, დუშეთის საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მერძევეობა-მეზოსტენეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

მთელი რიგი რაიონების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ვერ აფასებენ პელმინტოზებით მიყენებულ ზიანს, არ ეწევიან მის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას, სუსტად იყენებენ პელმინტოლოგიური მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, მეტად არადამაკმაყოფილებლად აშუქებენ მოსახლეობასა და მეცხოველეობის მუშაკებს შორის პელმინტოზების პროფილაქტიკისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, მაშინ როდესაც მათი ცალკეული სახეობანი წარმოადგენენ ადამიანებისა და ცხოველთათვის გადაღების მუდმივ საფრთხეს.

პელმინტოზურ დაავადებათა გავრცელებას ხელს უწყობენ მთელი რიგი ხორცკომბინატების, განსაკუთრებით პირუტყვისაკლავი მოედნებისა და ფრინველსაკლავების არადამაკმაყოფილებელი სანიტარული და ტექნიკური მდგომარეობა, ვეტერინარულ-სანიტარულ და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სუსტად განხორციელება, საკლავი პირუტყვის ვეტერინარულ-სანიტარული გასინჯვის და ხორცისა და ხორცპროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის წესების დარღვევა, პირუტყვის ლეშის უტილიზაციის ცუდი ორგანიზაცია, მოხეტიალე და უბატონო ძაღლების დაჭრისა და მოსპობისათვის ბრძოლის ღონისძიებათა სრულიად არადამაკმაყოფილებლად განხორციელება; ბევრი დასახლებული პუნქტის დაბალი სანიტარული დონე.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ვეტერინარულ-სამეურნეო დაწესებულებანი საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი ანტიპელმინტოზური საშუალებებით, განსაკუთრებით ახალი, უფრო ეფექტური და ეკონომიური პრეპარატებით, როგორცაა პიპერაზინი, დიტრაზინი, ფილიქსანი, ქლოროფოსი.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 მარტის № 222 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს მსხვილმეცნიერთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, ცეკავშირს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს:

ა) განახორციელონ ცხოველთა ჰელმინტოზების წინააღმდეგ ბრძოლის საჭირო ზომები და გააძლიერონ სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი იმისადმი, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა მეურნეობებმა დროულად შეასრულონ სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების მოთხოვნები;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ფერმებსა და მოსახლეობის მეურნეობებში პირუტყვის გაჯანსაღების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას რესპუბლიკაში 1963—1965 წლებში პირველ რიგში ჰელმინტოზები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანისათვის;

გ) მიიღონ ზომები დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ საპირფარეშოების მშენებლობა დახურული ტიპის ორმოებზე მეურნეობებში (საკარმიდამო ადგილებში), ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ხეხილის ბაღებსა და ვენახებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში, ძირეულად გააუმჯობესონ ბუნებრივი საძოვრები ადამიანთა და ცხოველთა ჰელმინტოზური დაავადების წყაროების მოსპობის მიზნით;

დ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნან მეურნეობანი, განსაკუთრებით ის მეურნეობანი, სადაც განვითარებულია მეცხვარეობა, კეთილმოწყობილი სარწყულებლებით და გააძლიერონ ვეტერინარული ზედამხედველობა ამ სარწყულებლების სანიტარული მდგომარეობისადმი; მოაწყონ საზამთრო საძოვრებზე პირუტყვისამარხები, ორმოები, ნაკელის ბიოთერმული გაუსნებოვნება;



ე) გააძლიერონ ხორცკომბინატებში, პირუტყვის სასაჯარო-მწარმოებელ ტბებსა და ბაზრებში ვეტერინარულ-სანიტარული კონტროლი იმ მიზნით, რომ არ გაიყიდოს პელმინტოზური დაავადების მხრივ არაკეთილსაიმედო ხორცი და ხორცის პროდუქტები მათი წინასწარი დამუშავების გარეშე;

ვ) ფართოდ გამოიყენონ მეცხოველეობაში პელმინტოლოგიური მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები ცხოველთა პელმინტოზების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მოახდინონ ამ დარგის ცოდნის პოპულარიზაცია მოსახლეობაში, განსაკუთრებით მეცხოველეობის მუშაკთა შორის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს სათანადო პოპულარული ლიტერატურის გამოცემა დიაფილმების გამოშვება, გადაცემების მოწყობა რადიოთი და ტელევიზიით;

ზ) უახლოეს დროში მიაღწიონ ცხერის მონიეზიოზის და ტიზანიეზიოზის ლიკვიდაციას, ცხოველთა ფასციოლეზის, დიქტიოკაულეზის, ქათმის ასკარიდოზისა და ცისტოდოზის მკვეთრად შემცირებას, რისთვისაც შექმნან როგორც რაიონული კომისიები, ისე კომისიები ცალკეულ მეურნეობებში, ამასთან მთავარი ყურადღება მიაქციონ პრევიმაციულ რეპელმენტოზაციის პროფილაქტიკას ყველაზე რაციონალურ ვადებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უახლოესი წლების მანძილზე მოახდინონ ადამიანთა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ტენიარქოზის, ექინოკოზის, ფინოზისა და ტრიქინელეზის ლიკვიდაცია რესპუბლიკაში, აგრეთვე მიაღწიონ სხვა პელმინტოზურ დაავადებათა მკვეთრად შემცირებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს:

ა) მოაწიოს 1964 წლიდან ანტიპელმინტური პრეპარატებიანი კომბინირებული საკვების გამომუშავება, რათა გამოყენებულ იქნას იგი მეცხოველეობაში პროფილაქტიკური მიზნებით;

ბ) მოაწიოს 1964 წელს საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტთან პელმინტოციდური პრეპარატების სინთეზისა და სრულყოფის ლაბორატორია, აგრეთვე ვეტერინარ ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ყოველწლიური მოკლევადიანი კურსები ცხოველთა პელმინტოზების მკურნალობისა და პროფილაქტიკის დარგში.



4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საქართველოს და ცეკავშირს:

ა) სათანადო სანიტარულ და ტექნიკურ მდგომარეობაში მოიყვანონ პირუტყვის მისაღები ბაზები, ხორცკომბინატებისა და პირუტყვისაკლავი მოედნების დაკვლისწინა შესარგვი ადგილები და საწარმოო სადგომები, ამასთან უზრუნველყონ ყველა ხორცგადამამუშავებელი საწარმო ნაკელსაცავებითა და ძვალსაცავებით. კატეგორიულად აკრძალონ ნაკელის, კუჭ-ნაწლავში გადაუმუშავებლად დარჩენილი საკვების და ძვლის ნარჩენების მოფანტვა საწარმოს ტერიტორიაზე. ნაკელისა და გადაუმუშავებლად დარჩენილი საკვების მიმართ გამოიყენონ სავალდებულო ბიოთერმული გაუსნებოვნება ნაკელსაცავებში;

ბ) ჩამდინარე საწარმოო წყლების გაუსნებოვნების მიზნით უზრუნველყონ ყველა ხორცგადამამუშავებელი საწარმო საწმენდი ნაგებობებით (ქლორატორებით);

გ) მტკიცედ დაიცვან საწარმოებში პირუტყვის გადამამუშავების დროს გამოვლინებულ ჰელმინტოზური სნეულებებით დაავადებული დაუფეშხობელი ნაკლავისა და ცალკეული ორგანოებისაგან ვეტერინარული წუნის (კომფისკატების) გაუსნებოვნებისა და გამოყენების დადგენილი წესი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) უზრუნველყოს იმ მაღალეფექტური ჰელმინტოციდური პრეპარატის — დარიშხანმყავა კალის ხარისხის გაუმჯობესება, რომელსაც რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი უშვებს;

ბ) გამოძებნოს იმის შესაძლებლობანი, რომ გადიდდეს 1964 წელს 500 კილოგრამით ფილიქსონის წარმოება თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში სამედიცინო და ვეტერინარული პრაქტიკის საჭიროებისათვის;

გ) ერთი თვის ვადაში შეისწავლოს საკითხი, რომ მოეწყოს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მოძრავი ხორცკომბინატი, რომელიც ხორცძვლის ფქვილად გადაამუშავებს იძულებით დაკლულ ცხვარს, აგრეთვე პირუტყვის ლეშს და თავისი წინადადებანი განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დ) დაამზადოს 1964 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდად 3.000 ცალი გერმეტულად დასახურავი ლითონის ყუთი (საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით) პირუტყვის ლეშის გადასაყრელად.



6. იმ მიზნით, რომ უკეთ მოეწყოს ბრძოლა ჰელმინტოზების წინააღმდეგ, შემოღებულ იქნას 1964 წლიდან ვეტერინარულ-კვლევის პელმინტოლოგიის თანამდებობა საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოში მუშაეთა იმ საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის.

7. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობამ გაითვალისწინოს 1964-1965 წლების გეგმით სპეციალური ლიტერატურის გამოცემა პელმინტოლოგიის საკითხებზე (100 ნაბეჭდი ფურცელი).

8. იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული პელმინტოზურ დაავადებათა გავრცელება ხორცის წარმოებისა ნარჩენების მეშვეობით, აიკრძალოს ნედლი ვეტერინარული კონფისკატებისა და სისხლის კერძოდ გაცემა ხორცკომბინატებიდან, სასაქლოებიდან და სასაქლო მოედნებიდან.

9. რესპუბლიკაში ვეტერინარულ-სანიტარული საქმის კოორდინაციისა და ერთიანი ხელმძღვანელობის, ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით, დაუმორჩილდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ცეკავშირის უწყებრივი ვეტერინარული სამსახური.

10. შეიქმნას ადამიანისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პელმინტოზების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. სირაძე (თავმჯდომარე), ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ლ. საყვარელიძე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. დ. ნიკურაძე, კომუნალური მეურნეობის მინისტრი ამხ. ვ. პაატაშვილი, სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ჯომარჯიძე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ამხ. ო. ქავთარაძე, მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ს. როსტიაშვილი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარული სამ-



მართველოს უფროსი ამხ. ტ. ყენია, სამედიცინო პარამეტრიკოსების და ტროპიკული მედიცინის ვირსოლოგიის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გ. მარუაშვილი, საქართველოს ზოოვეტერინარული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ჰელმინტოლოგიური ლაბორატორიის გამგე ამხ. ჭუბაბრია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარაზიტოლოგიური განყოფილების გამგე ამხ. ბ. ყურაშვილი.

11. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ზორკვადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელებმა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნაონ ჰელმინტოზების წინააღმდეგ ბრძოლა და მიიღონ ყოველგვარი ზომები მათი ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 ივნისი, № 425.

104 სახაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვისა და მათში ცხოვრების საფასურის მოწესრიგების შესახებ

აღინიშნოს, რომ სხვადასხვა და მოძველებული სატარიფო განაკვეთების გამოყენების, აგრეთვე ხარჯებში ზედმეტობის შედეგად, სახაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვა წლითიწლობით მნიშვნელოვან ზარალს აძლევს სახელმწიფოს.

ერთი საწოლის შენახვის საშუალო ხარჯი 1962 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით შეადგენდა 124 მან. და 36 კაპიკს, მაშინ როდესაც შემოსავალი უდრიდა 35 მან. და 66 კაპიკს, მშენებლობის სამინისტროს ხაზით შესაბამა-

სად — 32 მან. და 70 კაპ; და 7 მან. და 36 კაპ; საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით — 103 მან. და 68 კაპ. და 31 კაპ. და სხვ. ამის გამო ზარალი საერთო საცხოვრებლების ექსპლუატაციისაგან სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით შეადგენს 839 ათას მანეთს, ხოლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით — 304 ათას მანეთს და ა. შ.

მოქმედი განაკვეთების უმეტესობა ითვალისწინებს მაქსიმალურ ხელფასს 40—50 მანეთის ოდენობით თვეში, მაშინ როდესაც საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ პირთა ფაქტიური ხელფასი ხშირად მნიშვნელოვნად აღემატება ამ დონეს.

ამასთან ერთად საერთო საცხოვრებლების ზარალიანობაზე გველენას ახდენს ფართობისა და საწოლების არა სრულად გამოყენება, საერთო საცხოვრებლების მოწყობა საცხოვრებელ სახლებში და საერთო საცხოვრებლის ფართობის დათმობა საცხოვრებლად ცალკეული ოჯახებისათვის, რომლებიც ქირას იხდიან საერთო საცხოვრებლის ტარიფების მიხედვით, იმის ნაცვლად, რომ გადაიხადონ ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების ღირებულება.

საერთო საცხოვრებლები აღჭურვილობისა და შენობის ტიპის მიხედვით სხვადასხვაგვარია, მაგრამ მოქმედი სატარიფო განაკვეთები საკმაოდ არ ითვალისწინებენ არსებული ფაქტიური ზარჯების დაფარვას.

იმის გამო, რომ ადმინისტრაციულ-სამმართველო და საწარმოო პერსონალის შტატები საგრძნობლად გადიდებულია, სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვის ზარჯებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მომსახურე პერსონალის ხელფასს, ამასთან ეს პერსონალი ასრულებს მთელ რიგ სამუშაოებს, რომლებსაც სისტემატური ხასიათი არა აქვს და რომელთა შესრულება საკიროების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციების მეშვეობით და თვითმომსახურების გზით. მოქმედი ტიპური შტატებით არ არის დაწესებული საშტატო ნორმატივები ნატურით (დასალაგებელი ფართობი და სხვ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლები აქვთ:

ერთი თვის ვადაში გადასინჯონ საერთო საცხოვრებლების დატვირთვა იმ ანგარიშით, რომ შეამჭიდროონ საწოლების რაოდენობა საერთო საცხოვრებლებში სანიტარული ნორმის ანგარიშის მიხედ-



ვით და უზრუნველყონ საწოდლებების დაწესებული ლობლივ შესრულება.

არ დაუშვან ოჯახების ცხოვრება სასაწოდო ტიპის საერთო საცხოვრებლებში, ხოლო უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში გადაახდევინონ მათ ცალკე ოთახებში ცხოვრების საფასური საცხოვრებელი სახლებისათვის მოქმედი ტარიფების მიხედვით.

არა უგვიანეს 1963 წლის 1 სექტემბრისა წარუდგინონ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადებანი საერთო საცხოვრებლებში ცხოვრების საფასურის განაკვეთების, მათი შენახვის ხარჯების ნორმებისა და სასაწოდო ტიპის საერთო საცხოვრებლების ტიპური შტატების შესახებ.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს არა უგვიანეს 1963 წლის 1 ოქტომბრისა დასამტკიცებლად პროექტი ნაკრები დიფერენცირებული ტარიფებისა სასაწოდო ტიპის საერთო საცხოვრებლების კატეგორიების, მათი აღჭურვილობისა და კეთილმოწყობის მიხედვით, აგრეთვე წინადადებანი საერთო საცხოვრებლების ტიპური შტატების, ავეჯით, ლოგინის მოწყობილობითა და სხვა ინვენტარით მათი გაწყობის ნორმების შესახებ გაცვეთის ნორმებით (სამსახურის ვადები).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 24 ივნისი, № 427.

105 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარული ქსელის სტრუქტურისა და ტიპური შტატების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებით და მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურების



შემდგომი გაუმჯობესებისა და ვეტერინარული ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება ვეტერინარულ დაწესებულებათა სტრუქტურისა და ტიპური შტატების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ და დამტკიცდეს:

ა) ვეტერინარულ დაწესებულებათა სტრუქტურა — № 1 დანართის თანახმად;

ბ) ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურების ტიპური შტატები — № 2 დანართის თანახმად;

გ) ზონალური ვეტსამკურნალოების ტიპური შტატები — № 3 დანართის თანახმად;

დ) ზონალური ვეტბაქლაბორატორიების ტიპური შტატები — № 4 დანართის თანახმად;

ე) რაიონულ ვეტბაქლაბორატორიების ტიპური შტატები — № 5 დანართის თანახმად;

ვ) ვეტერინარული ქსელის დისლოკაცია — № 6 დანართის თანახმად.

2. აღნიშნულ ვეტერინარულ დაწესებულებათა შტატები დამტკიცდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის, ზელფასის ფონდისა და საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში.

3. შეტანილ იქნას დამატებით გეგეკორისა და მახარაძის ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურების შტატებში ორ-ორი თანამდებობა ძალღმკერისა.

4. გაიხსნას ლანჩხუთის ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურთან დიაგნოსტიკური კაბინეტები ორი საშტატო ერთეულით — ვეტექიმი და ლაბორანტი.

5. გარდაიქმნეს ასპინძისა და ადიგენის ვეტუბნები ზონალურ ვეტერინარულ სამკურნალოებად და მოეწყოს ახალქალაქის რაიონში ბოგდანოვიკის ზონალური ვეტერინარული სამკურნალო.

6. ზონალური ვეტსამკურნალოების, რაიონული და ზონალური ვეტბაქლაბორატორიების, ვეტუბნების, ვეტპუნქტების, ხორცსაკონტროლო სადგურებისა და სხვა რაიონულ ვეტერინარულ დაწესებულებების დაფინანსება მოხდეს კოლმეურნეობებისა და საბ-



კოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი სადგურების დაწესებით.

7. დაწესდეს, რომ:

ა) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მთავარი ვეტერინარი ექიმი იმავდროულად არის რაიონის სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექტორი და ასრულებს სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებულ შესაბამის ფუნქციებს;

ბ) ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურის უფროსი იმავდროულად არის საწარმოო სამმართველოს მთავარი ვეტერინარი ექიმის მოადგილე;

გ) დუშეთის, ზუგდიდის, ამბროლაურის, ზნაურისა და ხულოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურების უფროსები იმავდროულად არიან ამ რაიონების მთავარი ვეტექიმები.

8. გადაეცეს:

ა) ფოთის ვეტერინარულ-სანიტარული სადგურის სამომთაბარო ვეტპუნქტი — ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს;

ბ) ბოლნისის საწარმოო სამმართველოს დმანისის საგზატყეველო-საგზაო სატრანსპორტო ვეტპუნქტი — ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს;

გ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საოლქო საწარმოო სამმართველოს ერთი სამომთაბარო ვეტპუნქტი — ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს;

დ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარულ სამმართველოსთან არსებული სეზონური სამომთაბარო ვეტპუნქტები — ახალქალაქისა და ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

გადაეცემა მოხდეს შტატებითა და ხელფასის ფონდებით. ქონება გადაეცეს ბალანსიდან ბალანსზე.

9. რესპუბლიკაში არსებული ვეტერინარული დაწესებულებები, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ახალი სტრუქტურით დადგენილების შესაბამისად, დატოვებულ იქნან უცვლელად.

10. დავალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს ცალკეულ ადგილობრივ ბიუჯეტებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

11. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეათანხმოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან რაიონული ზონალური ვეტბაქლაბორატორიებისა და ზონალური ვეტსამკურნალოების გამგეთა თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1963 წ. 25 ივნისი, № 429.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ივნისის № 429
დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ვეტერინარული დაწესებულებებისა

1. რესპუბლიკური ვეტბაქლაბორატორია, რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების) და საოლქო ვეტბაქლაბორატორიები
2. რაიონული და ზონალური ვეტბაქლაბორატორიები
3. ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურები
4. ზონალური ვეტსამკურნალოები
5. რაიონული ვეტსამკურნალოები



6. საქალაქო ვეტსამყურნალოები
7. ვეტერინარული უბნები
8. ვეტერინარული პუნქტები
9. მუდმივი სამომთაბარო ვეტპუნქტები
10. დამცველ-საქარანტიზო ვეტპუნქტები
11. საგზატყეცილო-სატრანსპორტო ვეტპუნქტები
12. სეზონური სამომთაბარო ვეტპუნქტები
13. საქალაქო ვეტსანპუნქტები
14. ხორცსაკონტროლო სადგურები და ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიები
15. ვეტერინარულ-სანიტარული სადგურები
16. ვეტერინარული სადგური პოლიკლინიკით
17. დეზრაზმები
18. დიაგნოსტიკური კაბინეტები
19. ვეტსანპუნქტები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძეძე**.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ივნისის № 112-113
დადგენილების დასაყრდენად

ბიოლოგიური შტატები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ცხოველთა დავალების წინააღმდეგ ბრძოლის სადგურებისა

| | შტატები იმის მიხედვით, თუ რამდენია პირტყვი რაიონში (საბჭოთა მეურნეობების ჩათვლილად) | | | |
|--|---|----------------------------------|---------------------------------|----------------------|
| | 45000 სუ- ლაშვი | 46000-დან 100000 სუ- ლაშვი | 101000-დან 150000 სულამდე | 150000 სულზე მეტი |
| სადგურის უფროსი — ვეტეკიში იგივე საწარმოო სამმართველოს მთავარი ვეტეკიშის მოადგილე უფროსი ვეტეკიში — ეპიზოო- ტოლოგი | 1 | 1 | 1 | 1 |
| ვეტეკიში — ეპიზოოტოლოგი | 1 | 1 | 1 | 1 |
| ვეტეკიში | 1 | 1 | 1 | 1 |
| ვეტფერშალი | 1 | 2 | 2 | 3 |
| ვეტსანიტარი | 2 | 2 | 2 | 2 |
| უფროსი ბელადტერი | 1 | 1 | 1 | 1 |
| მონიტორინგ-მოლარე | 1 | 1 | 1 | 1 |
| დამლაგებელი-მედიცინური | 1 | 1 | 1 | 1 |
| სულ: | 8 | 9 | 10 | 12 |

- შენიშვნები:**
1. უკეთესად საკვანძო ტრანსპორტი მოეპოვება. დამატებით დაწესდება მეკონიბე-მევეტლის ერთი თანამდებობა, დამოუკიდებლად ცხენების რაოდენობისა.
 2. უკეთესად საექტომობილო ტრანსპორტი მოეპოვება. დაწესდება შოფრის თანამდებობა შემდეგი ანგარიშით: ერთი შოფერი ექსპლუატაციაში მყოფ უოველ ავტომანქანაზე, რომელიც რევიტ-ჩირებულა ავტონისპექტაში.
 3. ღებრაშები მიემაგრება სადგურებს ბრძანების მიხედვით.
 4. უკეთესად სადგურში არის სტაციონარი შტატში შემოღებული იქნება დამატებით ვეტერინარი სანიტარის თანამდებობა შემდეგი ანგარიშით: ერთი ერთეული უოველ 10 ადგილზე.
 5. ერთ-ერთ ვეტფერშალს ეკისრება პასუხისმგებლობა მედიკამენტებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ივნისის № 429
დადგენილების დანართი № 4

ბიუჯური შტაბები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ზონალური ვეტსამეურნალოებისა

| | |
|---------------------|-----|
| 1. გამგე — ვეტექიმი | — 1 |
| 2. ვეტფერშალი | — 2 |
| 3. ვეტსანიტარი | — 1 |

ს უ ლ 4

შენიშვნა: 1. უკეთ ვეტსამეურნალოს მოპოვება საავტომობილო ტრანსპორტი დაწესდება შოფრის თანამდებობა შემდეგი ნორმით: ერთი შოფერი ექსპლუატაციაში მყოფ თვითმფრინავ ავტომანქანაზე, რომელიც რეგისტრირებულია ავტონსპექციაში.

2. ღებრაში მოემარება სამეურნალოს ბრძანების მიხედვით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ბ. შირაძემე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 ივნისის № 429
დადგენილების დანართი № 4

ბიუჯური შტაბები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ზონალური ვეტბაქლაბორატორიებისა

| | |
|-------------------------------|-----|
| გამგე— ვეტექიმი— ბაქტერიოლოგი | — 1 |
| სეროლოგი | — 1 |
| ლაბორანტი | — 2 |
| ვეტსანიტარი | — 2 |

ს უ ლ 6 კაცი

შენიშვნა: უკეთ ვეტბაქლაბორატორიას საავტომობილო ტრანსპორტი მოპოვება დაწესდება შოფრის თანამდებობა შემდეგი ანგარიშით: ერთი შოფერი ექსპლუატაციაში მყოფ თვითმფრინავ ავტომანქანაზე, რომელიც რეგისტრირებულია ავტონსპექციაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ბ. შირაძემე.**



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1963 წლის 25 ივნისის № 470-11
 დადგენილების დანართი № 10123

ბიკური შტატები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს რაიონული ვეტბაქლაბორატორიებისა

| | |
|--|-----|
| გამგე—ვეტექიმი—ბაქტერიოლოგი | — 1 |
| ვეტექიმი—სეროლოგი | — 1 |
| ვეტექიმი ცოფის დიაგნოსტიკის დარგში ან ტოქსიკოლოგი | — 1 |
| ლაბორანტი | — 2 |
| ვეტსანიტარი | — 2 |

ს უ ლ 7 კაცი

შენიშვნა: უკეთ ვეტბაქლაბორატორიას საავტომობილო ტრანსპორტი მოეპოვება დაწესდება შოფრის თანამდებობა შემდეგი ანგარიშით: ერთი შოფერი ექსპლუატაციაში მყოფ თვითმულ ავტომანქანაზე, რომელიც რეგისტრირებულია ავტონისპექციაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ბ. შირაპაძე.**

1. მსახურის
 2. მსახურის
 3. მსახურის
 4. მსახურის
 5. მსახურის
 6. მსახურის
 7. მსახურის
 8. მსახურის
 9. მსახურის
 10. მსახურის
 11. მსახურის
 12. მსახურის
 13. მსახურის
 14. მსახურის
 15. მსახურის
 16. მსახურის
 17. მსახურის
 18. მსახურის
 19. მსახურის
 20. მსახურის

ს. ა. ბ.

| № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|----|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 7 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 10 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 11 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 12 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 14 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 15 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 16 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 17 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 18 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 19 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 20 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
 სამსახურის მდივანი გ. შიგინაძე.





106 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსხვერპლ მრეწველობაში წარმოების ნარჩენების, არაკონდიციური და დაბალხარისხოვანი ნედლეულის გამოყენების ზომების შესახებ

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ნართის, დაბალხარისხოვანი ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და ქსოვილთა ნაკუწების დიდძალი ნარჩენები დაგროვდა.

1963 წლის 1 იანვრისათვის არსებული ცნობების მიხედვით საფეიქრო საწარმოებში ირიცხებოდა 400 ტონა სხვადასხვა ნარჩენი, შალისა და შალნარევი ნართის 40 ტონა ნაშთები, 400 ათას მეტრზე მეტი შალის, აბრეშუმისა და ბამბეულის ზომითი ნაკუწები, გრეხილი აბრეშუმის დიდძალი ნაწიწი და ა. შ.

დიდძალი ნარჩენები (ქრომის ბურბუშელა, მაგარი ტყავის, რეზინის ამონაჭრები, ამონაყვეთი და სხვ.) მოიპოვება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტყავფეხსაცმლის საწარმოებში. აქ დაგროვდა აგრეთვე 3.700 ათას კვ. დეციმეტრამდე არასტანდარტული და დაბალხარისხოვანი ქრომის ტყავსაქონელი, რომლებიც გამომუშავებულია ადგილობრივი, სუსტი ცხერის ტყავისაგან და გამოუსადეგარია ფეხსაცმლის წარმოებისათვის.

ამ ნარჩენების, არაკონდიციური და დაბალხარისხოვანი ნედლეულის უმეტესი ნაწილი გამოუყენებელია.

წარმოების არსებული ნარჩენების, ნართისა და არაკონდიციური ნედლეულის ნაშთების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) მოაწიოს მიმდინარე წელს 79 ათასი ცალი საბნის, ლეიბას, მუთაქისა და ბალიშის გამომუშავება შალნარევი ნარჩენებისაგან, ამასთან გამოიყენოს ამისათვის 160 ტონა აღნიშნული ნარჩენები;

ბ) დაჩქარებით განიხილოს და დაამტკიცოს ლოგინის მოწყობილობის შალისა და შალნარევი ნართის ტექნიკური პირობები და წარუდგინოს მასალები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საცალო ფასების დასამტკიცებლად;

გ) უზრუნველყოს 1963 წლის 1 ნოემბრამდე თბილისის მალდკამეოლის კომბინატში მატყლის საკარბონიზაციო დანადგარის ამუშავება;

დ) მიიღოს საჭირო ზომები, რათა მკვეთრად შემცირდეს ნაკუწის, არაკონდიციური ნართისა და სხვა სახის ნახევარფაბრიკატების გამოშვება დაწესებული ნორმის გადამეტებით;

ე) მაქსიმალურად გამოიყენოს ბამბეულის, შალისა და მუხრანის ნაკუწი საბავშვო ტანსაცმლის (მათ შორის ბავშვის საბავშვო აგრეთვე ცალობრივი საგალანტერიო ნაწარმის შესაკერავად;

ვ) სრულად გამოიყენოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს ტყავის ქარხნებში მიღებული გლემურძი იმისათვის, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა დაამზადონ გლემურძის წებო;

ზ) გამოიყენოს დაბალხარისხოვანი და არასტანდარტული ტყავ-ნედლეულისაგან გამომუშავებული ტყავსაჭონელი, რომელიც გამოუსადეგარია ფეხსაცმლის წარმოებაში, იმისათვის რომ გამოშვებულ იქნას 1963 წელს 100 ათასი წყვილი პინეტი, 270 ათასი წყვილი სამუშაო კომბინირებული ხელჯაგი, 10 ათასი წყვილი ტყავის ხელთათმანი და საბავშვო ხელჯაგი, აგრეთვე სხვა ნაკეთობანი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ეპქრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას:

ა) გახსნან სპეციალური მაღაზიები, რომლებიც მოსახლეობას მიჰყიდიან შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების, აგრეთვე შალისა და შალნარევი ნართის ნაკუწს.

ბ) გაასაღონ საეპქრო ქსელის მეშვეობით ლოგინის მოწყობილობა და ტყავეულის ნაკეთობანი, რომლებსაც ამ დადგენილების თანახმად გამოუშვებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები ნარჩენებისა და დაბალხარისხოვანი და არასტანდარტული ნედლეულისაგან.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას: გამოუყოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს წვრილ-მომხმარებელთა (სამრეწველო მოხმარება) 1963 წლის პირველ ნახევარში გამოუყენებელი ფონდიდან 300 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი საბნების, ლეიბების, მუთაქებისა და ბალიშების შესაკერავად.

გამოუყოს 1964 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს ნარჩენების გარეცხვისა და პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო თითო კონცერვალური ოვალურ-სარეცხი, ლენტურ-საშრობი მანქანა და ერთი ცენტრიფუგა.

4. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოუყოს შალნარევი ლოგინის მოწყობილობის შესაკერავად 640 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველომ შეარჩიოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებ-



ში ტყავის ნაკეთობათა ნარჩენები და ქსოვილების ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებლად საჭირო ნარჩენების მომსახურების კომბინატებში.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით გაასაღოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საწარმოო ნარჩენები და კიდურები, რომელთა გამოყენება სამრეწველო გადამამუშავებისათვის, ფეხსაცმლის შესაკეთებლად და სავაჭრო ქსელის მეშვეობით რეალიზაცია რესპუბლიკის შიგნით შეუძლებელია.

7. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაავალოს „სოიუზგლავლეგპრომსირიის“ უზრუნველყოს რეალიზაცია ქრომის ბურბუშელასი (560 ტონა წელიწადში), ამონაჭრებისა და ამონაკვეთისა მაგარი ტყავისაგან (500 ტონა), რეზინისაგან (220 ტონა), რბილი ტყავის თარგთშორისი ნარჩენებისა (150 ტონა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 27 ივნისი, № 435.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 за 1963 год

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ზელმოწერილა დასაბეჭდად 26/VIII-63 წ. ქალაქის ზომა 60X90,
ქალაქი 18.400, ნაბეჭდი თაბახი — 11,5, სააღრიცხვო თაბახი — 10,0

წლიური ზელმოწერის ფასი 3 მან.

0520660-76187

საქართველო
ბიბლიოთეკა